

# სახელმჯიკრულებო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2019, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №6

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2019, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ბიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

### 1. ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულების მოძლა ..... 4; 28; 50; 65

### 2. დავალების ხელშეკრულება

დავალების შესასრულებლად გადაცემულის  
უკან დაბრუნების მოვალეობა ..... 151

### 3. დაზღვევა

მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობა  
მზღვეველის გაკოტრების საქმისწარმოებისას ..... 160

მზღვეველთან დაკავშირებული პირების მიერ  
მზღვეველის ხარჯზე სარგებლის მიღება ..... 169

# 1. ნარდობა

## ნარდობის ხელშეკრულების მოწულა

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-700-670-2014

15 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „გ-7“-სა (შემდგომში – შემკვეთი ან მეორე კასატორი) და შპს „ი-სა“ (შემდგომში – მენარდე, პირველი კონტრაქტორი ან კასატორი) და შპს „კ-ს“ (შემდეგში – მეორე კონტრაქტორი) შორის, 2010 წლის 05 იანვარს, ხელი მოეწერა ნარდობის ხელშეკრულებას (შემდეგში კონტრაქტი) [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ, 629-ე მუხლი; კონტრაქტი იხილეთ].

2. კონტრაქტის მე-2 მუხლის თანახმად, შემკვეთმა დაიქირავა მე-ნარდე ბათუმის საზღვრების ფარგლებში P2D1 და P2D2 ზონებში სამუშაოების შესასრულებლად, რაც დაკავშირებული იყო სუფთა წყლის მიწოდებასთან ძირითადი მარშრუტებისა და ქუჩებისათვის; წყალ-მზომის დაყენებასთან ყველა შენობაზე, კონტრაქტის დანართში წარმოდგენილი ნახაზებისა და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით.

3. კონტრაქტის 4.1. პუნქტით ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 3 111 117 (სამი მილიონ ასთერთმეტი ათას ასჩვიდმეტი) ევროთი.

4. კონტრაქტის 4.2. პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთის ინიციატივით გაიზრდება ან შემცირდება სამუშაოს რაოდენობა, სამუშაოს ახალი ფასი გამოითვლება სამუშაოს რაოდენობის გამრავლებით ერთეულის ფასებზე. კონტრაქტის შემოთავაზებული ღირებულების შემცირება და გაზრდა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

5. კონტრაქტის 5.2 პუნქტით, სამუშაო არეალის რისკის პოლისი, ოფიციალური გადასახადები და ლიცენზიები, დღგ-ისა და იმპორტის გადასახადები, ვალდებულების გამოქვითვა საბოლოო ანგარიშსწორებისას, წარმოადგენს შემკვეთის პასუხისმგებლობას,

ხოლო 5.3. პუნქტით, შემკვეთის მოვალეობა არის სამშენებლო მოედნისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან გაცემული სამუშაოთა წარმოების ნებართვის უზრუნველყოფა.

6. კონტრაქტის 6.1. პუნქტით, მენარდეს სამუშაო არეალის მიღებიდან 545 კალენდარულ დღეში უნდა დაესრულებინა სამუშაოები, ხოლო 6.3. პუნქტის შესაბამისად, სამუშაოს დაგვიანებით ჩაბარებისათვის, მენარდე ვალდებულია, შემკვეთს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხადოს 320 (სამას ოცი) ევრო, რასაც შემკვეთი დაქვითავს საბოლოო გადასახადიდან.

7. მხარეების მიერ კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, შემკვეთს 100 000 (ასი ათასი) ევრო, ავანსის სახით, უნდა გადაერიცხა მენარდისათვის; ეს თანხა საჭირო იყო მობილიზაციისათვის, საჭირო მოწყობილობებისა და დანადგარებისთვის, მიღების, სარქველების, წყალმზომი ყუთების გადამონმებისთვის, ქვიშის მარაგისათვის და სხვ. (იხ. კონტრაქტის 3.7.1).

8. ამავე კონტრაქტის 9.1. პუნქტით, მენარდე პასუხისმგებელი იყო წარმოებულ სამუშაოთა ხარისხზე, 11.1 პუნქტით – მენარდე ვალდებული იყო, სამუშაო შეესრულებინა კონტრაქტისა და დანართის მიხედვით, 11.2 პუნქტის საფუძველზე – დაექირავებინა ტექნიკური პერსონალი სამუშაოს შესასრულებლად და უზრუნველყო მშენებლობისათვის საჭირო ტრანსპორტი.

9. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული კონტრაქტის მხარეთაგან, შემკვეთი და მენარდე (პირველი კონტრაქტორი) შეთანხმდნენ, ცვლილებები შეეტანათ 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტში და იმავე წლის 30 ოქტომბერს ხელი მოაწერეს კონტრაქტს ცვლილებების შეტანის შესახებ, სადაც მეორე კონტრაქტორი არ მონაწილეობდა.

10. 30.10.2010წ. მხარეთა მიერ ხელმოწერილ კონტრაქტში შეტანილი ცვლილებები შეეხო კონტრაქტის ფასს და განისაზღვრა 3 111 110 ევროთი (პ. 4.1.), კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, 100 000 ევრო უნდა გადარიცხულიყო მენარდის ტრაპზონის ფილიალში, ავანსის სახით, მობილიზაციისათვის, საჭირო მოწყობილობებისა და დანადგარებისთვის, ქვიშის მარაგისათვის. საჭიროების შემთხვევაში, მუშაოთა ხელფასების შემუშავების, მინის შესწავლისა და სხვ. (იხ. ცვლილებები კონტრაქტში – პ. 3.7.1.)

11. 30.10.2010წ. შეთანხმებით კონტრაქტს დაემატა პუნქტი 7.3, რომლის თანახმად, მენარდემ აიღო ვალდებულება, სამუშაოების დაჩქარების მიზნით, შეეტანა ძირითადი მიწები და მოწყობილობები საკუთარი ხარჯებით, დაახლოებით 100 000 – 150 000 ევროს ღირებულების, რასაც შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან გადაიხდიდა შემკვეთი; ასევე, კონტრაქტს დაემატა 12.2. პუნ-

ქტი: „ხელმომწერ მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ კონტრაქტი, თუ რომელიმე მხარე დაარღვევს კონტრაქტის პირობებს, რაზედაც ინიციატორი შეატყობინებს მეორე მხარეს, კონტრაქტის განწყვეტის გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვით ადრე. მხარე, რომლის მიზეზით ირღვევა ხელშეკრულების პირობები, ჯარიმდება დარჩენილი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით“.

12. ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 2012 წლის 7 ნოემბერს, სარჩელი აღძრა მენარდემ და მოითხოვა, მის სასარგებლოდ, შემკვეთს დაჰკისრებოდა 266 605 (ორას სამოცდაექვსი ათას ექვსას ხუთი) ევროს გადახდა, ხოლო მიყენებული ზიანის სახით, 200 000 (ორასი ათასი) ევრო; ასევე, იმავე წლის 8 ნოემბერს მენარდემ განცხადებით მოითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, შემკვეთის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს განჩინებით და იმავე დღეს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

13. მენარდემ სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შემკვეთმა მოიგო ბათუმის წყალ-საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების სანარმოებლად გამოცხადებული ტენდერი, მასთან გაფორმდა ნარდობის ძირითადი ხელშეკრულება და ამ უკანასკნელმა 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტით ქვეკონტრაქტორად აიყვანა მენარდე (მოსარჩელე), რომელიც შეუდგა საქმიანობას. შემკვეთმა კონტრაქტით შეთანხმებული პირობის დარღვევით, არა კონტრაქტის ხელმომწერისთანავე, არამედ 20 დღის დაგვიანებით, 2010 წლის 25 იანვარს ავანსად ჩაურიცხა მენარდეს შეთანხმებული 80 000 ევრო (ნაცვლად 100 000-ისა); შემდეგ 20 000 ევრო ჩაურიცხა 4 თებერვალს, 25 000 ევრო იმავე წლის 25 აპრილს. ამ დროისათვის მენარდეს უკვე გახარჯული ჰქონდა 291 508.59 ევრო.

14. პირველი უთანხმოება შემკვეთსა და მენარდეს შორის მოხდა, კონტრაქტში ცვლილებების (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი) შეტანამდე, 2010 წლის მაისში, რის შემდეგაც მენარდემ შეწყვიტა სამუშაოების წარმოება. 2010 წლის ოქტომბერში შემკვეთი იძულებული გახდა ისევ დაკავშირებოდა მენარდეს, ამ უკანასკნელმა კვლავ გააგრძელა სამუშაოები, რასაც ძირითადად საკუთარი ხარჯით ასრულებდა. 2011 წლის მაის-ივნისის თვეში, მენარდე კვლავ იძულებული შეიქნა, შეეჩერებინა სამუშაოები. მან 2011 წლის 25 მაისს წერილობით აცნობა შემკვეთს, რომ შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, იდგა ორი პირობის წინაშე და მოითხოვა ერთ-ერთზე შეთანხმება: 1) თუ შემკვეთი დაფარავდა ავანსად გადასახდელ თანხას და ასევე განუღო ხარჯებს, შესაბამისად, მენარდე გააგრძელებდა სამუშაოებს; 2) თუ შემკვეთი თავად გააგრძე-

ლებდა სამუშაოებს, მაშინ მენარდისათვის უნდა აენაზღაურებინა უკვე გაწეული ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთმა აირჩია მეორე პირობა, გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურებია მენარდისათვის, რაც მისივე განმარტებით, 266 605 ევროს შეადგენს, ხოლო შემკვეთის მიერ გადასახდელი ჯარიმა – 200 000 ევროს (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

15. შემკვეთმა 2013 წლის 20 მარტს შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაჰკისრებოდა 238 114 ევროსა და 744 215 ლარის გადახდა, ასევე პირგასამტეხლოსა და ჯარიმის სახით – 425 671 ევროს გადახდა.

16. შემკვეთმა შეგებებული სარჩელი დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შემკვეთსა და მენარდეს შორის 2010 წლის 5 იანვარს ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად შესასრულებელი მთელი რიგი სამუშაოები არ შეასრულა მენარდემ, მათი დასრულება მოუწია შემკვეთს საკუთარი ხარჯით. კონტრაქტის 2.1, 2.2 პუნქტებით განერილი სამუშაოები მენარდეს უნდა შეესრულებინა, 11.2 პუნქტით მენარდე იყო პასუხისმგებელი სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკური პერსონალის დაქირავებასა და მშენებლობისათვის საჭირო ტრანსპორტის შემოყვანის უზრუნველყოფაზე. კონტრაქტის 6.1. პუნქტით, მენარდეს სამუშაო არეალის მიღებიდან 545 კალენდარულ დღეში უნდა დაესრულებინა სამუშაოები. აღნიშნული ვალდებულებები მენარდემ არ შეასრულა, მან მიატოვა სამუშაოების წარმოება და შემკვეთს მოუწია მათი დასრულება, ამავე დროს, შემკვეთმა, კონტრაქტიდან გამომდინარე, მთელი რიგი ხარჯები გასწია მენარდის სასარგებლოდ. მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოიწვია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანება, რის გამოც, ბათუმის მერიამ შემკვეთი 92 000 ევროთი დააჯარიმა.

17. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებად (სსკ-ის 629-ე მუხლი) შეაფასა და 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებაში მიუთითა უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ: მენარდემ ორჯერ მიატოვა სამუშაოები, პირველად 2010 წლის მაისის თვეში შეწყვიტა სამუშაოების წარმოება და გააგრძელა იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო მეორედ კვლავ შეწყვიტა სამუშაოები შემკვეთთან უთანხმოების გამო და, საბოლოოდ, ამ უკანასკნელმა დაასრულა სამუშაოები (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

18. სასამართლომ მხარის ახსნა-განმარტების, საქმის მასალებში წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურების, ინვოისების, თანამშრომელთა ხელფასების გაცემის დამადასტურებელი მტკიცებულებების, გადახდის ქვითრების, სასაქონლო ზედნადებების სა-

ფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ შემკვეთს მენარდისათვის არ აუნაზღაურებია 266 605 ევრო (იხ. მტკიცებულებები).

19. სასამართლომ მხარის ახსნა-განმარტების, საქმის მასალებში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებების, მოწმეთა ჩვენებების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, ინვოისების, ხელფასების გაცემის მტკიცებულებების, გადახდის ქვითრების, სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტიდან გამომდინარე, შემკვეთმა მენარდის სასარგებლოდ გასწია 744 215 ლარის ხარჯი (იხ. მტკიცებულებები).

20. სასამართლომ, საგადახდო დავალებებზე დაყრდნობით, დადგენილად მიიჩნია, რომ ამ განჩინების მე-19 პუნქტში დასახელებული კონტრაქტის საფუძველზე, შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 238 114 ლარი. ასევე, დაჯარიმების ინვოისის მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის მერიამ შემკვეთი 92 000 ევროთი დააჯარიმა.

21. საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება დააფუძნა სსკ-ის 629-ე, 637-ე, 638-ე, 646-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 412-ე 417-ე, 418-ე, 420-ე მუხლებზე და ნაწილობრივ დააკმაყოფილა როგორც სარჩელი, ისე შეგებებული სარჩელი, კერძოდ:

21.1. მენარდის (მოსარჩელე) სასარგებლოდ, შემკვეთს დაეკისრა 266 605 ევროს გადახდა;

21.2. შემკვეთის (შეგებებული სარჩელის ავტორი) სასარგებლოდ, მენარდეს დაეკისრა 238 114 ევროსა და 744 215 ლარის გადახდა, ასევე, შემკვეთისათვის მიყენებული ზიანის – 92 000 ევროს და პირგასამტეხლოს – 20 000 ევროს ანაზღაურება;

21.3. მხარეებს ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრათ თითოეული მათგანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (თითოეულს 5000 ლარი).

22. საქალაქო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 21-ე პუნქტში მითითებული გადაწყვეტილებით, მენარდის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო, გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (იხ. ამ განჩინების მე-12 პუნქტი).

23. საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ:

23.1. მენარდემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილება და შემკვეთის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

23.2. შემკვეთმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, მენარდის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

24. მენარდემ სააპელაციო საჩივარი დააფუძნა შემდეგ ფაქ-



ტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე:

24.1. 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტით შემკვეთს მენარდისათვის რაიმე ხარჯის გაწევა არ ევალებოდა და ამის აუცილებლობაც არ არსებობდა;

24.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 238 114 ევრო, ამის დამადასტურებელი მტკიცებულება კი საქმეში არ არსებობს;

24.3. სამუშაოთა არადროულ შესრულებაში მენარდეს ბრალი არ მიუძღვის, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხულია;

24.4. სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 105-ე მუხლების მოთხოვნები. მენარდემ სააპელაციო საჩივრის სამართლებრივ საფუძვლებად მიუთითა სსკ-ის 319-ე, 325-ე, 327-ე, 361-ე, 369-ე, 629-ე, 633-ე, 637-ე მუხლებზე.

25. შემკვეთმა სააპელაციო საჩივარი დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე:

25.1 გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები; ნაწილი მტკიცებულებებისა არ იყო ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული, არც აპოსტილით დამოწმებული;

25.2 შემკვეთი წერილობით ატყობინებდა მენარდეს, რომ მის მიერ შეძენილი მასალების ხარისხი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების მოთხოვნებს;

25.3 გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დაუსაბუთებელია პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველი;

25.4 სსსკ-ის 102-ე მუხლი მხარეებს აკისრებს მტკიცების ტვირთს, რაც მოწინააღმდეგე მხარის მიერ არ რეალიზებულა, ხოლო 105-ე მუხლით, სასამართლო ვალდებულია, სრულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები.

26. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: მხარეები არ დავობენ, რომ მენარდეს შემკვეთისათვის 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტში ცვლილებების შეტანამდე, პროდუქცია არ მიუწოდებია;

27. სასამართლომ მიუთითა, რომ მენარდემ შემკვეთისათვის პროდუქციის მიწოდება დაიწყო 2010 წლის 6 ნოემბრიდან და 2011 წლის 25 იანვრამდე მას მიანოდა 102 103,04 ევროს ღირებულების პროდუქცია; გარდა ამისა, მენარდემ ხელფასი გადაუხადა შემკვეთის მიერ დაქირავებულ მუშახელს. სასამართლო უთითებს, რომ ხელფასები გადახდილია ჯერ 2010 წლის 25-დან 27 მაისის ჩათვლით, ხოლო შემდეგ – 2010 წლის სექტემბრიდან 2011 წლის თებერვლის ჩათვლით; თანხის ძირითადი ნაწილი გადახდილია 2010

წლის დეკემბერში, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები მენარდემ სწორედ ამ დროს, ე.ი. 2010 წლის სექტემბრიდან შეასრულა. 2010 წლის თებერვალ-მარტში კი შეძენილია საოფისე და სამეურნეო ნივთები; სასამართლოს აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის, სამუშაოები ჯერ დაწყებული არ იყო და იგი მზადების პროცესში იყო (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება, პ.4.14,4.15).

28. ამ განჩინების 27-ე პუნქტში მითითებული ხარჯები ჯამურად შეადგენს: 86 006 ლარს, 1900 ლირას, 2000 აშშ დოლარს, 22 500 ევროს, 37 000 ლირას (თუმცა, როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია მითითებული, ამ უკანასკნელი თანხის გადახდის არც დანიშნულება და არც მიზანი ქვითრით არ დგინდება, იხ. სასამართლო გადაწყვეტილების 4.15-4.20 პუნქტები).

29. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა შემკვეთის 2010 წლის 18 მაისის წერილზე, 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტის ხელმოწერილი მეორე კონტრაქტორისადმი, რომლითაც ამ უკანასკნელს შემკვეთმა შეატყობინა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, ხოლო იმავე წლის 31 აგვისტოს, შემკვეთმა წერილობით მიმართა პირველ კონტრაქტორს (მენარდეს), საიდანაც დგინდება, რომ 13 ივლისის წერილით ადრესატი ინფორმირებული იყო ამ თარიღიდან ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

30. 2011 წლის 16 მაისის წერილით, შემკვეთმა პრეტენზია წაუყენა მენარდეს მასალების ღირებულებისა და შესრულებული სამუშაოების ფასის წარუდგენლობის გამო. სააპელაციო სასამართლო ამ წერილის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, როგორც მოდავე მხარეთა ურთიერთობის მთელი პერიოდის ამსახველ მტკიცებულებაზე და აღნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის მენარდეს გარკვეული სამუშაოები შესრულებული ჰქონდა. 16 მაისის წერილში მითითებულია, რომ შემკვეთმა მეორე კონტრაქტორს (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) 2010 წლის თებერვალში, ავანსის სახით, გადაურიცხა 95 000 ევრო, შემდეგ, იმავე წლის ოქტომბერში, დამატებითი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გადაიხადა 47 000 ლარი, მენარდეს მიანოდა 290 000 ევროს ღირებულების ლითონის მიღება.

31. 30-ე პუნქტში მითითებული წერილის კონტექსტში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მენარდის წერილზე შემკვეთისადმი, რომლითაც ამ უკანასკნელს სთხოვა, ნაღდი ანგარიშსწორებით, 47 415 ლარის გადაცემა და 23 500 ლარის გადარიცხვა ბენზინგასამართ სადგურში სანგავის შესაძენად. სასამართლომ დაასკვნა, რომ წერილში მითითებული 47 415 ლარი, როგორც ჩანს, ის 47 000 ლარია, რომელზეც შემკვეთი უთითებს თავის 16 მაისის წერილში (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პ.4.21; ამ განჩინე-

ბის 30-ე პუნქტი).

32. სააპელაციო სასამართლომ, საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ კონტრაქტის ფარგლებში, შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა სულ 146 114 ევრო (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.26 პუნქტი).

33. სასამართლო აღნიშნავს, რომ შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 164 000 ლარი, გარდა ამისა, თავად მენარდემ დაადასტურა, რომ შემკვეთმა გადაუხადა 47 347 ევრო. სასამართლოს დასკვნით, შემკვეთის მიერ მენარდისათვის 290 000 ევროს ღირებულების მიწის მიწოდების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება.

34. 2010 წლის მაისში შემკვეთმა გაისტუმრა მენარდის დავალიანება – 44 000 ლარი მუშების მიმართ. როგორც სასამართლო აღნიშნავს, ამ ფაქტს, ზემოხსენებულ წერილებთან ერთად ადასტურებს სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი წერილობითი განმარტება, საიდანაც ჩანს, რომ მენარდემ თავისი მუშაკების ნაწილს ხელფასი არ გადაუხადა და ეს ვალდებულება, მის ნაცვლად, შეასრულა შემკვეთმა. ამას თანამშრომელთა კოლექტიური განცხადებაც ადასტურებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, ამავე განცხადებით დასტურდება, რომ მენარდეს 2010 წლის მაისამდე სამუშაოები არ ჩაუტარებია (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.26 პუნქტი).

35. შემკვეთის განმარტებით, მან, მენარდის ნაცვლად, მუშებს გადაუხადა 188 858 ლარი, დამატებით გასწია 373 894 ლარის ხარჯი, შეიძინა 80 000 ლარის ინერტული მასალები, სანავი და დამატებით დახარჯა 14 697 ლარი, თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, ამ ფაქტის დასადასტურებლად შემკვეთის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, სასაქონლო ზედნადებებით, საგადასახადო დავალებებით, ხელშეკრულებებით, ხელწერილებით და ქვითრებით არ დასტურდება, რომ შემკვეთმა სწორედ მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოების გამო გაიღო ეს სახსრები, არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ეს ფაქტი, გარდა, ხელფასის ნაწილისა (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.29 პუნქტი).

36. სასამართლოს მიაჩნია, რომ მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს გარდა, შემკვეთი სხვა სამუშაოებსაც ასრულებდა, რისთვისაც, ცხადია, დასჭირდებოდა ზეთის, საბურავების, ქვიშისა და სხვა ნივთების შექნა, სხვადასხვა ხელშეკრულების დადება და ა.შ. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, რომ სამუშაოთა დიდი ნაწილი შემკვეთს ნაწარმოები აქვს 2010 წლის 13 ივლისიდან იმავე წლის 30 ოქტომბრამდე, როდესაც ძველი ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) მოშლილი იყო, ხოლო ახალი მხარე-

ებს ჯერ არ ჰქონდათ ხელმოწერილი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ შესყიდვების პერიოდში მხარეებს ერთმანეთის მიმართ ვალდებულებითი ურთიერთობები არ აკავშირებდათ (იხ. გასაჩივრებული განწყვეტილების 4.31 პუნქტი).

37. სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ შემკვეთს სხვა საწარმოებთან აკავშირებდა ხელშეკრულებები და მის მიერ წარდგენილი ანგარიშის ბარათების თანახმად 2011 წლის 7 აგვისტომდე, ე.ი. მხარეთა შორის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, არც ერთი გადახდის საფუძველსა თუ სხვა გრაფაში ლოტი 1ც, ანუ მენარდის (პირველი კონტრაქტორი) მიერ შესასრულებელი სამუშაოები მითითებული არ არის. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ შემკვეთმა ვერ დაამტკიცა მენარდის სასარგებლოდ 468 591 ლარის (373 894 + 80 000 + 14 697) განვეის ხარჯი.

38. სასამართლო აღნიშნავს, რომ შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 164 000 ლარი და 47 347 ევრო, ამასთან, მის მუშაკებს გადაუხადა 44 000 ლარი (ხელფასი) და დამატებით, ლოტი 1ც მომსახურებისათვის, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, გადაიხადა ხელფასი – 83 269,5 ლარი.

39. სასამართლომ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ე.წ. დაჯამებული ინვოისი, 1ც ლოტზე 2010 წლის 7 ივნისისათვის, წინასწარ ნაყიდი მასალების ჩათვლით, შესრულებული იყო 167 343, 7 ევროს ღირებულების სამუშაო, რომელიც მინოდებულ პროდუქციასაც მოიცავს.

40. 2010 წლის 7 ივნისამდე მეორე კონტრაქტორმა შემკვეთს მიაწოდა 157 277, 41 ევროს ღირებულების პროდუქცია – დარჩენილი 197 315, 59 – 157 277, 41 = 40 038, 18 ევროს ღირებულების პროდუქცია მეორე კონტრაქტორმა შემკვეთს მიაწოდა 2010 წლის 7 ივნისიდან იმავე წლის 2 ივლისამდე პერიოდში, შესაბამისად, ამ პერიოდისათვის სხვა შესრულებული სამუშაოების ღირებულება იყო 167 343,7-157 277, 41 = 10 066, 29 ევრო.

41. სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ აშკარაა, რომ ეს სამუშაოები მენარდემ შეასრულა, ამის დასტურად სასამართლო უთითებს, საქმეში განთავსებულ შეთანხმებაზე პირველ და მეორე კონტრაქტორებს შორის (იხ. კონსორციუმის შეთანხმება, 31.12.2009), რომლის თანახმად, მეორე კონტრაქტორის ვალდებულება იყო, მხოლოდ პროდუქციის მინოდება, ხოლო უშუალოდ სამუშაოები, პირველ კონტრაქტორს (მენარდეს) უნდა შესრულებინა. სასამართლოს მოსაზრებით, ამავე გარემოებას ადასტურებს უკვე განხილული წერილები, მათ შორის მუშების განცხადება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე.

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 7 ივნისამდე 1ც ლოტით გათვალისწინებული სამუშაოების პირადად შესრულება-

ზე შემკვეთს არც მიუთითებია, ასევე, ამ უკანასკნელს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არცერთი მტკიცებულება, რომ მიწოდებული პროდუქცია ან შესრულებული სამუშაო არაჯეროვანი იყო (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.38-4.39 პუნქტები).

43. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში იმსჯელა „დაჯამებულ ინვოისზე“, ასევე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე დადგინდეს გარემოებაზე, რომ პირველმა და მეორე კონტრაქტორებმა, 2010 წლის 7 ივნისამდე, შემკვეთის სასარგებლოდ შეასრულეს 167 343, 7 ევროს, ვალდებულება. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 7 ივნისამდე მიწოდებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, შემკვეთმა მეორე კონტრაქტორს გადაუხადა პროდუქციის ღირებულების მხოლოდ ნაწილი, ხოლო პირველი კონტრაქტორისათვის (მენარდისათვის) შესრულებული სამუშაოს ღირებულება საერთოდ არ აუნაზღაურებია და 2010 წლის 13 ივლისს ამ უკანასკნელთან მოშალა ხელშეკრულება (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.40- 4.46 პუნქტები).

44. სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 2010 წლის 6 ნოემბრიდან 2011 წლის 25 იანვრამდე მენარდემ შემკვეთს მიანოდა 102 103, 04 ევროს ღირებულების პროდუქცია, დადგინდია ისიც, რომ მენარდემ სამუშაოებს ასრულებდა 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის მაისამდე.

45. წინამდებარე განჩინების 44-ე პუნქტში მითითებულ გარემოებებს სასამართლო დადგინდად მიიჩნევს ხელფასების უწყობის საფუძველზე, ასევე, თავად შემკვეთის განმარტებით, რომ მან, მენარდის ნაცვლად, გადაუხადა მუშებს ხელფასი 2011 წლის აპრილის ჩათვლით; 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის მაისამდე სამუშაოები რომ არ შეესრულებინა, მუშებისათვის არც ხელფასები იქნებოდა გადასახდელი. აღნიშნულს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ადასტურებს, საქალაქო სასამართლოში შემკვეთის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პ. 4.48- 4.54).

46. სასამართლო დაჯამებული ინვოისის საფუძველზე უთითებს, რომ 2010 წლის 7 ივნისიდან 2010 წლის 26 დეკემბრამდე 1 ც ლოტზე შესრულდა 397 007, 56 ევროს სამუშაო, თუმცა, უდავოა, რომ ეს სამუშაო მთლიანად მენარდეს არ შეუსრულებია, 2010 წლის 13 ივლისიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით, სამუშაოებს უშუალოდ შემკვეთი ასრულებდა (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება პ. 4.60).

47. შემკვეთის ინიციატივით, მოწმის სახით დაკითხული სანარმოს საქმისმწარმოებლის განმარტება სრულად გაიზიარა შემკვეთმა, შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 13 ივლისიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით შემკვეთმა შეასრულა

130 000 ევროს სამუშაო. 2010 წლის 1 ნოემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით, მენარდეს, მიწოდებული პროდუქციის – მიღების ღირებულების ჩათვლით შესრულებული აქვს 397 007, 56; 130 000 – 267 007, 56 ევროს სამუშაო. ამის სანაცვლოდ, მენარდეს შემკვეთმა გადაუხადა მხოლოდ 104 000 ლარი და 47 347 ევრო.

48. 2011 წლის 7 თებერვლიდან 10 მაისამდე მენარდემ შეასრულა 235 460, 85 ევროს სამუშაო, შემკვეთმა კი მას გადაუხადა მხოლოდ 60 000 ლარი.

49. გადანყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: უდავოა, რომ მხარეთა შორის დადებული იყო ნარდობის ხელშეკრულებები და ისინი ორივე შემთხვევაში ვადამდე მოშალა შემკვეთმა (სსკ-ის 629-ე, 636-ე მუხლები), ასევე, დადგენილია, რომ შემკვეთი, პრაქტიკულად, არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს და ყოველი კვარტლის ბოლოს არ უნაზღაურებდა მენარდეს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას (იხ. გასაჩივრებული გადანყვეტილება პ. 4.75 - 4.76).

50. მენარდეს არ მოუთხოვია შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, მან მოითხოვა მის მიერ მუშებისათვის გადახდილი ხელფასი 58 184 ლარი ანუ 25 079 ევრო. ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მენარდის მოთხოვნა, რადგან მან 2010 წლის ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ხელფასები გაისტუმრა სხვადასხვა ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში დაახლოებით 180 000 ლარი. ასევე, დადგენილია, რომ იგივე პერიოდში შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 164 000 ლარი, ამ თანხით მენარდემ გაისტუმრა მუშების ხელფასი და მას ქონებრივი დანაკლისი არ განუცდია (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების პ.4.82-4.85).

51. მენარდემ მოითხოვა შექმნილი ნივთების ღირებულება – 9 435 ლარი ანუ 4066 ევრო, მუშების კვებისა და მათთვის საჭირო ინვენტარის ხარჯი – 29 756 ლარი ანუ 12 825 ევრო, სანვავ-საპოხ და სხვა მასალებზე განეული ხარჯი – 16 919 ლარი ანუ 7 292, 6 ევრო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდის მიერ შექმნილი სამეურნეო და საკანცელარიო ნივთების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგან მენარდე გახდა ამ ნივთებისათვის გადახდილი თანხის ექვივალენტური ქონების მესაკუთრე და მას დანაკლისი არ განუცდია, საწინააღმდეგო მტკიცებულებები კი საქმეში არ წარმოუდგენია. საწვავ-საპოხი მასალებისა და მუშებისათვის საკვების, ასევე, ინვენტარის შესაძენად განეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები მენარდეს არ წარმოუდგენია.

52. მენარდემ მოითხოვა 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის მაი-

სამდე პერიოდისათვის დამატებით შემოტანილი მასალების ღირებულება 142 141, 22 ევრო, ამავე პერიოდში მუშებისათვის გაცემული ხელფასის – 300 167 ლარის ანუ 129 382, 23 ევროს ანაზღაურება. სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ 2010 წლის 13 ივლისამდე მენარდემ გასწია 3264 ლარისა და 10 750 ევროს ხარჯი, რაც მისთვის შემკვეთს არ აუნაზღაურებია, ამდენად, ეს თანხა უნდა დაჰკისრებოდა შემკვეთს.

53. ასევე, 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების 7.3. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, მენარდემ შემკვეთს მიაწოდა 102 103, 04 ევროს ღირებულების პროდუქცია, რისთვისაც ამ უკანასკნელმა აანაზღაურა მხოლოდ 47 347 ევრო, შესაბამისად, შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა (102 103, 04 – 47 347) 54 756, 04 ევრო.

54. სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ 197 315, 59 ევროს პროდუქცია შემკვეთს მიაწოდა არა მენარდემ (პირველი კონტრაქტორი), არამედ მეორე კონტრაქტორმა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მეორე კონტრაქტორებს შორის არსებობდა ე.წ. კონსორციუმის შეთანხმება (იხ. წინამდებარე განჩინების 41-ე პუნქტი), მეორე კონტრაქტორს პირველისათვის თავისი მოთხოვნები არ დაუთმია, შესაბამისად, მენარდის მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელი იყო (სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, 248-ე მუხლი).

55. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების 12.2. პუნქტით (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი) მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე; სასამართლოს მოსაზრებით, შემკვეთმა დაარღვია ხელშეკრულების პირობები, როდესაც მენარდეს არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსი გადაურიცხა, არც შესრულებული სამუშაოს ღირებულება აუნაზღაურა და ბოლოს ხელშეკრულება მოუშალა ამის გამო, სასამართლომ შემკვეთს, მენარდის სასარგებლოდ, დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა გონივრული ოდენობით – 50 000 ლარი (სსკ-ის 420-ე მუხლი), რადგან შემკვეთმა 2011 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, ნაწილობრივ შეასრულა მენარდის ვალდებულებები მესამე პირებთან და, მის ნაცვლად, გადაუხადა მუშებს ხელფასი 83 269, 5 ლარი (იხ. გასაჩივრებული გადანყვეტილების 4.93-4.98 პუნქტები).

56. სასამართლოს შეფასებით, შემკვეთმა დაამტკიცა მხოლოდ ის, რომ მან უშუალოდ მენარდეს გადასცა 164 000 ლარი და 47 347 ევრო და ამ უკანასკნელის ნაცვლად გადაუხადა მუშებს ხელფასი, ჯერ – 44 000 ლარი, შემდეგ – 83 269, 5 ლარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული თანხებიდან, 164 000 ლარისა და 47 347

ევროს გადახდის ვალდებულება შემკვეთს ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნდა, შესაბამისად, ნამდვილი ვალდებულების საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია, ამდენად შემკვეთის მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლო იყო. ამ თანხის გადახდით, მენარდე შემკვეთის ხარჯზე არ გაამდიდრებულა, ხოლო შემკვეთი არ დაზარალებულა, ამიტომ შემკვეთისათვის ამ თანხის დაბრუნების ვალდებულება არ არსებობს.

57. 2010 წლის მაისში, შემკვეთის მიერ, მენარდის ნაცვლად, მიხივე თხოვნით, მუშებისათვის გადახდილ 44 000 ლართან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ თანხაზე შემკვეთმა პრეტენზია განაცხადა 2011 წლის 16 მაისის წერილით. სასამართლომ შეაფასა მტკიცებულებები და აღნიშნა, რომ შემკვეთმა შეგნებულად გაისტუმრა სხვისი, მენარდის ვალი და ამიტომ ეს უკანასკნელი ვალდებულია აანაზღაუროს განუული ხარჯი (სსკ-ის 986-ე მუხლი).

58. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ორივე აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება:

58.1. მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, შემკვეთს დაეკისრა 53 264 ლარისა და 65 506,04 ევროს გადახდა;

58.2. შემკვეთის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაეკისრა 44 000 ლარის გადახდა;

58.3. მენარდის სასარგებლოდ შემკვეთს დაეკისრა 12 000 ლარის გადახდა;

58.4. შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 3080 ლარის გადახდა.

59. პირველმა კასატორმა – მენარდემ კასაცო საჩივარი წარმოადგინა 2014 წლის 24 სექტემბერს, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. კასატორი (გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში პუნქტების ნუმერაციის აღრევის გამო, აღნიშნავს, რომ 4.26 პუნქტის შემდეგ, ნუმერაციის ზრდა მე-5 პუნქტამდე უნდა აღწევდეს 4.125 ნიშნულს) უთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.79 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას მენარდე არ ითხოვს, იგი აღნიშნავს, რომ ითხოვს განუული სამუშაოსა და დანახარჯების გათვალისწინებით, არსებული დავალიანების ანაზღაურებას შემკვეთისაგან. კასატორი გასაჩივრებულ



გადაწყვეტილებაზე უთითებს, რომლითაც დადგენილადაა მიჩნეული, რომ 2010 წლის დასაწყისიდან 2011 წლის ივნისამდე მენარდეს (პირველ და მეორე კონტრაქტორებს, იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) შესრულებული აქვს 512 534.7 ევროს სამუშაო (10 066.29+267 007.56+235 460.85), რასაც უნდა გამოაკლდეს მეორე კონტრაქტორის მიერ შემკვეთისათვის მიწოდებული საქონლის ღირებულება 197 315.59 ევრო და ამის გათვალისწინებით, უშუალოდ მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება გამოდის 315 219 ევრო (512 534.7 – 197 315.59), საიდანაც სასამართლო გადაწყვეტილების 4.48 პუნქტის თანახმად, შემკვეთს გადახდელი აქვს 164 000 ლარი (70 690 ევრო), 47 347 ევრო, 44 000 ლარი (18 965 ევრო) და დამატებით 83 269.5 ლარი (35 892 ევრო), ე.ი. სულ 172 894 ევრო (70 690+47 347+18 965+35 892). პირველი კასატორის მტკიცებით, სხვაობამ, დავალიანების სახით, შეადგინა 142 325 ევრო (512 534.7 – 197 315.59 – 172 894), რაც უნდა დაეკისროს შემკვეთს. კასატორი, ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას პირგასამტეხლოს 50 000 ლარად განსაზღვრის თაობაზე. მენარდე უთითებს 05.01.2010წ. კონტრაქტის 4.2. ქვეპუნქტზე (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) და განმარტავს, რომ პირგასამტეხლო უნდა განსაზღვრულიყო დარჩენილი სამუშაოს ღირებულების 10%-ით, მოცემულ შემთხვევაში, კასატორი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან – 3 111 117 ევროდან შესრულდა, მხოლოდ 500 000 ევროს სამუშაოები (3 111 117 – 500 000 = 2 611 117 X 10%), რაც ისედაც 60 000 ევროთი შეამცირა თავად კასატორმა, ამდენად, მენარდე ამ ნაწილშიც ითხოვს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

60. შემკვეთმა 2014 წლის 17 ივნისს საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილებში გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. შემკვეთს წარმოდგენილი აქვს დაზუსტებული საკასაციო საჩივარი 2015 წლის 30 მარტს, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და ფასი (53 264 ლარი; 65 506.04 ევრო, 266 605 ევრო) იგივეა, რაც თავდაპირველ საკასაციო საჩივარში.

61. დაზუსტებულ საკასაციო საჩივარში მეორე კასატორმა მიუთითა, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი და უხეში საპროცესო დარღვევებით (სსსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები) და ასევე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან; კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.15-4.17, 4.19-4.20, 4.22-4.30, 4.32 პუნქტებს, ასევე, აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაში ტექნიკურად

არის არეული ნუმერაცია და ამის მიხედვით უთითებს მომდევნო პუნქტებზე, რომლებიც დანომრილია 4-21-4.24, 4.27 (21), 4.49 პუნქტებად. არ იზიარებს 4.59-4.60 პუნქტებში მითითებულ მოსაზრებებსა და დასკვნებს, აღნიშნავს, რომ მენარდემ 2010 წლის თებერვალ-ივნისის პერიოდში შეასრულა მხოლოდ 22 500 ევროს სამუშაოები, რაც არ აისახა ინვოისში გეგმის (150 000 ევრო) შეუსრულებლობის გამო. შემკვეთი უთითებს, რომ ხელფასები არ გადაუხდია მენარდეს, დაკითხულმა მოწმეებმა საპირისპირო განმარტებები მისცეს სასამართლოს, რის გამოც, არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.15 პუნქტს, ხოლო 4.16-4.17 პუნქტებში მითითებულ თანხებზე, შემკვეთი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია, თუ ვისგან მიიღო ეს თანხები მენარდემ, ხომ არ არის ეს შემკვეთისაგან მიღებული თანხები.

62. შემკვეთს და მენარდეს წარმოდგენილი აქვთ საკასაციო შეაგებლები.

63. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, გადაწყდა საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლების შემოწმება ზეპირი მოსმენით, რაც დაინიშნა იმავე წლის 1 ოქტომბერს და ორივე საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

64. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26 ნოემბრის განჩინებით გადაწყდა მენარდისა და შემკვეთის საკასაციო საჩივრების არსებითი განხილვა, ზეპირი მოსმენით (სსკ-ის 408-ე მუხლი).

65. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა საკუთარი არგუმენტები წარმოადგინეს და განმარტეს მათ შორის არსებული საკითხები.

65.1. მენარდის საკასაციო პრეტენზიები:

მენარდემ აღნიშნა, რომ სსკ-ის 629-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს მის მიერ შესრულებული სამუშაოების – 266 605 ევროს ანაზღაურებას და, კონტრაქტის პირობის დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს. მენარდის განმარტებით, მის მიერ შესრულებული სამუშაოები არ დააფინანსა შემკვეთმა, რის გამოც, მან შეწყვიტა სამუშაოები და პირგასამტეხლო მოითხოვა, რაც გამოიანგარიშება ამ განჩინების 59-ე პუნქტში მითითებული წესით.

65.2. მენარდის მტკიცებით, სადავო საკითხი იყოფა ორ პერიოდად: 2010 წლის 5 იანვრიდან იმავე წლის 25 მაისამდე – მხარეებს შორის სწორედ მაისის ბოლოს წარმოიშვა პირველი უთანხმოება, როდესაც მენარდემ შეწყვიტა სამუშაოები, მისთვის შემკვეთის მიერ თანხების გადაუხდელობის გამო.

65.3. მენარდის განმარტებით, საქონლის შეძენის ინვოისებით დასტურდება, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით,

მეორე კონტრაქტორს მასალების მიწოდება ვეალებოდა, ხოლო მენარდეს სამუშაოების შესრულება, ორივე თურქული საწარმო სოლიდარულად იყო პასუხისმგებელი საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე.

65.4. 2010 წლის 5 იანვრის კონტრაქტის გაფორმებიდან იმავე წლის მაისამდე 157 285.9 ევროს ღირებულების მასალები შეიძინა მენარდემ, იგივე პერიოდში გასცა ხელფასი – 25 079 ევრო, სხვა ხარჯების სახით კი გაიღო 12 825 ევრო, რაც დასტურდება საქმის მასალებში განთავსებული მტკიცებულებებით.

65.5. ამ განჩინების 64.4 ქვეპუნქტში მითითებული კონტრაქტის გაფორმებიდან იმავე წლის მაისამდე, შემკვეთმა მენარდისათვის გადასახდელი 100 000 ევროს ნაცვლად გადაიხადა მხოლოდ 80 000 ევრო. ამ პერიოდში შემკვეთმა სულ 199 255.9 ევრო დახარჯა, რასაც, უნდა გამოაკლდეს მის მიერვე მენარდისათვის ავანსად ჩარიცხული 80 000 ევრო, შესაბამისად, ამ უკანასკნელისათვის გადასახდელი რჩება 119 255.9 ევრო. მენარდემ აღნიშნა, რომ მისთვის შემკვეთს სწორედ 119 255.9 ევრო ჰქონდა ამ დროისათვის ასანაზღაურებელი. ამასობაში, სამუშაოების შემსრულებელმა მუშახელმა დაიწყო უკმაყოფილების გამოხატვა გაუცემელი ხელფასების გამო, შემკვეთმა საკუთარი ინიციატივით გასცა ხელფასები, დაიწყო მუშების გადაბირება, რაც, მენარდის მოსაზრებით, მიზნად ისახავდა ამ უკანასკნელის ჩამოცილებას სამუშაოებისაგან. მენარდის განმარტებით, მას შემკვეთმა მოგვიანებით პერიოდულად ჩაურიცხა თანხები, კერძოდ: 2010 წლის 8 ივლისს – 10 000 ევრო, 20 ივლისს – 2600 ევრო, 26 ივლისს – 1872 ევრო, 10 აგვისტოს – 4300 ევრო. ამ თანხებისა და პირველ ეტაპზე ავანსად ჩარიცხული 80 000 ევროს ჯამი შეადგენს 98 772 ევროს.

65.6. მენარდემ განმარტა, ფაქტია, რომ შემკვეთმა ვერ შეძლო სამუშაოების გაგრძელება და ისევ მენარდეს დაუკავშირდა, აქედან იწყება მეორე ეტაპი, კერძოდ, 2010 წლის 30 ოქტომბერს დაიდო ახალი კონტრაქტი, მასში არაფერია დაფიქსირებული წინა ეტაპზე შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადასახდელ დავალიანებაზე – 119 255.9 ევროზე. 30.10.2010. შეთანხმებით, 05.01.2010. კონტრაქტი არ გაუქმებულა, მხოლოდ დაზუსტდა გარკვეული პირობები და, მათ შორის, ერთ-ერთი იყო 7.3. ქვეპუნქტი – მენარდის ვალდებულება, 100 000-150 000 ევროს ფარგლებში შემოეტანა მასალები, რადგან შემკვეთი ვერ აფინანსებდა სამუშაოებს. 2010 წლის 30 ოქტომბრიდან 2011 წლის 25 იანვრის ჩათვლით, მენარდემ შემოიტანა 142 141.2 ევროს ღირებულების მასალები ანუ პირობა, რომ მას 150 000 ევრომდე ღირებულების მასალები უნდა შემოეტანა, შესრულდა. პირველი კასატორის განმარტებით, 30.10.2010 კონტრაქტის შემდეგ, მე-

ნარდემ მუშებზე გასცა 300 167 ლარის ხელფასი, რაც 129 382 ევროა, სხვა ხარჯებისთვის – 7292.60 ევრო; მეორე ეტაპზე მენარდემ გასწია 278 816.15 ევროს ხარჯი; იმავე პერიოდში შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 136 808 ევრო და გადასახდელი დარჩა 142 008.15 ევრო. მენარდის მიერ სარჩელითა და ამჟამად საკასაციო საჩივრით მოთხოვნილი თანხა არის ხელშეკრულების ორივე ეტაპზე შესრულებული სამუშაოებისა და განუხლები ხარჯების ჯამი, პირველი კასატორის მითითებით, 266 605 ევრო; 2011 წლის მაისიდან მენარდემ მეორედ შეწყვიტა სამუშაოები, რაც ივნისიდან უკვე შემკვეთმა გააგრძელა. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში შემკვეთის (გენერალური კონტრაქტორი) მიერ ჩაბარებულ სამუშაოებზე მათ მიმღებ ავსტრიულ კომპანიას არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს და შესაბამისად, აქტივ არ არსებობს.

65.7. საკასაციო სასამართლომ მენარდეს სააპელაციო სასამართლოში დადოქსირებულ მის პოზიციაზე (იხ. სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, 07.03.2014წ. 15:35:18-დან) მიუთითა, რომელიც პირველმა კასატორმა კიდევ ერთხელ განმარტა: შემკვეთს მხოლოდ უნდა გადაეხადა ის თანხები, რასაც გასწევდა მენარდე. შემკვეთს არ ჰქონდა ვალდებულება, გაეცა ხელფასები; თუ შემკვეთი, 05.10.2010წ. კონტრაქტის თანახმად, 119 255.9 ევროს ჩაურიცხავდა მენარდეს, ეს უკანასკნელი გასცემდა ხელფასებს.

65.8. მენარდემ ასევე განმარტა შემკვეთის 92 000 ევროთი დაჯარიმების საკითხიც და აღნიშნა, რომ პირველი 19 000 ევროიანი დაჯარიმება ეხება 2011 წლის 12 ივლისს, რა დროსაც მენარდე აღარ იყო შემკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ამ თანხის მენარდისათვის დაკისრების მოხონა დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო. მენარდე ითხოვს საკუთარი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

## **66. შემკვეთის საკასაციო პრეტენზიები:**

66.1. მენარდეს საკუთარი სახსრებით უნდა შეეძინა მასალები, დაეჭირავებინა ტექნიკა, მუშახელი, ხოლო შემკვეთს უნდა გადაეხადა თანხა. შესასრულებელ სამუშაოში პირველი ეტაპი ითვალისწინებდა ე.წ. საქმიანი ეზოს მოწყობას, რაც შემკვეთის თანხით მოხდა, 10 ერთეული ტექნიკა შემკვეთმა დაიჭირავა, ამგვარად მოხდა მობილიზაცია 2010 წლის თებერვალში და მენარდემ მარტში დაიწყო მუშაობა. მენარდის მიერ მოთხოვნილი დავალიანება რეალურად არ არსებობს დოკუმენტურად, რადგან შემკვეთმა 2010 წელს შესრულებული სამუშაოსთვის მენარდეს გადაუხადა 447 441 ევრო, რეალურად 50 441 ევროთი მეტი (მენარდემ შეასრულა 397 000 ევროს სამუშაო).

66.2. შემკვეთმა ყურადღება გაამახვილა მის მიერ შემოტანილ

ლითონის მიღებზე, კერძოდ, 295 419 ევროს ღირებულების მასალები (მიღები) შემოიტანა და განაბაჟა მან, შემდეგ დაასაწყობა, რომელთაგან ნაწილი მენარდემ ჩადო მინისტრის სამუშაოების წარმოებისას, ნაწილი კი კვლავ საწყობშია. შემკვეთი აღნიშნავს, რომ მის მიერ შემოტანილ მასალაზე ორჯერ ახდევინებენ თანხას. შემკვეთი უთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.100-4.102 ქვეპუნქტებზე და წინააღმდეგობრივად მიიჩნევს მათ. შემკვეთი ითხოვს საკუთარი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილოდეს შემდეგი გარემოებების გამო:

67. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); ორივე კასატორს აქვს წარმოდგენილი შედავება, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების 67-ე და 68-ე პუნქტებში.

68. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პრეტენზიების განხილვა პირობითად შესაძლებელია გაიყოს თითოეული კასატორის მოთხოვნისა და მის წინააღმდეგ წარმოდგენილი შესაგებლის განხილვით, ორი პერიოდის მიხედვით, კერძოდ:

68.1. 05.01.2010წ. კონტრაქტის (პირობითად პირველი კონტრაქტი) მოქმედების პერიოდში და 2. მასში 30.10.2010წ. ცვლილებების შეტანის შემდეგ (პირობითად მეორე კონტრაქტი). პირველი კონტრაქტის მონაწილე მხარეები არიან შემკვეთი, მენარდე და მეორე კონტრაქტორი (იხ. განჩინების პირველი პუნქტი); 2010 წლის 5 იანვრიდან 30 ოქტომბრამდე, გამოსაკვლევია ორივე კასატორს შორის არსებული ურთიერთობა, ნაკისრი ვალდებულებებისა და შესრულების შეფასება. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია მენარდესა

და მეორე კონტრაქტორს შორის დადებული ე.წ. კონსორციუმის შეთანხმება (იხ. წინამდებარე განჩინების 41-ე პუნქტი; კონსორციუმის ხელშეკრულება), რომლის თანახმად, მეორე კონტრაქტორის ვალდებულება იყო მხოლოდ პროდუქციის მიწოდება, ხოლო სამუშაოები მენარდეს უნდა შეესრულებინა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებაზე (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.12-4.13 ქვეპუნქტები; წინამდებარე განჩინების 26-ე პუნქტი). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც ასახულია ამავე გადაწყვეტილების 4.64-4.69 ქვეპუნქტებში, შესაბამისად, დასახელებული ქვეპუნქტების ნაწილში სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვის დროს აღარ გამოიკვლევს ამ გარემოებებს.

68.2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაა დადგენილი (4.13. ქვეპუნქტი), მენარდეს შემკვეთისათვის პროდუქცია არ მიუწოდებია, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანია, ამ პერიოდში მენარდის მიერ განეული ხარჯი და შესრულებული სამუშაო, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.15, 4.16 ქვეპუნქტის მიხედვით გამოიხატა მენარდის მიერ, 2010 წლის თებერვალ-მარტში სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირისაგან საოფისე და სამეურნეო საქონლის შექენაში, რადგან ამ პერიოდში ჯერ სამუშაოები დანეხებული არ იყო და მენარდე ამისთვის ემზადებოდა; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მენარდის მოთხოვნა, მის მიერ შექენილი სამეურნეო და საკანცელარიო ნივთების ანაზღაურებაზე, უსაფუძვლოა, ასევე, საწვავ-საპოხი მასალების შესაძენად, მუშაკების საკვებად და მათთვის ინვენტარის შესაძენად ხარჯის განევაჯ არ დასტურდება (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.80-4.81 პუნქტები), შესაბამისად, დასადგენია პირველი კონტრაქტის პერიოდში, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება. ამ გარემოების კვლევისას, სააპელაციო სასამართლო, უთითებს დადგენილ ფაქტზე, რომ მენარდემ 2010 წლის 25-დან 27 მაისის ჩათვლით, ამ პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებების გამო, დაქირავებულ მუშახელს გადაუხადა ხელფასი – სულ 3264 ლარი და 10 750 ევრო, რაც შემკვეთის მისთვის არ აუნაზღაურებია (4.16 ქვეპუნქტი, ასევე, 4.86 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების რამდენიმე ქვეპუნქტის მსჯელობასა და დასკვნებზე, კერძოდ: 4.15 ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, მენარდემ ძირითადი სამუშაოები 2010 წლის სექტემბრიდან შეასრულა; 4.25 ქვეპუნქტზე – მენარდემ 2010 წლის მაისის თვეში

მიატოვა საწარმო; 4.26 ქვეპუნქტზე – მენარდეს 2010 წლის მაისამდე სამუშაოები არ ჩაუტარებია, 4.31 ქვეპუნქტზე: საყურადღებოა, რომ შემკვეთს შესყიდვათა დიდი ნაწილი ნაწარმოები აქვს 2010 წლის 13 ივლისიდან იმავე წლის ოქტომბრამდე, „როცა ძველი ხელშეკრულება მოშლილი იყო, ხოლო ახალი ჯერ მხარეებს დადებული არ ჰქონდათ. ეს კი ნიშნავს, რომ ამ შესყიდვების პერიოდში, მხარეებს ერთმანეთის მიმართ ვალდებულებითი ურთიერთობები არ აკავშირებდათ“. საკასაციო სასამართლოს წინააღმდეგობრივად მიაჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, რომლებზეც ქვეპუნქტების მიხედვით მიუთითა და განმარტავს, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დადგენას, კერძოდ, პირველად რომელმა მხარემ მოშალა ხელშეკრულება – ჯერ მენარდემ მიატოვა სამუშაოები თუ შემკვეთმა მოშალა ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების 49-ე და 55-ე პუნქტები); მოდავე მხარეთაგან, მენარდის მიერ 05.01.2010წ. ხელშეკრულების იმავე წლის მაისში მოშლის შემდეგ, თუკი მათ შორის აღარ არსებობდა ვალდებულებები, რის საფუძველზე შეასრულა მან იმავე წლის სექტემბრიდან ძირითადი სამუშაოები, თუ მაისში უკვე მიტოვებული ჰქონდა მათი წარმოება და ოქტომბრამდე მხარეთა შორის ურთიერთობა არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს 30.10.2010წ. შეთანხმების ფარგლებში, რა ურთიერთვალდებულებები ეკისრებოდათ მხარეებს, როგორ, როდის და რა მოცულობით შეასრულეს, თუკი სექტემბერში მენარდე ასრულებდა ძირითად სამუშაოს, მაშინ რა პერიოდში მოიშალა ხელშეკრულება და ვის მიერ, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, მენარდემ 2010 წლის მაისში მიატოვა სამუშაოები ანუ მოშალა ხელშეკრულება, ხოლო იგივე გადაწყვეტილებაში შემკვეთის მიერ ხელშეკრულების მოშლის თარიღად 2010 წლის 13 ივლისია მითითებული; ამასთან, როგორც დადგენილია, მხარეთა შორის მხოლოდ 2010 წლის 30 ოქტომბერს აღდგა ურთიერთობა ძველ კონტრაქტში ცვლილებების შეტანით, რომელსაც მხოლოდ შემკვეთმა და მენარდემ მოაწერეს ხელი.

68.3. საკასაციო სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორის დადგენას, რადგან გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, სააპელაციო სასამართლო სსკ-ის 636-ე მუხლზე უთითებს (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.77 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად მო-

შალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის, რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს (მენარდეს) ეკისრება ტვირთი, ამტიციოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით... საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმოილ ნორმაში, მდგომარეობს შემკვეთის ვალდებულებაში, აუნაზღაუროს კონტრაჰენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის ნანამძღვრებს კი არ აწესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში გამანონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაუროდეს მენარდეს“ (სუსგ, №ას-697-663-2015; 15.12.2015წ.). გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.75 ქვეპუნქტით უდავოდაა დადგენილი, რომ მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება, ორივე შემთხვევაში, ვადამდე მოშალა შემკვეთმა. სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნა ეწინააღმდეგება მისსავე დასკვნას, რომ მენარდემ 2010 წლის მაისში მიატოვა სამუშაოები ანუ მოშალა ხელშეკრულება (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.25 პუნქტი). მოდავე მხარეთა შორის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატორი მხარის დადგენა არსებითი მნიშვნელობისაა, რადგან სამოქალაქო კოდექსი ნარდობის მომწესრიგებელ ნორმათა შორის კონკრეტულ პირობებს განსაზღვრავს ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, იქნება ეს შემკვეთის თუ მენარდის ინიციატივით.

68. 4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მენარდის სააპელაციო საჩივარი სსკ-ის 633-ე, 637-ე მუხლებს ეყრდნობა, 637-ე მუხლი სპეციალური ნორმაა ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში და მენარდეს აძლევს ხელშეკრულების მოშლის ინიციატივის შესაძლებლობას ორი საფუძველით: 1. შემკვეთს უნდა შეეძლოს სამუშაოს დასრულებამდე მომსახურების სხვაგვარად მიღება; 2. ხელშეკრულების შეწყვეტისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილე-



ბის სამართლებრივ დასაბუთებაში ცალსახად და არაორაზროვნად უნდა აისახოს შემკვეთმა მოშალა ხელშეკრულება თუ მენარდემ.

68.5. საკასაციო სასამართლო, ასევე, ამახვილებს ყურადღებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.21-4.22 ქვეპუნქტებზე იმ თვალსაზრისით, რომ მენარდისათვის 13.07.2010წ. გაგზავნილი წერილი (გასაჩივრებული გადაწყვეტილება), რომლითაც შემკვეთმა წერილობით დაუფიქსირა პრეტენზია მენარდეს, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების პირობებისა და სტანდარტების, მ.შ. მასალების დაბალი ხარისხის თაობაზე, აძლევდა თუ არა შემკვეთს რაიმე სახის მოთხოვნის (სსკ-ის 636-ე მუხლი) წარდგენის საფუძველს 05.01.2010წ. კონტრაქტის პირობების დარღვევისათვის, რადგან სამუშაოს შესრულება სწორედ პირველ (მენარდეს) და არა მეორე კონტრაქტორს ეკისრებოდა, ამასთან, ამ კონტრაქტში ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი ის შეთანხმება, რაც მოგვიანებით, 30.10.2010 ცვლილებით გაითვალისწინეს მხარეებმა 12.2. ქვეპუნქტის სახით, კერძოდ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, მისი შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევი მხარის მიერ დარჩენილი სამუშაოების ღირებულების 10% გადახდის თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი).

68.6. საკასაციო სასამართლო, ყურადღებას ამახვილებს მენარდის ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.79 პუნქტის შესახებ: „შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებას მენარდე არ ითხოვს“ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება; მენარდის საკასაციო საჩივარი), რაც კასატორს არასწორად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ მის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, განეული სამუშაოებისა და დანახარჯების გათვალისწინებით, არსებული დავალიანების ანაზღაურება. კასატორი უთითებს, როგორც ე.წ. პირველი კონტრაქტის პერიოდში – 2010 წლის 7 ივნისიდან იმავე წლის 26 დეკემბრამდე შესრულებული 267 007.56 ევროს ღირებულების სამუშაოზე, ასევე, მეორე კონტრაქტის პერიოდში – 2011 წლის 7 თებერვლიდან იმავე წლის 10 მაისამდე შესრულებულ 235 460.85 ევროს სამუშაოზე და საბოლოოდ ითხოვს შემკვეთისათვის 266 605 ევროსა და პირგასამტეხლოს 200 000 ევროს დაკისრებას (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი – 18.12.2015); პირველი კასატორის შედავების კონტექსტშიც მნიშვნელოვანია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძვლის დადგენა (სსკ-ის 636-ე და 637-ე მუხლები), რადგან თითოეულ მათგანს განსხვავებული წინაპირობა აქვს და განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება, რაც მნიშვნელოვანია მოდავე მხარეთა პოზიციების გამოკვლევისა და დასაქმზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

68.7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მხარეთა განმარტებებით დადგინდა, რომ 2010 წლის 30 ოქტომბერს განახლებული ურთიერთობის შემდეგ, 2011 წლის ივნისამდე მუშაობდა მენარდე; მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მეორე ეტაპზე, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სამუშაოებისათვის საჭირო მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულებები. აღნიშნული საკითხი საკმაოდ დეტალურად აქვს გამოკვლეული სააპელაციო სასამართლოს, თუმცა, საბოლოოდ დასადგენია ის გარემოება, რაზეც მოდავე მხარეებმა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზეც, საქმის არსებითი განხილვისას, ზეპირი მოსმენისას დააფიქსირეს პოზიციები, კერძოდ, ლითონის მილების შეძენისა და მათ ჩასადებად განეული სამუშაოების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის სხდომაზე (აუდიო დისკი 11:50:28-დან) პროცესუალურმა მოწინააღმდეგეებმა ეს საკითხი განსხვავებულად განმარტეს, კერძოდ, შემკვეთის მტკიცებით, მან შემოიტანა ლითონის მილები, საიდანაც 2 კმ-დან 107 000 ევროს ღირებულების მილები ბათუმში, ბ-ის ქუჩაზე ჩააწყო მენარდემ, თუმცა, ამ უკანასკნელმა ხელი არ მოაწერა მილების მიღებას ანუ არ „გადაინერა“ ისინი, რათა მათი ღირებულება შემკვეთს შემდეგ მენარდისათვის არ დაეკისრებინა. მეორე მხრივ, მენარდემ დაადასტურა, რომ მილები შემკვეთმა შემოიტანა, ხოლო მან შეასრულა სამუშაოები. საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, შემკვეთმა კვლავ გაამახვილა ყურადღება მილების შეძენაზე, მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.60 ქვეპუნქტზე. საკასაციო სასამართლოს მიზანია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოების ხელახლა გამოკვლევისას, ყურადღება უნდა გაამახვილოს და შესატყვისი მტკიცებულებების საფუძველზე მიუთითოს, დასტურდება თუ არა ლითონის მილების შეძენა, ხოლო დადასტურების შემთხვევაში – ვინ შეიძინა, რა ღირებულების, ასევე, გამოსაკვლევია, მილების მიწისქვეშა სამუშაოებისათვის გამოყენების ფაქტი, სად, რა ღირებულების მილები ჩაეწყო მიწისქვეშ, ვინ გასწია კონკრეტული სამუშაოები და როდის, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დადგინდეს თითოეული მოდავე მხარის კავშირი აღნიშნულ გარემოებასთან და მათ მიერ დახარჯული რესურსი.

68.8. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯერ უნდა დადგინდეს სადავო სამართალურთიერთობის შესაბამისად, მოდავე მხარეთა პრეტენზიების წარმოშობის იურიდიული დასაბუთებულობა, საკასაციო განაცხადის ფაქტობრივი საფუძველი და შესაბამისი ნორმით დადგენილი სამართლებრივი შედეგი, ხოლო შემდეგ, თითოეული მხარის მოთხოვნის შესაბამისობა საქმეში

წარმოდგენილი სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.

68.9. შემკვეთსა და მენარდეს საკასაციო საჩივრებზე გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი – თითოეულს 8000 ლარი.

68.10. სსსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ამავე ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების არასაკმარისი იურიდიული დასაბუთებულობის გამო. წინამდებარე განჩინებაში მითითებული სამართლებრივი შეფასებისათვის, დამატებითი კვლევის ნაწილში, რადგან საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ფაქტები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები; მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მართებულ შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რის გამოც, საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მათი სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი სახეზეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. შპს „გ-7-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შპს „გ-7-ისა“ და შპს „ი-ის“ სააპელაციო საჩივრების ხელახლა განსახილველად;
4. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ნარდობის ხელშეკრულების მოწესრიგება

## გადაწყვეტილება საქართველოს სასაქონლო

№ას-468-442-2014

28 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და  
ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „რ. ფ. მ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემკვეთი, მოპასუხე, მეორე აპელანტი ან კასატორი) მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გამოცხადებულ ტენდერში შპს „ტ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მენარდე, მოსარჩელე, პირველი აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) სატენდერო წინადადებას გაიმარჯვა და 2012 წლის 11 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა ქ. სამტრედიის ვაგონ-ცისტერნის გამრეცხის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ხელშეკრულება), (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 629.1 მუხლი).

2. მოპასუხესა და კომპანია „I.B.I.Z.G.“-ის საქართველოს ფილიალს (წარმომადგენლობას) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „ა.“, ზედამხედველი კომპანია ან ინჟინერი) შორის 2012 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისათვის ზედამხედველ კომპანიად მოპასუხემ „ა.“ დანიშნა, რის თაობაზეც მენარდეს 2012 წლის 5 დეკემბერს აცნობა (ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების მესამე პუნქტი).

3. მოპასუხის დამფუძნებლისა და 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის – სს „ს. რ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პარტნიორი, დამფუძნებელი) დირექტორთა საბჭომ 2013 წლის 22 იანვრის დადგენილებით მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც შემკვეთმა მენარდეს იმავე წლის 28 იანვარს აცნობა (ხელშეკრულების განსაკუთ-

რებული პირობების 15.5 პუნქტი).

4. 2013 წლის 8 თებერვალს მენარდემ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ზედამხედველ კომპანიაში წარადგინა განუვლი ხარჯების ნუსხა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

5. 2013 წლის 25 მარტს ინჟინერმა შემკვეთს გაუგზავნა წერილობითი დასკვნა მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხის შესახებ. საპასუხოდ შემკვეთმა აცნობა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგებს, მენარდისათვის ასანაზღაურებელ ხარჯსა და მათ დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ინჟინერმა 2013 წლის 29 მარტის წერილით კვლავ დაადასტურა დასკვნაში მითითებული ხარჯების რეალობა, ამასთან, გასცა გადახდის საბოლოო სერთიფიკატი, რომლის მიხედვითაც ასანაზღაურებელი ხარჯი 163 402.52 ლარს შეადგენდა (ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 14.13 პუნქტი).

6. შემკვეთმა მენარდეს გადახდის საბოლოო სერთიფიკატში მითითებული თანხა არ გადაუხადა.

**7. 2013 წლის 23 მაისს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეს დაჰკისრებოდა:**

7.1. შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 154 940,66 ლარი;

7.2. დღგ-ის თანხა – 27 889.32 ლარი, რომელიც მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის უნდა ყოფილიყო გადახდილი;

7.3. მიუღებელი შემოსავალი მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 8% – 425 703.70 აშშ დოლარი;

7.4. დღგ-ს გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი – 27 889.32 ლარის 0.06% ყოველდღიურად – 2013 წლის 15 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

7.5. სს „ს.ბ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ბანკი) მიერ მოსარჩელეზე დარიცხული ჯარიმა – 32 316.80 აშშ დოლარი;

8. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ თავისი ინიციატივით ვადამდე შეწყვიტა ხელშეკრულება და დაარღვია ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული მოსარჩელისათვის ხარჯების გადახდის წესი. 2013 წლის 29 მარტს ზედამხედველმა კომპანიამ წარადგინა ხარჯების გადახდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძველი – საბოლოო გადახდის სერტიფიკატი, რომელშიც ხარჯები „ფიდიკის კონტრაქტით“ გათვალისწინებული პროცედურებისა და ვადების დაცვით შეფასდა. მოპასუხემ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შესაბამისი თანხა არ გადაიხადა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს დამატებით უნდა დაჰკისრებოდა საგა-

რანტიო წერილის გაცემის ერთჯერადი საკომისიოსა და ორი თვის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის გამო ბანკის მიერ დარიცხული ჯარიმა, რომელიც საბოლოო გადახის სერტიფიკატი შეტანილი არ იყო, რადგან ინჟინერს დოკუმენტები, ჯარიმის დარიცხვამდე, 2013 წლის 28 იანვარს წარედგინა. მოსარჩელე მიუღებელი შემოსავალის სახით 8%-ის ანაზღაურებას ითხოვდა, ვინაიდან ხარჯთაღრიცხვაში დაგეგმილი მოგება სწორედ ამ ოდენობით იყო გათვალისწინებული.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ ხელშეკრულება შეწყდა არა ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 15.5. პუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგად უფლებამოსილებას, არამედ კონტრაქტის საერთო პირობების 17.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა ხელშეკრულების შეწყვეტის მისგან დამოუკიდებელ მიზეზს, რომლის გამოც ველარ გააგრძელებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ასეთ დროს კი, შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ზოგადი პირობების 17.4. პუნქტი).

მოპასუხის მტკიცებით, საბოლოო სერტიფიკატი შედგენილია არასწორად და კანონდარღვევით, კერძოდ, ის ითვალისწინებს როგორც შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას, ისე ზიანის ანაზღაურებას. ხელშეკრულება მხარეთა შორის „ფიდიკის კონტრაქტით“ გათვალისწინებული პროცედურებისა და ვადების დაცვით არ გაფორმებულა („ფიდიკის“ ზოგადი პირობები ბაზისია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებისათვის). იგი დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში იგი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის.

ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ექსპერტიზის დასკვნა) თანახმად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება მხოლოდ გეოლოგიურ-საინჟინრო ნაწილში დადგინდა (6000 ლარი დღგ-ის გარეშე), ხოლო დარჩენილ ნაწილზე, არასრულად წარდგენილი დოკუმენტაციის გამო, ღირებულების დადგენა ვერ მოხერხდა.

**10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარ-**

### **ჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:**

10.1. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 47 439.19 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

10.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დღგ-ის სახით გადასახდელი თანხის 8 539.05 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

10.3. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 50-ე, 316.1, 317.1, 361-ე, 629.1, 636-ე, 648-ე, 407.1, 410-ე მუხლები და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup>.1<sup>1</sup> მუხლი გამოიყენა. მან არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება ინჟინრის მიერ შესრულებული გადახდის საბოლოო სერტიფიკატში მითითებული თანხის უპირობოდ ანაზღაურების თაობაზე და განმარტა, რომ, მართალია, ინჟინერი მხარეთა შეთანხმებით იყო დანიშნული, მაგრამ კონტრაქტი არ კრძალავდა ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი დასკვნის გადასინჯვასა და მასში შესწორებების შეტანას. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ინჟინრის მიერ გაცემული საბოლოო სერტიფიკატი მხარეებს სადავოდ გაეხადათ.

12. სასამართლომ გადახდის საბოლოო სერტიფიკატში მითითებული ხარჯის საფუძვლიანობის შეფასებისას გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც ვერ დადგინდა მოსარჩელის მიერ შესაბამისი ხარჯების განევის ფაქტი. ამასთან, სასამართლოს მითითებით, ინჟინრის მიერ წერილში გაკეთებული განმარტება, რომ მოცემული ხარჯები მას გონივრულად მიაჩნდა და ამიტომ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად ვერ გამოდგებოდა.

13. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა და არც ზემოაღნიშნული წერილებიდან და ექსპერტიზის დასკვნიდან არ დგინდებოდა შემდეგი ხარჯების გაღების ფაქტი: სანოტარო მომსახურების ხარჯი – 76.44 ლარი; ლაბორატორიის, გეგმარების, ავეჯისა და სპეცაპარატურის აღჭურვაზე, ტესტ-მეთოდების შერჩევა-კვლევასა და ესკიზი-გეგმარებაზე განეული ხარჯი – 8 400 ლარი; ტოპოგეოდეზიური სამუშაოების, ასევე საპროექტო სამუშაოების-რკინიგზის ლიანდაგის ხარჯები – შესაბამისად, 6 300 ლარი და 9 170.70 ლარი; 61 800 ლარი, რაც განეულ იქნა შრომით ხარჯებზე; ადმინისტრაციულ-საოფისე, სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა ხარჯები – 10 001.16 ლარი.

14. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარებოდა საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებზე მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება 6 000 ლარი, თუმცა სადავო არ იყო, რომ აღნიშნული თანხა მოპასუხემ მოსარჩელეს სასამართლოში დავის მიმდინარეობის დროს აუნაზღა-

ურა, რის გამოც მისი კვლავ მოპასუხეზე დაკისრების საფუძველი არ არსებობდა. ინჟინრის მიერ სერტიფიკატში მითითებულ „ჩ. მ“-ის მოთხოვნილ ხარჯთან (პროექტირების ხარჯი – 24 034 ლარი და სხვა სახის ხარჯი 17 406.51 ლარი) დაკავშირებით სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნა გაიზიარა და მოპასუხეს მხოლოდ პროექტირების ხარჯი – 24 034 ლარი დააკისრა.

15. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის შესრულების გარანტიის: 2 321.45 ლარის, საავანსო გარანტიის გაცემის საკომისიოს – 5 756.48 ლარის, საავანსო გარანტიის დეკემბრის თვის საკომისიოს 7 663.63 ლარის, აგრეთვე საავანსო გარანტიის იანვრის თვის საკომისიოს 7 663.63 ლარის ანაზღაურების თაობაზე საფუძველიანი იყო და დააკმაყოფილა. სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხეს აღნიშნული თანხების საფუძველიანობა არც ინჟინრისადმი მიწერილ წერილში გაუხდია სადავოდ და არც სასამართლო სხდომაზე წარუდგენია დასაბუთებული პრეტენზია.

16. სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ის ჩათვლით განისაზღვრა, შესაბამისად, საფუძველიანად მიიჩნია მოპასუხისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე (47 439.19 ლარი) დარიცხული დღგ-ის – 8 539.05 ლარის დაკისრება.

17. სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მოპასუხეს მხოლოდ მენარდის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა, რის გამოც ზიანის ანაზღაურების ნაწილში მისი მოთხოვნა უარყო.

18. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე მითითებით მოითხოვა:

18.1. ინჟინერი მხარეთა შეთანხმებით არ დანიშნულა, ის თავად მოპასუხემ დანიშნა, რის თაობაზეც მოსარჩელეს წერილობით აცნობა, შესაბამისად, ინჟინერი შემკვეთის სახელით მოქმედი პირი იყო. ხელშეკრულების (14.11, 14.12 პუნქტების) მიხედვით, ინჟინერი დამკვეთს გადასცემდა საბოლოო გადახდის სერთიფიკატს. სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ ის შეიძლება სადავოდ გამხდარიყო. „საბოლოო გადასახდელი თანხა“ ნიშნავს საბოლოოს, რომლის მოპასუხის მიერ ცალმხრივად შეცვლის მექანიზმი, კონტრაქტის მიხედვით, არ არსებობდა.

18.2. ექსპერტიზის დასკვნაში არ იყო განმარტებული, თუ რატომ ვერ დაადგინა ექსპერტმა გარკვეული სამუშაოების ღირებუ-



ლება. ამასთან, მათი დაუდგენლობა არ ნიშნავდა იმას, რომ მოსარჩელემ უფასოდ, ხარჯის გარეშე გასწია სამუშაოები. სასამართლოს მიერ ხარჯის დაანგარიშება არასწორი იყო, ვინაიდან იგი არც ინჟინრის და არც ექსპერტიზის დასკვნის არსებით განხილვაში არ უნდა შესულიყო.

18.3. სასამართლომ უგულებელჰყო კონტრაქტის 14.7 და 14.8 პუნქტები, რომელთა მიხედვითაც, დამკვეთს კონტრაქტორისათვის უნდა გადაეხადა საბოლოო გადახდის სერტიფიკატში მითითებული თანხა, მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებული იყო, გადაეხადა დაგვიანების პერიოდში დარიცხული ხარჯები.

18.4. სასამართლომ ზიანის საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი სამოქალაქო კანონმდებლობასთან შედარებით უფრო სპეციალურად მიიჩნია. სასამართლომ მიკერძოებულად განმარტა სსკ-ის 411-ე, 412-ე და 414-ე მუხლები, უგულებელჰყო ამავე კოდექსის 404-ე მუხლი და, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ბანკის მიერ დარიცხული ჯარიმის, დღგ-ის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავისა და მიუღებელი შემოსავალის სახით 8%-ის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში.

19. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით მოითხოვა:

19.1. მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ სპეციალური კანონით რეგულირებადი იყო და არ იყო კლასიკური ნარდობის ხელშეკრულება. მითითებული კანონით კი, იმპერატიულადაა დადგენილი, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ შეწყვეტის მომენტამდე შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

19.2. მოსარჩელის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან აღნიშნული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები მოსარჩელეს არ წარუდგენია.

**20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით:**

20.1. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

20.2. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

20.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მი-

ღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა;

20.4. შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 154 940.66 ლარი, დღგ – 27 889.32 ლარი, მიუღებელი შემოსავალი – 425 703.70 ლარი, დღგ-ის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი – 27 889.32 ლარის 0.06% ყოველდღიურად 2013 წლის 15 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ბანკის მიერ მოსარჩელეზე დარიცხული ჯარიმა – 32 316.80 აშშ დოლარი.

21. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება შეწყდა 15.5 პუნქტის შესაბამისად, რის გამოც შემკვეთს თანხა ხელშეკრულების 19.6 პუნქტის მიხედვით უნდა გადაეხადა. მითითებული პუნქტი კი ადგენს, რომ ხელშეკრულების ამ წესით შეწყვეტის შემთხვევაში, ინჟინერი უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულებას დაადგენს და გამოსცემს გადახდის სერთიფიკატს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ნებისმიერ იმ ხარჯს ან ვალდებულებას, რომელიც მოცემულ გარემოებაში სამართლიანად წარმოექმნა კონტრაქტორს სამუშაოების დასრულების მოლოდინში.

22. პალატამ სადავო სამართალურთიერთობებში „ინჟინერის“ როლზეც გაამახვილა ყურადღება და იგი კონტრაქტში მითითებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, დამკვეთის სახელით მოქმედ პირად მიიჩნია. ამასთან, აღნიშნა, რომ სადავო შემთხვევაში ინჟინრის მიერ განხორციელებული უფლებამოსილება არ განეკუთვნებოდა არცერთ იმ შემთხვევას, რომლისთვისაც კონტრაქტი მის მიერ შემკვეთისგან სპეციალური თანხმობის მიღებას ადგენდა.

23. პალატამ დაასკვნა, რომ შემკვეთს უფლება არ ჰქონდა სადავოდ გაეხადა მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული და მისივე სახელით მოქმედი ინჟინრის მიერ გაცემული „გადახდის საბოლოო სერთიფიკატი“. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ განსახილველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულების, გადახდის სერთიფიკატის შედგენისა და გამოსცემის წესებს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ადგენდა, რომლის შეცვლის უფლება დამკვეთს ცალმხრივად არ ჰქონდა. ამასთან, ის გარემოება, რომ სწორედ „გადახდის სერთიფიკატი“ იყო გადახდის საფუძველი, ერთმნიშვნელოვნად ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების, სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, განმარტებიდან გამომდინარეობდა.

24. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ხელშეკრულების ის პუნქტები (11.9, 15.3 და 15.4), რომელთა საშუალებითაც პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლო ცდილობდა დაესაბუთებინა მოსაზრება, რომ „საბოლოო გადახდის სერთიფიკატი“ არ იყო საბოლოო, განსახილველ დავასთან შემხებლობაში არ იყო, რადგან ისინი სხვა შემთხვევებს არეგულირებდა. კერძოდ, კონტრაქტის 11.9 პუნქტი „შესრულების სერთიფიკატს“ შეეხებოდა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საკითხი შეეხებოდა სანყის სტადიაზე შექვევითის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის გამო გაცემულ „გადახდის საბოლოო სერთიფიკატს“ და ასეთ ვითარებაში „შესრულების სერთიფიკატის“ გაცემას კონტრაქტის 15.5 და 19.6 პუნქტები არ ითვალისწინებდა. ხელშეკრულების 15.3 და 15.4 პუნქტების გამოყენება დაუშვებელი იყო, რადგან არ არსებობდა 15.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლითაც დადგენილია შექვევითის უფლებამოსილება, შეწყვიტოს კონტრაქტი კონტრაქტორის ბრალეული ქმედების გამო. სააპელაციო პალატამ ამავე დასაბუთებით არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრებები 14.6 პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არც 14.11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არსებობდა, რადგან ინჟინერსა და მენარდეს შორის რაიმე უთანხმოება გაანგარიშების საკითხზე არ წარმოშობილა, ეს უკანასკნელი დაეთანხმა გაანგარიშებას, რის გამოც ინჟინერმა შექვევით წარუდგინა არა „შუალედური გადახდის სერთიფიკატი“, არამედ „საბოლოო გადახდის სერთიფიკატი“. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებმა დავის გადაწყვეტის მეოცე მუხლით განმტკიცებულ წესზე (საჩივრები, დავა, არბიტრაჟი) ნებაყოფლობით თქვეს უარი.

25. პალატამ მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად წარდობის ხელშეკრულება მიიჩნია და არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup> მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტს ეფუძნებოდა. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისთვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული შემთხვევა სწორედ ამ ნორმით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევა იყო, რადგან სამოქალაქო კოდექსში სახელშეკრულებო სამართლის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები (იგულისხმება 394.1, 408-ე, 411-ე, 412-ე, 414-ე მუხლები) ადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიერ. გარდა ზოგადი ნორმებისა, ზი-

ანის ანაზღაურების ვალდებულებას პირდაპირ ითვალისწინებს სა-  
დავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური  
ნორმა – სსკ-ის 636-ე მუხლი. ამასთან, სასამართლოს მითითებით,  
კონტრაქტის პირობების დამრღვევი მხარის მიერ ზიანის ანაზღა-  
ურების ვალდებულება ხელშეკრულების არაერთი პუნქტით იყო  
განმტკიცებული (8.9, 14.8, 19.6 პუნქტები).

26. რაც შეეხება მოპასუხის მიერ მითითებულ ზიანის ანაზღაუ-  
რებაზე უარის თქმის საფუძველს, იმას, რომ ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულებების შესრულება, მისგან დამოუკიდებელი მი-  
ზეზების გამო ვერ შეძლო, რის გამოც მხოლოდ ფაქტიურად შეს-  
რულებული სამუშაოს ღირებულება უნდა ანაზღაუროს (17.3 და  
17.4 პუნქტები), პალატამ მიუთითა, რომ პარტნიორის გადაწყვე-  
ტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ვერ ჩაითვლებოდა  
„შემკვეთისაგან დამოუკიდებელ მიზეზად“. ამასთან, განსახილვე-  
ლი სადავო საკითხი (კონტრაქტორისთვის თანხების ანაზღაურე-  
ბა შემკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვე-  
ვაში) პირდაპირ იყო დარეგულირებული ხელშეკრულების განსა-  
კუთრებული პირობების 15.5 და 19.6 პუნქტებით. ეს უკანასკნელი  
კი, შესრულებული სამუშაოების თანხასთან ერთად, ითვალისწი-  
ნებდა დამკვეთის ვალდებულებას კონტრაქტორის მიერ განეული  
(გასანევი) სხვადასხვა ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. ამას-  
თან, განსაკუთრებულ პირობებს (ე.წ. „ფიდიკის წესებს“) უპირა-  
ტესობა ენიჭებოდა საერთო პირობებთან შედარებით.

27. მიუღებელი შემოსავლის დაკისრებასთან დაკავშირებით, სა-  
აპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/  
1463 ბრძანებაზე, რომელიც ადგენს გეგმიური მოგების ოდენობას  
არაუმეტეს 8%-ის ოდენობით. სასამართლომ განმარტა, რომ მო-  
სარჩელის ხარჯთაღრიცხვაში დაგეგმილი მოგების სახით გათვა-  
ლისწინებული 8% შესული იყო დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის  
შესაბამისი ერთეულების ღირებულებაში. შესაბამისად, არსებობ-  
და „კანონისმიერი პრეზუმფცია“, რომ მენარდე სადავო ხელშეკ-  
რულების პირობებში მიიღებდა მოგებას მითითებული ოდენობით.  
ეს „კანონისმიერი პრეზუმფცია“ მოპასუხეს, სსსკ-ის მე-4 და 102-  
ე მუხლებით დადგენილი წესით, არ გაუქარწყლებია.

28. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სა-  
კასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვე-  
ტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარ-  
ჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

28.1. მოსარჩელეს განეული ხარჯების დამადასტურებელი ის  
მტკიცებულებები, რომელიც ინჟინერსაც გადასცა, სასამართლო-

ში არ წარმოუდგენია. აღნიშნული ხარჯების განევის მტკიცების ტვირთი კი, მას ეკისრებოდა.

28.2. სასამართლომ დაადგინა ინჟინრის მიერ შედგენილი საბოლოო გადახდის სერთიფიკატის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია და საერთოდ აკრძალა მისი გასაჩივრების უფლება. კასატორის განმარტებით, აღნიშნული სერთიფიკატი არ წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის უპირობო შესრულების ვალდებულება კონსტიტუციით არის დადგენილი. ფიდიკის წესები (3.5 მუხლი) ადგენს, რომ ინჟინრის მიერ გამოცემული გადახდის სერთიფიკატი გადასინჯვას მეოცე მუხლის ფარგლებში ექვემდებარება. ამასთან, მართალია, მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დავების საბჭოს არ მიმართავდნენ, მაგრამ იქვე დათქვეს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს საერთო სასამართლოები განიხილავდნენ.

28.3. გადახდის სერთიფიკატის შედგენის დროს ინჟინერმა თავად დაარღვია ხელშეკრულება, კერძოდ, როდესაც კასატორმა მას ხარჯებთან დაკავშირებით განმარტება მოსთხოვა, მისი პასუხი, რომ მითითებული ხარჯები გონივრულად მიაჩნდა, დაუსაბუთებელი იყო. გარდა ამისა, ინჟინერი არ დაელოდა მისი გადაწყვეტილების შემკვეთის მიერ გადასინჯვას და იმავე დღეს გამოსცა გადახდის საბოლოო სერთიფიკატი, რაც მის ტენდენციურობასა და არაობიექტურობაზე მიუთითებს.

28.4. ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაიდო, ამიტომ ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასამართლოს ამ კანონით უნდა ეხელმძღვანელა. ამასთან, ხელშეკრულების თავისუფლებისა და ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემსყიდველი ვალდებულია, მიმნოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება (17.4 პუნქტი). მართალია, სსკ-ის 636-ე მუხლი ადგენს, რომ შემკვეთმა მენარდეს უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი, მაგრამ მხარეებმა, სსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარი თქვეს.

28.5. არასწორია სასამართლოს შეფასება, რომ დამფუძნებლის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტაზე შემკვეთისაგან დამოუკიდებელი მიზეზი არ არის. მხარეებს შორის მოქმედი ხელშეკრულების დაფინანსების წყაროს ბანკიდან აღებული კრედიტი წარმოადგენდა. პარტნიორის გადაწყვეტილებით კი, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეწყდა. ამასთან, შემკვეთს, დამფუძნებ-

ლის თანხმობის გარეშე, საბანკო კრედიტის მხოლოდ 20 000 ლარის ოდენობით აღების უფლება ჰქონდა.

28.6. სასამართლომ ხელშეკრულების 17.3 და 17.4 პუნქტები არ გამოიყენა იმ მოტივით, რომ ისინი ხელშეკრულების ზოგად ნაწილში იყო განთავსებული და განსაკუთრებულ ნაწილს ენიშნაღმდეგებოდა, კოლიზიისას კი, ამ უკანასკნელს უპირატესობა ენიჭებოდა. მოცემულ შემთხვევაში, ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილს შორის კოლიზია არ არსებობს. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კონტრაქტორისათვის ასანაზღაურებელი ხარჯის განმარტება განსაკუთრებული პირობების 1.1.4.3. ქვეპუნქტშია მოცემული, რომლის თანახმადაც „ხარჯი“ ნიშნავს კონტრაქტორის მიერ გაწეულ ნებისმიერ გონივრულ ხარჯს როგორც სამუშაოს ადგილას, ასევე მის ფარგლებს გარეთ ზედნადების და სხვა ხარჯების ჩათვლით, მაგრამ არ მოიცავს მოგებას.

28.7. მენარდეს 28 დღის განმავლობაში სადავოდ არ გაუხდია ინჟინრის მიერ გამოცემული საბოლოო გადახდის სერტიფიკატი (განსაკუთრებული პირობების 20.1 პუნქტი), რაც ნიშნავს იმას, რომ იგი დაეთანხმა სერთიფიკატში მითითებულ თანხას და დამატებით მიუღებელი შემოსავლის, დღგ-სა და სხვა ზიანის მოთხოვნის უფლება აღარა აქვს. მიუღებელი შემოსავლის დაკისრებასთან დაკავშირებით, სასამართლო ენდო მოსარჩელის მიერ მითითებულ 12.07.2012 წლის №1-1/1463 ბრძანებას და არ გაითვალისწინა, რომ მოგების მარჯა იანგარიშება პირდაპირი დანახარჯებიდან, რომელიც არათუ სასამართლომ, კონტრაქტორმაც კი არ იცის პროექტის დასრულებამდე. გადანყვეტილება დაუსაბუთებელია ბანკის მიერ დარიცხული ჯარიმის, დღგ-ისა და დღგ-ის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავის დაკისრების ნაწილშიც, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც მითითებული თანხების მოსარჩელეზე დარიცხვას დაადასტურებდა.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

30. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელა-

ციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორადვე განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ გასაზიარებელია.

31. მოსარჩელის პირველი მოთხოვნა ნარდობის ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 629.1 მუხლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 154 940.66 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაა. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-6 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 636-ე (შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი) მუხლი.

32. სსკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წინაპირობებია: მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების დადება; მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაწილის შესრულება; სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს შემკვეთს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოვალეობისგან. აღნიშნულს არც შემკვეთი არ ხდის სადავოდ. კასატორის პრეტენზია ისაა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

33. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს შესრულებული სამუშაოს ღირებულება დააკისრა, რომელიც ინჟინრის მიერ გაცემული გადახდის საბოლოო სერტიფიკატის მიხედვით დღგ-ის გარეშე 154 940.66 ლარს შეადგენდა. კასატორი მიიჩნევს, რომ საბოლოო სერტიფიკატი შედგენილია არასწორად და კანონდარღვევით. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება მხოლოდ გეოლოგიურ-საინჟინრო ნაწილში დადგინდა (6000 ლარი დღგ-ის გარეშე), ხოლო დარჩენილ ნაწილზე, არასრულად წარდგენილი დოკუმენტაციის გამო, ღირებულების დადგენა

ვერ მოხერხდა. ამ ხარჯების განევის მტკიცების ტვირთი კი, მოსარჩელეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეძლო. სასამართლომ ისე გაიზიარა ინჟინრის მიერ შედგენილი საბოლოო გადახდის სერტიფიკატი მითითებული ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, რომ სისწორე არ შეუმონმებია.

34. პალატა არ იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ინჟინრის მიერ გამოცემული გადახდის სერტიფიკატის შესაბამისად ანაზღაურების თაობაზე, მართებულია შემდეგ გარემოებათა გამო:

34.1. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება შეწყდა მისი განსაკუთრებული პირობების 15.5 პუნქტის საფუძველზე, ვინაიდან დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ არ შეიძლება, შემკვეთისაგან დამოუკიდებელ მიზეზად განვიხილოთ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.2 პუნქტის მიხედვით, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სანარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. ვინაიდან აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი იყო, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სანარმოს გადაწყვეტილებად მიიჩნევა. გარდა ამისა, თავად მოპასუხე მოსარჩელისათვის 28.01.2013 წელს მიწერილ წერილში მიუთითებს, რომ ხელშეკრულება 15.5 პუნქტის შესაბამისად შეწყდა. ამდენად, ცალსახაა, რომ მენარმის მიერ შესრულებული სამუშაოები 19.6 პუნქტით დადგენილი წესით უნდა ანაზღაურდეს, რაც თანხის ინჟინრის მიერ გამოცემული სერტიფიკატის შესაბამისად გადახდას გულისხმობს.

34.2. კასატორის პრეტენზია ისიცაა, რომ ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების 19.6 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის სერტიფიკატი არ არის საბოლოო გადახდის სერტიფიკატი, რომლის შინაარსსა და გაცემის წესს განსაკუთრებული პირობების 14.13 პუნქტი განსაზღვრავს. პალატა განმარტავს, რომ, მართალია, ხელშეკრულების 19.6 პუნქტში სიტყვა „საბოლოო“ არ არის მითითებული, თუმცა ამ კონკრეტული პუნქტისა და მთლიანი ხელშეკრულების ანალიზის საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ მხარეთა ნამდვილი ნება „საბოლოო გადახდის სერტიფიკატი“ ანგარიშსწორება იყო. მათ განეული ხარჯების ანაზღაურებისათვის ნათლად და არაორაზროვნად დაადგინეს სპეციალური წესი – ინჟინრის მიერ გამოცემული საბოლოო გადახდის სერტიფიკატის შესაბამისად



გადახდა. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეებმა თვითონ განსაზღვრეს, თუ რა ფორმით შეიძლება შესრულებული სამუშაოებისათვის ანაზღაურება და ამ წესის შეცვლა მხოლოდ მხარეებს ურთიერთშეთანხმებით შეეძლოთ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ: „ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება ზუსტად ისე შეასრულოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“ (მდრ. სუსგ №ას-872-830-2013, 17.10.2014). საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორს, რომ აღნიშნული სერტიფიკატი არ არის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიძლება სადავო გახდეს, თუმცა რადგან შემკვეთი მიიჩნევდა, რომ ინჟინერი არაობიექტურად მოქმედებდა და საბოლოო გადახდის სერტიფიკატი ხელშეკრულებისა და კანონის დარღვევით იყო შედგენილი, აღნიშნული მის შემდგენელთან – საზედამხედველო კომპანიასთან დავის და არა – მენარდისათვის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი იყო. სერტიფიკატი იყო თუ არა სათანადოდ შედგენილი, მოცემული დავის საგანი ვერ გახდება, ვინაიდან მისი სისწორე მისმა შემდგენელმა უნდა ადასტუროს და, უსწორობისა თუ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მანვე აგოს პასუხი.

34.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელშეკრულების დეტალურ ანალიზს ეყრდნობა. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საზედამხედველო კომპანიისა და ინჟინრის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია და უფლება-მოვალეობები, რომელთაგან შესრულებული სამუშაოების განსაზღვრის შედეგად საბოლოო გადახდის სერტიფიკატის გამოცემა ერთი-ერთი არსებითი პირობათაგანი იყო (ხელშეკრულების 3, 14 და 19 მუხლები). მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კვლევის საგანი არ უნდა გახდეს რეალურად რა სამუშაოები შესრულდა და რას შეადგენს მათი ღირებულება. ამისათვის მხარეებმა ხელშეკრულებით ინჟინერი მიიჩნიეს კომპეტენტურ პირად. ხოლო შემკვეთი, რომელიც სადავოდ ხდის თავისივე დანიშნული ინჟინერის კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებას, უფლებამოსილი იყო, აღნიშნულის თაობაზე ამ უკანასკნელთან ედავა.

35. ამდენად, ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ გადახ-

დის სერტიფიკატი საბოლოო იყო მენარდესთან და არა – ინჟინერთან მიმართებით. არ შეიძლება, მენარდემ პასუხი აგოს შემკვეთის მიერ დანიშნულ და მისივე სახელით მოქმედ ინჟინრის მიერ თუნდაც უსწოროდ შედგენილ სერტიფიკატზე. აღნიშნული გამომდინარეობს ვალდებულების შესრულების პირობათა სამართლიანი განსაზღვრის პრინციპიდანაც, რომელსაც სსკ-ის 425.1 მუხლი ადგენს (თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 154 940.66 ლარის დაკისრების ნაწილში, კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსკ-ის 410-ე მუხლი).

36. კასატორის პრეტენზია, ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის დაკისრების ნაწილში, ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, მიუღებელი შემოსავლისა და ბანკის მიერ დარიცხული ჯარიმის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, თუმცა საკასაციო პალატა ზიანის სრულად გამორიცხვას არ ეთანხმება, ვინაიდან მენარდის მოთხოვნა, ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სსკ-ის 636-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს.

37. კასატორი ამტკიცებს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან ხელშეკრულება საერთო პირობების 17.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყდა, კერძოდ, მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ შეძლო. ამ საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგი კი, შემკვეთის მიერ მენარდისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაა (საერთო პირობების 17.4 პუნქტი). ამდენად, კასატორის მტკიცებით, ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე მხარეებმა სსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, უარი თქვეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა (პ. 34.1), პალატა ხელშეკრულების შეწყვეტის სახელშეკრულებო საფუძველთან დაკავშირებით იზიარებს მოსარჩელის მტკიცებას, რომ შემკვეთმა განსაკუთრებული პირობების 15.5 პუნქტით მინიჭებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება გამოიყენა და მას თანხა 19.6 მუხლით დადგენილი წესით უნდა აუნაზღაურდეს (და არა – საერთო პირობების 17.4 პუნქტის მიხედვით). მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში მენარდეს უნაზღაურდება ნებისმიერი სხვა ხარჯი ან

ვალდებულება, რომელიც მოცემულ გარემოებაში სამართლიანად წარმოექმნა მას სამუშაოების დასრულების მოლოდინში (განსაკუთრებული პირობების 19.6. c პუნქტი). ამდენად, კასატორის მოსაზრება მხარეთა მიერ ზიანის სრულად გამორიცხვასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, წარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სსკ-ის 636-ე მუხლი ითვალისწინებს. ამასთან, შემკვეთის მიერ წარდობის ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებისას ზიანის ანაზღაურებაზე თავად მხარეებიც შეთანხმდნენ (იხ. პ. 40.2).

38. ზიანის სრულად გამორიცხვის თაობაზე კასატორის კიდევ ერთი არგუმენტი ისაა, რომ ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაიდო, შესაბამისად, ზიანის დაკისრების ნაწილში სასამართლოს ამ კანონით უნდა ეხელმძღვანელა, რომელიც ადგენს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისთვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაიდო, თუმცა, ამავე კანონის 1.1. მუხლის თანახმად, კანონი ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. განსახილველი დავა კი, კონკრეტული, წარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი, რომელიც იმ უფლებებსა და მოვალეობებს გულისხმობს, რაც ერთმანეთის მიმართ შემკვეთსა და მენარდეს აქვთ. შესაბამისად, დავის უშუალო მატერიალურსამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კანონმდებლობაა. ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup> მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი (შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა) ადგენს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს, თუ ამას საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში კი, წარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებიდან გამომდინარე, რომლითაც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, მხარეთათვის მხოლოდ ამგვარი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური წესები დგინდება, შემკვეთმა ხელშეკრულების მოშლით

მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს. შესაბამისად, უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ზიანის გამორიცხვასთან დაკავშირებით.

39. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც უკვე შესრულდა და ის, რომელიც ხელშეკრულების გამო აღარ უნდა შესრულდეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ გაწულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მონყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განუვალ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, გაიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (შდრ. ას-697-663-2015, 15.12. 2015).

ამდენად, ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო შეუსრულებული ნაწილის მიმართ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი კი, ის ხარჯებია, რომელიც მენარდემ უკვე შესრულებული თუ ჯერ კიდევ შეუსრულებელი (თუმცა სამომავლოდ შესასრულებელი) სამუშაოსთვის გაიღო. ამ ხარჯის გაწევის მტკიცების ტვირთი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება, ანუ მან უნდა ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა ხელშეკრულების მოშლით.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა, დღგ-ის თანხის – 27 889.32 ლარის, რომელიც

მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის უნდა ყოფილიყო გადახდილი და, მისი გადაუხდელობის გამო, დარიცხული საურავის – 27 889.32 ლარის 0.06%-ის ყოველდღიურად – 2013 წლის 15 აპრილიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე. ეს მენარდისათვის ფაქტობრივად დამდგარი ე.წ. საკომპენსაციო ზიანია და იგი უნდა ანაზღაურდეს. ამდენად, მოპასუხისათვის 27 889.32 ლარისა და მისი 0.06%-ის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული გადანყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსკ-ის 410-ე მუხლი).

40. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებელია კასატორის პრეტენზია მიუღებელი შემოსავლისა და ბანკის მიერ დარიცხული ჯარიმის დაკისრების ნაწილში შემდეგ მოსაზრებათა გამო:

40.1. მოსარჩელე მოითხოვდა მიუღებელი შემოსავლის სახით მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 8%-ის – 425 703,7 აშშ დოლარის კასატორისათვის დაკისრებას. სსკ-ის 636-ე მუხლის ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ნორმა ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით არ ითვალისწინებს.

40.2. გარდა ამისა, ასეც რომ არ იყოს და შემკვეთის მიერ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი იმდაგვარად განიმარტოს, რომ მასში მიუღებელი შემოსავალიც მოიაზრებოდეს, მოსარჩელის ამ მოთხოვნას საფუძველი მაინც ეცლება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე მხარეებმა უარი თქვეს. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 410-ე (ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით) მუხლი. კანონმდებელმა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას დაუშვა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობა, ანუ ხელშეკრულებით შესაძლოა, მხარეებმა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან მიმართებით, პასუხისმგებლობა სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდონ ან გამორიცხონ, თუმცა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან მისი შეზღუდვის შესახებ შეთანხმება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვისა თუ მისი გარკვეული ფარგლებით შეზღუდვის შესახებ უნდა განიმარტოს მხარეთა ინტერესების დაბალანსების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, სახელშეკრულებო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმა ხელშეკრულების მოშლის საგამონაკლისო წესს ადგენს. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება მით უფრო შესაძლებელია, როდესაც მხარე ვალდებულებას კი არ არღვევს, არამედ, ნარ-

დობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმით განმტკიცებულ ხელშეკრულების მოშლის უფლებას იყენებს. მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების კანონმდებლობით დაშვება პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავდა და ამ დაშვების მიზანი განუხორციელებელი დარჩებოდა.

მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებული პირობების 16.6 მუხლის თანახმად, შემკვეთის მიერ ხელშეკრულების 15.5 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტისას მენარდეს თანხა აუნაზღაურდება ინჟინრის მიერ შედგენილი სერტიფიკატის შესაბამისად, რომელიც მოიცავს:

ა) თანხას იმ ნებისმიერი შესრულებული სამუშაოსათვის, რომლის ფასიც კონტრაქტშია მოცემული;

ბ) სამუშაოებისათვის შეკვეთილი დანადგარისა და მასალების ხარჯს, რომელიც უკვე გადაცემულია კონტრაქტორისათვის, ან რომელიც კონტრაქტორმა უკვე უნდა მიიღოს: ეს დანადგარი და მასალები შემკვეთის საკუთრება გახდება მას შემდეგ, რაც შემკვეთი მის ღირებულებას გადაიხდის და მენარდე მას მფლობელობაში გადასცემს;

გ) ნებისმიერი სხვა ხარჯი ან ვალდებულება, რომელიც მოცემულ გარემოებაში სამართლიანად წარმოექმნა მას სამუშაოების დასრულების მოლოდინში;

დ) დროებითი სამუშაოებისა და კონტრაქტორის დანადგარების სამუშაო მოედნიდან გაყვანის, ასევე ამ საგნების კონტრაქტორის ქვეყანაში (ან სხვა ადგილას, თუ ხარჯი მეტი არ არის) დაბრუნების ხარჯს;

ე) რეპატრიაციის ხარჯს კონტრაქტორის თანამშრომლებისა და მუშახელისათვის, რომლებიც მთლიანად სამუშაოების შესრულებაში იყვნენ ჩართულები კონტრაქტის განწყვეტის მომენტისათვის.

ამავე კონტრაქტის 19.7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, თანხა, რომელიც შემკვეთმა მენარდეს უნდა გადაუხადოს, იგივე უნდა იყოს, რაც 19.6 ქვეპუნქტის ფარგლებში გადასახდელი თანხა, თუ კონტრაქტის განწყვეტა 19.6 ქვეპუნქტის მიხედვით მოხდა.

ამდენად, მხარეებმა ზუსტად განსაზღვრეს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ფარგლები, რომელიც მიუღებელ შემოსავალს არ მოიცავს, შესაბამისად, შემკვეთის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეებმა გამორიცხეს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა.

41. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ ბანკის ჯარიმის – 32 316.80 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურების კანონიერებას, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობდა მოპასუხი-

სათვის მისი დაკისრების სსკ-ის 412-ე მუხლით (ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ სავარაუდო იყო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს) გათვალისწინებული წინაპირობები. მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ არაპირდაპირი ზიანი, რომელსაც, ნორმით განმტკიცებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოვალე ვერ ივარაუდებდა, არ ანაზღაურდება. არც იმგვარი ზიანი არ ანაზღაურდება, რომელიც, სავარაუდოა, თუმცა მოვალის მოქმედების უშუალო შედეგი არ არის.

დადგენილია, რომ ბანკმა მოსარჩელის დავალებით გახსნა საბანკო გარანტია. ბანკსა და მოსარჩელეს შორის დადებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო გარანტიის მომსახურების საკომისიო, რომელიც მოპასუხემ არ გადაიხადა. გადაუხდელ საკომისიოს დაერიცხა ჯარიმა, რომლის ანაზღაურებასაც მოსარჩელე მოითხოვს. პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარე კისრულობს ვალდებულებას და თავის თავზე იღებს მხოლოდ იმ რისკს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან. ამდენად, მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საბანკო გარანტიის არსიდან გამომდინარე, მომსახურების საკომისიოსა და მასზე დარიცხული ჯარიმის გადახდის რისკი ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მოპასუხეს არ აუღია. საბანკო გარანტია არააქცესორული ბუნებისაა და დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან, კერძოდ, პრინციპალსა (მენარდესა) და გარანტს (ბანკს) შორის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობისას (როგორცაა, მაგალითად, საკომისიო მომსახურების გადახდა) არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ის გაიცა. ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას შემკვეთს არ აუღია ამგვარი რისკი და ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი, ბანკის მიერ ჯარიმის დაკისრებით მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი არ არის ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი და იგი მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ვერ იქნებოდა, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვა-

ლისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. პალატა აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებას და ახალი გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარს ნაწილობრივ აკმაყოფილებს.

43. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. აღნიშნული მუხლის დანაწესის შესაბამისად მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

44. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო საჩივარზე – 2306.3 ლარი აქვს გადახდილი, საკასაციო საჩივარზე – 8 000 ლარი (სულ 10306.3 ლარი). მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟი სარჩელზე არ გადაუხდია, სააპელაციო საჩივარზე კი, 7000 ლარი გადაიხდა.

45. საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 3580.00 ლარის გადახდა. მოპასუხეს (კასატორს), სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 1420.00 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელეს, მოპასუხის (კასატორის) სასარგებლოდ – სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 5391.00 ლარის გადახდა სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე მოპასუხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-



მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 257.1, 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „რ.ფ.მ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „ტ-ს“ სააპელაციო საჩივარი და შპს „რ.ფ.მ-ს“ შპს „ტ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა: ზიანი, მიუღებელი შემოსავლის სახით – 425 703.70 ლარი; სს „ს.ბ-ის“ მიერ შპს „ტ-ზე“ დარიცხული ჯარიმა – 32 316.80 აშშ დოლარი, ასევე იმ ნაწილში, რომლითაც შპს „რ.ფ.მ-ტს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 5000.00 ლარის, ხოლო შპს „ტ-ს“ სასარგებლოდ – სახელმწიფო ბაჟის – 7000.00 ლარის გადახდა;

3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. შპს „ტ-ს“ სარჩელი მოპასუხე შპს „რ.ფ.მ-ის“ მიმართ მიუღებელი შემოსავლის – 425 703.70 ლარისა და სს „ს.ბ-ის“ მიერ შპს „ტ-ზე“ დარიცხული ჯარიმის – 32 316.80 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

5. შპს „რ.ფ.მ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 1420.00 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

6. შპს „ტ-სს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 3580.00 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

7. შპს „ტ-ს“ შპს „რ.ფ.მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 5391.00 ლარის გადახდა;

8. დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარდობის ხელშეკრულების მოხელა

### გადაწყვეტილება საქართველოს სასხლიტო

№ას-319-304-2016

2 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „კ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „რ-ის“ (ყოფილი შპს „ს-ი“) (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 2011 წლის იანვრის თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულების – 65892,77 ლარის, 2014 წლის 28 იანვრამდე პერიოდისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 645000 ლარისა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის – 635070,93 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

1.1. 2010 წლის 30 ივნისს მხარეებს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება №..., რომლის შესაბამისად მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა შეთანხმებული გასამრჯელო. მოსარჩელე ასრულებდა რა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ყოველი თვის ბოლოს წარუდგენდა მოპასუხეს შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალსა და ხარჯთაღრიცხვას;

1.2. 2011 წლის იანვრის თვეში მოსარჩელემ შეასრულა 65892,77 ლარის სამუშაოები, რაზედაც მოპასუხეს 2011 წლის 31 იანვარს წარუდგინა შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა, ასევე – შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურა;

1.3. მოპასუხეს 2011 წლის იანვრის თვეში შესრულებული სამუშაოს ღირებულება დღემდე არ გადაუხდია;

1.4. ხელშეკრულებით სხვა სამუშაოებთან ერთად გათვალისწინ

ნებული იყო ავტოდრომის ტერიტორიაზე ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა. მოპასუხემ 2011 წლის თებერვალში, მოსარჩელის გაფრთხილების გარეშე, ფაქტობრივად ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიადგა ზიანი.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

2.1. ნარდობის ხელშეკრულების 2.3.2. პუნქტის მიხედვით, მენარდე ვალდებული იყო არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველი სამუშაო დღისა დამკვეთისათვის წარედგინა მენარდის მხრიდან ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ანგარიში. დამკვეთი ვალდებული იყო აღნიშნული დოკუმენტების მიღების შემდეგ 7 დღის ვადაში მოეწერა ხელი მიღება-ჩაბარების აქტისათვის ან პრეტენზიებით დაებრუნებინა იგი მენარდისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუშაოები ჩაითვლებოდა სათანადო წესით შესრულებულად;

2.2. 2011 წლის იანვარში მოსარჩელეს სამუშაოები არ შეუსრულებია, მით უმეტეს, არ წარმოუდგენია მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა, ვინაიდან მათ შორის საქმიანი ურთიერთობა შეწყდა 2010 წლის დეკემბრიდან, როდესაც მოპასუხე არ დაეთანხმა მასთან შეუთანხმებლად ხარჯთაღრიცხვის გაზრდას;

2.3. ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელეს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2010 წლის 15 ოქტომბრამდე, ამასთან, ის ვალდებული იყო წინასწარ შეეტყობინებინა მოპასუხისთვის ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ, რაც მან არ შეასრულა. ამის გამო, მოსარჩელესთან შეწყდა ხელშეკრულება. მოპასუხის შეთავაზება ხელშეკრულების გადასინჯვის თაობაზე უშედეგოდ დასრულდა, ამასთან, მოსარჩელეს 2011 წლის 3 თებერვლამდე პასუხი უნდა გაეცა მოპასუხის წინადადებაზე, თუმცა მოსარჩელის პასუხი მიიღო 2011 წლის 4 თებერვალს. შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულება შეწყვეტილია 2011 წლის 3 თებერვლიდან;

2.4. გამომდინარე აქედან, არ არსებობს არც მოპასუხის მიერ ანაზღაურების ვადაგადაცილება და არც პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება შეწყდა მოსარჩელის ბრალით, მოპასუხეს არ ეკისრება არც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება შეიცვალა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 386 985 ლარის გადახდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. 2010 წლის 30 ივნისს მხარეთა შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება №30/06/2010, რომლის შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები – ა-ის რეკონსტრუქცია, ხოლო მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა შეთანხმებული გასამრჯელო. სამუშაოების შესრულების ადგილი იყო ქ. რუსთავის ა-ი, საერთო ფართობით 73,8 ჰა. სამუშაოები უნდა შესრულებულიყო პროექტისა და საერთო ხარჯთაღრიცხვის თანახმად;

6.2. 2010 წლის 30 ივნისს ნარდობის ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 12 000 000 ლარს დღეს ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულებაზე დართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 11 790 512 ლარს;

6.3. მოსარჩელეს სამუშაოების მთლიანი მოცულობა უნდა შესრულებინა 2010 წლის 15 ივლისიდან 2010 წლის 15 ოქტომბრამდე;

6.4. ხელშეკრულების 4.4 პუნქტის შესაბამისად, თუ სამუშაოების შესრულებისას წარმოიშობოდა სამუშაოების მოცულობის, შესრულების ვადების შეცვლის, დამატებითი სამუშაოების ჩატარების ან სხვა ისეთი პირობების შეთანხმების აუცილებლობა, რომელიც არ იყო მხარეთა შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ეს ცვლილებები უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით, რომელიც მოიცავდა ასეთ

პირობებს, მათი ვადების განსაზღვრასა და შეთანხმებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების ფასის შესაბამის ცვლილებებს.

7. საქმის მასალებით სააპელაციო პალატამ დადასტურებულად არ მიიჩნია 2011 წლის იანვრის თვეში მოსარჩელის მიერ სამუშაოთა შესრულება. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაემყარა შემდეგ მსჯელობას:

7.1. ხელშეკრულების 2.3.2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშსწორება განხორციელდებოდა შემდეგი წესით: არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველი სამუშაო დღისა, მენარდე გადასცემდა დამკვეთს მისი მხრიდან ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ერთი თვის განმავლობაში შესრულებულ და დამთავრებულ სამუშაოებზე, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელ დოკუმენტებს და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ანგარიშს;

7.2. მითითებული პუნქტის თანახმად, დამკვეთს 7 დღის განმავლობაში უნდა მიეღო წინა თვეში შესრულებული სამუშაო, ხელი მოეწერა მიღება-ჩაბარების აქტისთვის და დაებრუნებინა აქტის ეგზემპლარი მენარდისთვის, ან იმავე ვადაში უნდა შეეტყობინებინა მენარდისთვის თავისი პრეტენზიების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ 7-დღიან ვადაში დამკვეთი არ განაცხადებდა პრეტენზიას, სამუშაოები მიიჩნეოდა სათანადო წესით შესრულებულად;

7.3. 2011 წლის იანვრის თვეში შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელემ წარმოადგინა ფორმა №2, რომლის შესაბამისად, იანვრის თვეში შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება შეადგენს 65 892,77 ლარს. მტკიცებულება დადასტურებულია ცალმხრივად, მოსარჩელე კომპანიის დირექტორის მიერ.

8. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, 2011 წლის იანვრის თვეში კონკრეტული სამუშაოების შესრულების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს.

9. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ არ შეასრულა სახელშეკრულებო პირობა, კერძოდ, 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების 2.3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და დამკვეთს ამ პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადასცა მიღება-ჩაბარების აქტი ერთი თვის განმავლობაში შესრულებულ და დამთავრებულ სამუშაოებზე, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების ანგა-

რიში. დადგენილია, რომ მოსარჩელემ 2011 წლის იანვრის შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზია განაცხადა სამი წლის შემდეგ, სარჩელის შეტანის გზით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი 16.10.2015). სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ, თუ მოსარჩელე შეასრულებდა ხელშეკრულების 2.3.2 პუნქტით დადგენილ ვალდებულებას და წარუდგენდა მოპასუხეს შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ინფორმაციას, 7 დღის ვადაში შემკვეთის მიერ პრეტენზიის წარუდგენლობის შემთხვევაში, დადასტურებულად ჩაითვლებოდა სამუშაოთა შესრულება. მოცემულ შემთხვევაში, პრეტენზია სამუშაოთა შესრულების შესახებ წარდგენილია ხელშეკრულების პირობების დარღვევით, სამი წლის შემდეგ, მაშინ როდესაც პროექტი დასრულებულია სხვა კომპანიის მიერ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც შემკვეთს არ მიეცა შესაძლებლობა მყისიერი რეაგირება მოეხდინა 2011 წლის იანვარში შესრულებასთან დაკავშირებით და საქმეში არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულების 2.3.2 პუნქტის შესაბამისად), მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება – ფორმა №2, რომელიც ცალმხრივად დადასტურებულია მოსარჩელე კომპანიის ღირექტორის მიერ, არის არასაკმარისი მტკიცებულება იანვრის თვეში სამუშაოთა შესრულების შესახებ.

10. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი 2011 წლის იანვრის თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულების 65 892,77 ლარის და ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს – 645 000 ლარის დაკისრების შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მისი მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის გზით, ვერ დაადასტურა 2011 წლის იანვარში სამუშაოთა შესრულების ფაქტი, რის საფუძველზეც მოთხოვნა 65 892,77 ლარის ანაზღაურების შესახებ იყო დაუსაბუთებელი.

11. პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა ხელშეკრულების 6.4. პუნქტზე, რომლის თანახმად, დამკვეთის ბრალეულობით დაშვებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ ვადის ასეთი გადაცილება აღემატებოდა 5 კალენდარულ დღეს, დამკვეთი ვალდებული იყო შემსრულებლის მოთხოვნისთანავე გადაეხადა ჯარიმა ხელშეკრულების ფასის 0,05% ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, 65 892,77 ლარის ოდენობით ვალდე-

ბულების არსებობა, რაც გამორიცხავდა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო ნანილობრივ. სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე:

12.1. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2010 წლის 15 ოქტომბრამდე, ხოლო არაუგვიანეს 19 ოქტომბრისა მენარდე ვალდებული იყო წარედგინა დამკვეთისათვის მისი მხრიდან ხელმონერილი შემაჯამებელი მიღება-ჩაბარების აქტი და თანმხლები დოკუმენტაცია. მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ ხელშეკრულება გაგრძელდა 2010 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ;

12.2. მხარეების მიერ წარმოდგენილი მიმონერით დადგინდა, რომ მხარეებს შორის არსებობდა უთანხმოება ჩ-ის მოწყობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის წერილი (27.01.2011 წლის, №07/11), რომლის ადრესატია მოპასუხე კომპანიის დირექტორი. აღნიშნული წერილის შესაბამისად, მოსარჩელე აცნობებს მოპასუხეს, რომ 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე ტრასის სამოსი უნდა მოწყობილიყო ცემენტო-ბეტონის საფარით, ხოლო მოპასუხის სიტყვიერი ინფორმაციით, ტრასის საფარის მოწყობას აპირებდნენ ასფალტო-ბეტონით. მოსარჩელე წერილში აღნიშნავს, რომ ასეთის დადასტურების შემთხვევაში, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული ურთიერთობები უნდა შეწყვეტილიყო ან რადიკალურად შეცვლილიყო;

12.3. მითითებული წერილის საპასუხოდ, საქმეში წარმოდგენილია მოპასუხე კომპანიის 2011 წლის 1 თებერვლის წერილი, რომლის ადრესატია მოსარჩელე კომპანია. მოპასუხე კომპანიის დირექტორი განმარტავს, რომ „ხელშეკრულების ხელმონერის მომენტში საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორი სამოსი იქნებოდა გამოყენებული ტრასისათვის არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც თქვენ (მოსარჩელე) მოამზადეთ ტრასის ბეტონით მოსაწყობად სამუშაოებისა და მასალების სრული ღირებულების შესახებ წინადადება, გამომდინარე შემოთავაზებული სამუშაოების მაღალი ფასის გამო, ჩვენ (მოპასუხე) უარი განვაცხადეთ მოცემული სახეობის საფარზე. თქვენი უშუალო პირადი მონაწილეობით მიღებული იყო გადაწყვეტილება ტრასის ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების შესახებ“;

12.4. 2011 წლის 3 თებერვლის წერილით მოსარჩელე მოპასუხეს აცყობინებს, რომ ხელშეკრულების დანართ №3-ში ყველგან მითი-

თებული იყო ცემენტო-ბეტონის საფარი, სისქით 16 სმ და არსად არ იყო მითითებული ვარაუდი იმისა, რომ ის შეიძლება შეცვლილიყო ასფალტობეტონით. შენიშვნაში მითითება „განისაზღვრება დამატებით“ ეხებოდა საფარის სისქის განსაზღვრას;

12.5. 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, სამუშაოები შესრულდებოდა პროექტის (დანართი №2) და საერთო ხარჯთაღრიცხვის (დანართი №3) თანახმად. ხელშეკრულების დანართი №3-ის (საერთო ხარჯთაღრიცხვის) მიხედვით, ფორმულა ორის ჩქაროსნული ტრასის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია ცემენტო-ბეტონის ფენა, 16 სმ სისქით.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ დანართი №3-ის შენიშვნების გრაფაში მითითება „განისაზღვრება დამატებით“ გულისხმობდა ჩქაროსნული ტრასის მშენებლობისათვის გამოსაყენებელი მასალის შემდგომში დაზუსტებას, ვინაიდან, აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობდა არც ხელშეკრულებიდან და არც საერთო ხარჯთაღრიცხვიდან. მოსარჩელე აღნიშნულთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ დამატებით უნდა განსაზღვრულიყო ფენის სისქე და არა – ტრასის საფარი. მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებასა და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შესახებ, არ იყო წარმოდგენილი.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხე შესაგებელს ამყარებდა იმ გარემოებებზე, რომ ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით მოსარჩელეს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2010 წლის 15 ოქტომბრამდე, ამასთან, ის ვალდებული იყო წინასწარ შეეტყობინებინა დამკვეთისათვის ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ, რაც მოსარჩელემ არ შეასრულა, რის გამოც მასთან შეწყდა ხელშეკრულება. მოსარჩელის მიერ ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა 2013 წლის 15 ნოემბრის შპს „ე-ის“ აუდიტორული დასკვნა;

15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სარჩელი მოსარჩელის მიმართ ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნების, პირგასამტეხლოს დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოპასუხე კომპანიის სარჩელი ემყარებოდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელემ არ შეასრულა ვალდებულებები ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში და ადგილი ჰქონდა გადახარჯვას.

16. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გა-



დანყვეტილებით სასამართლომ არ მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელემ დაარღვია მასსა და მოპასუხე კომპანიას შორის 2010 წლის 30 ივნისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადა ვალდებულებების არაჯეროვნად შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების სხვა პირობების დაუცველობის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისთვის უნდა მიენოდეზინა ქ. რუსთავის ა-ის პროექტის ვერსია. აღნიშნული არ იქნა შესრულებული, რის გამოც სამუშაოების მასშტაბური მოცულობებით შესრულება შეუძლებელი იყო. დადგენილი იქნა, რომ მენარდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ გადასცემია დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულებულიყო სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შესახებ მითითების ნაწილში, სასამართლომ დაადგინა შემდეგი გარემოებები: მხარეთა შორის შეთანხმებული იყო მიახლოებითი, საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა. მოპასუხის მიერ ყოველთვიურად წარდგენილი ფორმა №2-ის მიხედვით ხდებოდა ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანა, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გაზრდა, ერთეულის ფასის გაზრდა, ჩნდებოდა ახალი სახის სამუშაოები. მხარეებმა ჩამოყალიბებული საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე დანერგეს ურთიერთობა, რომლითაც წინასწარ კი არ ხდებოდა შესასრულებელი სამუშაოების შეთანხმება, არამედ მისი მოწონება ან უარყოფა სამუშაოების დასრულების შემდეგ. მენარდის მიერ წარდგენილი ფორმა №2, რომელიც მოიცავდა გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით შესრულებულ სამუშაოებს, მიჩნეული იქნა სწორედ მენარდისაგან მიღებულ შეტყობინებად მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შესახებ. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე კომპანიის მიერ წარდგენილი შპს „ე-ის“ აუდიტორული დასკვნა არ შეიცავდა კონკრეტულად სადავო პერიოდში ანუ 2010 წლის დეკემბრის თვეში ხარჯთაღრიცხვასა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შორის სხვაობას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოპასუხე მოითხოვდა. ამდენად, წარდგენილი დასკვნა არ იქნა მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

17. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა მოცემული საქმისათვის და შე-

საბამისად, დადგენილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობა არ ყოფილა გამოწვეული მენარდის ბრალეულობით და ასევე ადგილი არ ჰქონია დამკვეთისათვის შეუტყობინებლად ხარჯთაღრიცხვის გაზრდას.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა არ ყოფილა განპირობებული მოსარჩელის ბრალეული მოქმედებით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულება შეწყდა მხარეთა შორის. დადგინდა, რომ მხარეებს შორის არსებობდა უთანხმოება ჩ-ის საფარის მონეობასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების დანართი №3-ის (საერთო ხარჯთაღრიცხვის) მიხედვით, ფორმულა ორის ჩ-ის მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო ცემენტო-ბეტონის ფენა, 16 სმ სისქით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა იმ მოტივით, რომ დამკვეთმა (მოპასუხემ) გადაწყვიტა ა-ზე, ნაცვლად ხელშეკრულებითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ცემენტო-ბეტონის საფარისა, მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი, რის შედეგადაც 2011 წლის თებერვალში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეწყვიტა ცალმხრივად.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო კოდექსის 629-ე და 636-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და, ასევე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №ას-1056-1011-2014 განჩინებაზე.

20. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგინდა ზიანის ანაზღაურების (მიუღებელი შემოსავლის) დაკისრებისათვის გათვალისწინებული კანონისმიერი წინაპირობა, კერძოდ, დადგინდა, რომ 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულება შეწყდა შემკვეთის (მოპასუხის) ინიციატივით, ცალმხრივად. კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა განსაზღვრულიყო ის სარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

21. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ხელშეკრულებაზე, რომლითაც დადგინდა, რომ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 12 000 000 ლარს, დღგ-ს ჩათვლით. დადგინდა, რომ საერთო ხარჯთაღრიცხვით, სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრა 8 123 545 ლარით. ასევე დადგენილია,

რომ მოსარჩელის მოგება შეადგენდა 8%-ს და, რომ მოსარჩელის მიერ სულ შესრულებული იქნა 3 286 232,51 ლარის სამუშაოები. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან შემოსავლის შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 4 837 312,49 ლარს (8 123 545-3 286 232,51). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებიდან მოსარჩელე მიიღებდა 386 985 (4 837 312,49-ის 8%) ლარის ოდენობით მოგებას, რომლის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს.

22. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **23. კასატორმა მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

23.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსი, შესაბამისად, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას;

23.2. ნარდობის ხელშეკრულების საგანზე – ა-ის რეკონსტრუქციის, გზის საფარის სახეობაზე ხელშეკრულების ხელმოწერისას საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ ყოფილა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხარჯთაღრიცხვაში ყველა იმ გრაფის გასწვრივ, სადაც საუბარია საფუძვლის ფენაზე, შენიშვნაში მითითებულია – „განისაზღვრება დამატებით“;

23.3. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად განმარტა ხელშეკრულების შინაარსი მოპასუხის საზიანოდ და დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას, რომ „დამატებით განისაზღვრებას“ ქვემოთ აღნიშნულს, არა ტრასის ტიპის, არამედ ფენის სისქის დამატებით განსაზღვრა;

23.4. ხარჯთაღრიცხვის შენიშვნები არ იძლევა ორმაგი განმარტების საფუძველს და აკონკრეტებს იმ შინაარსს, რასაც გულისხმობს. მხარეთა ნება მიმართული რომ ყოფილიყო საფარის ფენის სისქის დაზუსტებისაკენ, ლოგიკური იქნებოდა, შენიშვნაში მითითება „საფარის სისქე განისაზღვრება დამატებით“, ხოლო რადგან ასეთი განმარტება შენიშვნაში მითითებული არაა, „განისაზღვრება დამატებით“ ნიშნავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ დამატებით განსაზღვრულიყო ეს მუხლი, მათ შორის საფუძვლის ფენის სახეობაც. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ხელშეკრულებაში არსად არ არის ნახსენები საფარის ტიპი;

23.5. იმის გათვალისწინებით, რომ ხარჯთაღრიცხვით მხარეებმა დაიტოვეს შესაძლებლობა დამატებით განესაზღვრათ საფარის სახეობა, დამკვეთის მხრიდან საფარზე დამატებითი გადანყვეტილების მიღება ვერ ჩაითვლება მისი მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევად. მით უმეტეს, რომ მოპასუხემ შესთავაზა მოსარჩელეს ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, რათა მას მისცემოდა ხელშეკრულების დასრულების შესაძლებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელის უმოქმედობამ პრაქტიკულად გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

26. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის გადანყვეტილება და სარჩელი ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

28. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შემოწ-

მების საგანია ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების კანონიერება.

29. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა არ იყო განპირობებული მოსარჩელის ბრალეული მოქმედებით. მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა იმ მოტივით, რომ დამკვეთმა გადაწყვიტა ავტოდრომზე, ნაცვლად ხელშეკრულებითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ცემენტო-ბეტონის საფარისა, მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი, რის შედეგადაც 2011 წლის თებერვალში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეწყვიტა ცალმხრივად, რაც მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევდა მიუღებელი შემოსავლის სახით.

30. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის შედეგად მივიდა საქმის არასწორ გადაწყვეტამდე. სახელდობრ, სააპელაციო სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანში გაითვალისწინა ის ხარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ანუ მიუღებელი შემოსავალი (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი).

31. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები ხელშეკრულების მოშლისა და ზიანის ანაზღაურების სპეციფიკურ რეგულაციებს ადგენს.

32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

33. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის, რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგამას ხელშეკრულების მოშლით. სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული

ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განუღო ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ., ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მონყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განუღო ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები (იხ. სუსგ №ას-697-663-2015; 2015 წლის 15 დეკემბერი).

34. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებში მონესრიგებულ ურთიერთობათა ცალკეულ ნორმებზე: მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი (სსკ-ის 484-ე მუხლი), რომელიც გარიგების ყოველი მხარისათვის ადგენს შესაძლებლობას, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ ასრულებს, იქვეა დათქმა უარის თქმის დაუშვებლობაზე; საგულისხმოა, მაგალითად, სხვა ნორმებიც: ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის ინიციატივით (სსკ-ის 541-ე მუხლი), დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას (სსკ-ის 835-ე მუხლი), რომელთა მიხედვითაც, ურთიერთობის შეწყვეტამდე გარკვეული წინაპირობები უნდა არსებობდეს და იქნეს დაცული. სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ინსტიტუტებთან შედარებისას და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთობისათვის ამოსავალი პრინციპის – კონრაჰენტთა კეთილსინდისიერების გათვალისწინებით (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი), შეიძლება ითქვას, რომ ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში 636-ე მუხლი არის ის სპეციალური რეგულაცია, რომელსაც არ სჭირდება წინაპირობების დაცვა (იხ. სუსგ №ას-901-851-2015, 2016 წლის 5 თებერვალი).

35. განსახილველ შემთხვევაში შემკვეთმა ისარგებლა სწორედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის

დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება. ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, მდგომარეობს შემკვეთის ვალდებულებაში, აუნაზღაუროს კონტრაქტის უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წანამძღვრებს კი არ ანესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამანონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს (იხ. სუსგ №ას-697-663-2015; 2015 წლის 15 დეკემბერი).

36. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ თავად მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, თუ რა ფაქტობრივი ზიანი მიაღდა მას კონკრეტული ხელშეკრულების მოშლით. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უკავშირდება მხოლოდ მიუღებელ შემოსავალს. მოცემულ შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოდ მიიღებდა მენარდე, თუ მან სამისოდ გარკვეული ქმედებები განახორციელა. ამ თვალსაზრისით კი, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების თანახმად, იგი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყვეტილება.

39. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიის განხილვის შედეგად არ დადასტურდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის გამოყენების

წინაპირობები, რაც ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

41. შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 8000 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „რ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები, რომლითაც შეიცვალა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში და შპს „ს-ს“ შპს „კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 386 985 ლარის გადახდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „კ-ის“ სარჩელი ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი, რომლითაც შპს „ს-ს“ დაეკისრა შპს „კ-ის“ სასარგებლოდ 3450 ლარის გადახდა მოსარჩელის



- მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების ანგარიშში;
5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვე-  
ტილება დარჩეს უცვლელი;
6. შპს „კ-ს“ შპს „რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ გა-  
დახდილი სახელმწიფო ბაჟის, 8000 ლარის გადახდა;
7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

## **ნარდოვის ხელშეკრულების მოვლა**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-717-670-2017

26 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. შპს „ბ.ს.ი-ს“ (შემკვეთი, რომლის სამართალმემკვიდრეა შპს-  
ას „მ.გ.ჯ.“ – იხ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავ-  
ლების სამსახურის 2008 წლის 3 ივნისის ბრძანება; შემდეგში: მო-  
პასუხე, შეგებებული მოსარჩელე, პირველი კასატორი) და შპს „მ“-  
ს (შემდეგში: მოსარჩელე, მენარდე, შემსრულებელი, აპელანტი,  
მეორე კასატორი) შორის 2007 წლის ოქტომბერში /თარიღი არაა  
მითითებული/ გაფორმდა ხელშეკრულება საპროექტო და სამშე-  
ნებლო სამუშაოების შესრულებაზე.

1.1. აღნიშნული ხელშეკრულებით, მენარდემ იკისრა ვალდებუ-  
ლება ქ. თბილისში, ...-ის №...-ში შესრულებინა საპროექტო და სამ-  
შენებლო სამუშაოები 25 000 კვ.მ-ის ოდენობით, წინასწარ შეთან-  
ხმებული გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ამასთან, შე-  
სასრულებელი სამუშაოების წინასწარი ვადები განისაზღვრა ხელ-  
შეკრულების №1 დანართით;

1.2. ამავე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 8 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში (იხ. ხელშეკრულება).

2. შემკვეთსა და მენარდეს შორის 2007 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა შეთანხმება, 2007 წლის ოქტომბრის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ უთარილო ხელშეკრულებაში არსებითი ცვლილებების აუცილებლობის გამო, ახალი ხელშეკრულების დადებისა და ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ (იხ. შეთანხმება).

2.1. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ სამშენებლო სამუშაოების ვადის გაზრდის შესახებ 33 თვით. მხარეები ასევე შეთანხმდნენ 2007 წლის ოქტომბრის ე.წ. უთარილო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გაუქმებისა და ამ ცვლილებებით შემსრულებლისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ;

2.2. მხარეები შეთანხმდნენ, 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმების პირობების დაცვით, არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში, დაედოთ ახალი ხელშეკრულება, რომლის გაფორმებისთანავე შეწყდებოდა 2007 წლის ოქტომბრის ე.წ. უთარილო ხელშეკრულება (იხ. 1.1-1.2 ქვეპუნქტები);

2.3. ზემოხსენებული შეთანხმებით, შემკვეთმა იკისრა ვალდებულება, აუნაზღაუროს მენარდეს სამშენებლო სამუშაოების ვადის გაზრდით მიყენებული ზიანი ერთჯერადად 780 000 (შვიდას ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით, რომლის გადახდაც მოხდებოდა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.2 ქვეპუნქტში მითითებული შეთანხმების გაფორმებიდან ერთ კვირაში შემკვეთსა და მენარდეს შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით განსაზღვრული სამუშაო, რომელიც მენარდემ (შემსრულებელმა) ამ ხელშეკრულებითა და შესაბამისი დანართით დადგენილი წესითა და პირობებით უნდა შესასრულოს შემკვეთისთვის და ამ ხელშეკრულებითა და შესაბამისი დანართით დადგენილი წესითა და პირობებით გადასცეს დამკვეთს საკუთრებაში (იხ. ხელშეკრულება).

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით, მენარდემ იკისრა ვალდებულება შეესრულებინა საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები, ქ. თბილისში, ... 25 000 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის მიზნით, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და

შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

3.2. ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, მშენებლობა მოიცავდა სამ ნაწილს და დაყოფილი იყო ასაშენებელი კომპლექსის „ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკების მიხედვით;

3.3. ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტის თანახმად, „ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკების მშენებლობა უნდა დასრულებულიყო არა უგვიანეს 2012 წლის 30 სექტემბრისა;

3.4. ხელშეკრულების 6.1. პუნქტით განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოების საერთო სახელშეკრულებო ფასი 320 აშშ დოლარით 1 კვ.მ. სამშენებლო ფართისათვის, რამაც სავარაუდოდ შეადგინა 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

3.5. ხელშეკრულების 7.1.3. პუნქტით, მენარდემ იკისრა ვალდებულება შემკვეთს წერილობითი მოთხოვნისთანავე გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია;

3.6. ხელშეკრულების 8.2.2. პუნქტის თანახმად, შემკვეთი უფლებამოსილია, ხელშეკრულებასთან შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დასადგენად დანიშნოს შესრულებული სამუშაოს დამატებითი ტესტირება ან ინსპექტირება, ასევე – სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე ჩაატაროს შემსრულებლის მიერ გამოყენებული მასალების ტესტირება-შემოწმება;

3.7. ამავე ხელშეკრულების 9.6. პუნქტის თანახმად, თუ შესრულებული სამუშაოს გაცემისას სამუშაო ან მისი ნაწილი აღმოჩნდებოდა ნაკლის მქონე, რაც აისახებოდა შემკვეთის საპრეტენზიო წერილში, ხოლო მენარდე დაეთანხმებოდა აღნიშნული ნაკლის არსებობას, მაშინ ეს უკანასკნელი კისრულობდა ვალდებულებას, თავისი ხარჯით გონივრულ ვადაში შეესრულებინა სამუშაოს შეუსრულებელი ნაწილი და/ან გამოესწორებინა ნაკლი;

3.8. ხელშეკრულების მე-10 მუხლით განისაზღვრა შესრულებული სამუშაოს ხარისხთან, ნაკლის აღმოჩენასთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის, 10.1 პუნქტით შემსრულებელმა იკისრა ვალდებულება, შემკვეთს გადასცეს უნაკლოდ შესრულებული სამუშაო. „მან შემსრულებლის კეთილსინდისიერებით შემკვეთს სრულად უნდა გააცნოს შესრულებული სამუშაოს მდგომარეობა“; 10.2. პუნქტის თანახმად, თუ შესრულებული სამუშაოს გაცნობისას იგი, ან მისი ნაწილი ნაკლის მქონე აღმოჩნდებოდა და ეს აისახებოდა შემკვეთის საპრეტენზიო წერილში, მენარდე ვალდებული იქნებოდა თავისი ხარჯით, გონივრულ ვადაში, შეესრულებინა სამუშაოს შეუსრულებელი ნაწილი და გამოესწორებინა სხვა ნაკლი; 10.3.

პუნქტის თანახმად კი მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მენარდე არ შეასრულებდა ამ ხელშეკრულების 10.2. პუნქტში მითითებულ ვალდებულებას, შემკვეთს უფლება ჰქონდა, მოეშალა ეს ხელშეკრულება შესაბამისი სამუშაოს ნაწილში. ასეთ შემთხვევაში მენარდე ვალდებული იქნებოდა შემკვეთისათვის აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი.

3.9. მხარეთა შორის 2010 წლის 1 ოქტომბერს დაიდო №3 შეთანხმება, რომლის საფუძველზე 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. აღნიშნული შეთანხმების პირველ პუნქტში მხარეებმა ფაქტების კონსტანტაცია შემდეგი სახით მოახდინეს: „ვინაიდან ხელშეკრულების საფუძველზე არსებულ პროექტში 2010 წლის სექტემბრის თვეში შევიდა ცვლილება და „ა“ და „ბ“ ბლოკების სამშენებლო ფართი განისაზღვრა 18 701,5 კვ.მ.-ის ოდენობით, მათ შორის „ა“ ბლოკი 10 144,4 კვ.მ. „ბ“ ბლოკი – 8 557,1 კვ.მ. ოდენობით და მხარეები შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე, მათ შორის, 2.1. პუნქტით შესაბამისი ცვლილება შეიტანეს ხელშეკრულების 6.1. პუნქტში და შესასრულებელი სამუშაოების საერთო სახელშეკრულებო ფასი განსაზღვრეს 320 აშშ დოლარის ოდენობით 1 კვ.მ. სამშენებლო ფართისათვის და **აღნიშნულმა შეადგინა 5 984 480 (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარში (მათ შორის „ა“ ბლოკისათვის 3 246 208 აშშ დოლარი, „ბ“ ბლოკისათვის 2 738 272 აშშ დოლარი)** აღნიშნული თანხა მოიცავს დღგ-ს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერ სხვა გადასახადს“.

3.9.1. შეთანხმების 2.2 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ და შესაბამისი ცვლილება შეიტანეს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომ „ა“ ბლოკის 7-სართულიანი სახლის მშენებლობა, ამავე ბლოკის დარჩენილი ნაწილის მეორე სართულის გადახურვა და „ბ“ ბლოკის ნულოვანი გადახურვა დასრულებულიყო 2011 წლის 27 თებერვლამდე, რაც ჩაითვლებოდა მშენებლობის პირველ ეტაპად. ამასთან, „ა“ ბლოკის ნაწილში დასრულებულად ჩაითვლებოდა შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო პარამეტრებთან.

3.10. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 16 აპრილის ბრძანებით შესაბამისი ნებართვა და სანებართვო მოწმობა გაიცა ქ. თბილისში, შემკვეთის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კომპლექსის „ა“ ბლოკის მშენებლობაზე. ამასთან, 2008 წლის 4 ივლისს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ბრძანებით შესაბამისი ნებართვა და სანე-

ბართვო მონმოზა გაიცა ქ. თბილისში, ... შემკვეთის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კომპლექსის „ბ“ და „გ“ ბლოკის მშენებლობაზე.

3.11. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით შეთანხმდა შესაბამის ტერიტორიაზე განსახორციელებული მშენებლობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ა“ და „ბ“ ბლოკები. შესაბამისად, „ა“ და „ბ“ ბლოკებზე მშენებლობის ნებართვები და სანებართვო მონმოზები გაიცა.

3.12. შემკვეთმა 2011 წლის 11 ივლისს წერილობით მიმართა მენარდეს და მოითხოვა მისთვის უმოკლეს ვადაში ყოფილიყო წარდგენილი მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის პროექტირებასთან დაკავშირებით არსებული შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, პროექტირებასთან დაკავშირებით მის მიერ საპროექტო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, მხარეთა შორის გაფორმებული და შემკვეთის მიერ მიღებული სამუშაოების შესრულების აქტების ასლები, სამშენებლო სამუშაოების პროცესში შედგენილი ყველა ფარული სამუშაოს აქტი, სს „თ-ის“ მიერ გაცემული ტექნიკური პირობის შესაბამისად, ობიექტის ელ. მომარაგების გარე ქსელის მონყობის საპროექტო დოკუმენტაცია და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

3.12.1. იმავე წლის 14 ივლისს შემკვეთმა მენარდეს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნა, რომ იგი აპირებდა ექსპერტების მონვევას, რომლებიც შეამოწმებდნენ და წარადგენდნენ დასკვნას შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რისთვისაც მენარდეს სამუშაოები ორი კვირით უნდა შეეჩერებინა, ამასთან, ესაჭიროებოდათ შესაბამისი დოკუმენტაცია ექსპერტიზის ჩასატარებლად, რომლის მიწოდებასაც ითხოვდნენ. იმავე წერილში აღნიშნა, რომ დასკვნის მიღებამდე 13.07.2011 წელს შესრულებულ სამუშაოთა აქტზე (ფორმა №2) შემკვეთი ხელს არ მოაწერდა.

3.12.2. მენარდემ შემკვეთს წარუდგინა 2011 წლის 12 ივლისით დათარიღებული სამუშაოთა შესრულების აქტი №2, რომლის თანახმადაც შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 1 644 496 აშშ დოლარს.

3.12.3. მენარდემ 2011 წლის 20 ივლისს წერილით მიმართა შემკვეთს და მიანოდა მის მიერ მოთხოვნილი გარკვეული დოკუმენტები, ამასთან, მიუთითა, რომ ფარული სამუშაოების აქტების და არმატურის დოკუმენტაციის მიწოდება მოხდებოდა მოგვიანებით.

3.12.4. აღნიშნულის შემდეგ 2011 წლის 22 ივლისს შემკვეთმა საპასუხო წერილით მიმართა მენარდეს, სადაც მიუთითა, რომ მათთვის აუცილებელი იყო შესაბამისი დოკუმენტაციის გადაცემა, რათა არ შეფერხებულყო ექსპერტიზა, რის გამოც კიდევ ერთხელ

მოითხოვდა მასალების დაუყოვნებლივ მიწოდებას. ამავე წერილით შემკვეთმა მოითხოვა წარდგენილი შესრულებულ სამუშაოთა აქტის შესაბამისი პოზიციებით გათვალისწინებული სამუშაოების დაზუსტება და მათი ღირებულებების დეტალური აღწერის წარდგენა. ამასთან, კიდევ ერთხელ მიუთითა წერილში, რომ ისინი უარს აცხადებდნენ შესაბამის აქტზე ხელმოწერაზე; სამუშაოთა შესრულების აქტს შემკვეთი მხოლოდ ზემოხსენებული შემონმების (ექსპერტიზის) პროცესის დასრულებისა და შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ მოაწერდა ხელს.

3.12.5. მენარდემ 2011 წლის 26 ივლისს შემკვეთს მიაწოდა გარკვეული დოკუმენტები და მიუთითა, რომ ფარული სამუშაოების ასლებს მოგვიანებით მიაწოდებდა შპს „თ. თ-ის“ (შემდეგში: ქვემენარდე) დირექტორი თ.ს. (იხ. წერილი, თანდართული დოკუმენტები).

3.12.6. შემკვეთმა 2011 წლის 3 აგვისტოს მიმართა მენარდეს, წარედგინა მისთვის 2011 წლის 8 ივნისს ავანსის სახით გადარიცხული 80 000 აშშ დოლარის ხარჯვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (განხორციელებული სამუშაოებისა და შეძენილი მასალების ღირებულება). ასევე, შემკვეთმა მოითხოვა, მიეწოდებინათ წერილობითი ანგარიში სამშენებლო ობიექტის ელ. მომარაგების გარე ქსელის მოწყობაზე განუღებ ხარჯებთან დაკავშირებით. ამ წერილის შესაბამისად, მენარდემ გარკვეული დოკუმენტები მიაწოდა შემკვეთს და მიუთითა, რომ საჭიროების შემთხვევაში წარუდგენდნენ სახელფასო უწყისებს.

3.12.7. შემკვეთი საწარმოს დირექტორმა 2011 წლის 3 აგვისტოს მენარდეს მიმართა და აცნობა, რომ როგორც 14 ივლისის წერილით შეატყობინეს, შესრულებული სამუშაოების ხარისხის საპროექტო დოკუმენტაციასა (მათ შორის, 2007 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) და შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მათ მიერ მოწვეული იქნა დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანია „ო.გ.“, რომელმაც დაასრულა შემონმების პროცესი და წარადგინა საექსპერტო დასკვნა, რომლის მიხედვითაც გამოვლენილია რიგი ნაკლოვანებები მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოებში, ამასთან, ამავე დასკვნაში მითითებული იყო ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის საჭირო რეკომენდაციები, რის გამოც შემკვეთმა უარი განაცხადა შესრულებულ სამუშაოთა აქტის ხელმოწერაზე და მენარდეს წარუდგინა საპრეტენზიო წერილი.

3.12.8. შემკვეთმა წინადადებით მიმართა მენარდეს, შეესწავლათ შესაბამისი საექსპერტო დასკვნა და ეცნობებინათ მათთვის თავიანთი მოსაზრებები. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაეთან-

ხმებოდნენ მითითებულ ნაკლოვანებებს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად გონიერულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 3 კვირისა, უნდა გამოესწორებინათ საექსპერტო დასკვნაში აღნიშნული ნაკლოვანებები რეკომენდაციების გათვალისწინებით (იხ. შემკვეთის 03.08.2011 წ. წერილი).

3.13. 2011 წლის 31 აგვისტოს ურთიერთშეთანხმების ოქმიდან ამონაწერის თანახმად, მენარდემ იკისრა ვალდებულება, რომ „ა“ ბლოკის პირველ კორპუსში ორ საცხოვრებელ ბინაში პარკეტის დაგების შესახებ მყიდველის მიერ პრეტენზიის გამოხატვის შემთხვევაში, ამავე კორპუსში იატაკის მოჭიმვის ვადები გადავადებული იქნებოდა გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 დღით, ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ ამავე ბლოკის მეორე კორპუსთან შესასრულებელი სამუშაოების დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩასატარებლად დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მონვევის შესახებ, რომელიც დაინიშნებოდა შეთანხმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში;

3.13.1. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ შემკვეთის მიერ გადარიცხული ფინანსებისა და მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ფინანსური შედარებისათვის ჩატარებულიყო ფინანსური ექსპერტიზა. ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ სხვა დანარჩენ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით შემკვეთს პრეტენზიები არ ექნებოდა.

3.14. შემკვეთმა 2011 წლის 5 სექტემბერს წერილით მიმართა მენარდეს, და შეატყობინა რომ გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და მათი გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის საფუძველზე, უარს აცხადებდა მხარეთა შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებაზე და სთხოვა, წარედგინა მისთვის დეფექტური აქტი ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ და გაეთავისუფლებინა მშენებარე ობიექტი, ვინაიდან მენარდის მხრიდან 2011 წლის 3 სექტემბერს არ იყო წარდგენილი არც გამოსწორებული ნაკლოვანებების შესახებ შესაბამისობის აქტი (დადასტურებული ექსპერტის დასკვნით) და არც კონსტრუქტორის დასკვნა, რომელიც დაასაბუთებდა შესრულებული სამუშაოების უნაკლოობას. შესაბამისად, შემკვეთმა მიიჩნია, რომ აღნიშნულით მენარდე განზრახ და უხეშად არღვევდა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ზიანს აყენებდა შემკვეთს.

3.14.1. ამავე წერილში აღინიშნა, რომ მენარდეს უნდა ეცნობებინა შემკვეთისათვის შესაბამის ექსპერტთან შეხვედრის, აღიარებული ნაკლოვანებების და მათი გამოსწორების ვადების შესა-

ხებ, თუმცა, ამის მიუხედავად, მენარდემ დაარღვია ეს პირობა და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, თვითნებურად და შემკვეთთან შეთანხმების გარეშე, დაიწყო სამუშაოების წარმოება ნაკლოვანების გამოსასწორებლად;

3.14.2. გარდა ამისა, კონსტრუქციულ ნაწილთან დაკავშირებით, მენარდის მიერ მიწერილ წერილში აღნიშნული იყო, რომ უმოკლეს ვადაში წარადგენდნენ კონსტრუქტორის დასკვნას, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ნაწილში არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით მიუთითეს, რომ შესაბამისი ექსპერტის (ა.ვ.) რეკომენდაციების გათვალისწინებით, წარუდგენდნენ ექსპერტის დასკვნას 3 სექტემბერს, ანუ სამი კვირის ვადაში.

3.14.3. შემკვეთმა თავის 2011 წლის 5 სექტემბრის წერილში მიუთითა, რომ რადგან მენარდემ არ დაიცვა და არ შეასრულა ზემოხსენებული პირობები, შემკვეთი წყვეტდა მასთან დადებულ ხელშეკრულებას.

3.15. შპს „ო.გ-ს“ მიერ 2011 წლის 16 ივლისს შედგენილი საექსპერტო დასკვნის თანახმად, მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოებს გარკვეული ხარვეზები ახასიათებდა, მათ შორის, აღნიშნულია, რომ სადარბაზოს იატაკზე ბეტონის ფილების დაგების ხარისხი არის არაადამაკმაყოფილებელი, ყველა სართულის და სართულშუა ბაქანზე თარაზულობა დაცული არ არის, დაგებული ფილების კუთხეები ზოგან ამონეული, ზოგან პირიქით, ჩანეულია. გარკვეულ ადგილას ფილები არის დამტვრეული, კომერციულ ფართში შესასვლელი კარის თავზე ზღუდარი საერთოდ არ არის, რის გამოც კედელი უკვე გაბზარულია, კანალიზაციის პლასტმასის დგარები სართულშუა გადახურვაში ჩამონტაჟებულია ნორმების დარღვევით, მოჭიმვის ზედაპირი ზოგ ბინაში არ არის თარაზული, ფენების და მოჭიმვის ჯამური სისქე არ იძლევა მილსადენის (გაზის, გათბობა) გატარების საშუალებას, გარკვეულ აივნებზე შეცვლილია აივნის სისქე, რომელიც ერთნაირი სისქის ფილით უნდა იყოს შესრულებული, პროექტი დარღვეულია, აივნის შუა სეგმენტის ფილის სისქე შემცირებულია, ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისი სვეტი ვერტიკალურ სისქეში არის გადახრილი, რაც დაუშვებელია და ა.შ. ამავე დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ ფარულ სამუშაოთა არც ერთი აქტი არ იყო წარდგენილი და ა.შ;

3.15.1. ექსპერტმა იმ რეკომენდაციებზეც მიუთითა, რომლის შემკვეთითაც შესაძლებელი იქნებოდა ხარვეზის აღმოფხვრა, მათ შორის, სადარბაზოს იატაკების თარაზოში გასწორება და ფილების ხელახალი დაგება, ზღუდარის მოწყობა და გაბზარულ კედელზე ბზარის მოშორება, კანალიზაციის მილების სართულშუა გადახურვაში ნორმების დაცვით მოწყობა, აივნის ფილის სისქის შემცირე-



ბის გამო ფილის ხელახალი გადაანგარიშება და ა.შ;

3.15.2. ასევე განისაზღვრა, რომ საჭირო იყო გარკვეული კვლევების განხორციელება, მათ შორის ბეტონის და არმირების ლაბორატორიული შემოწმება, გარდა დასკვნაში აღნიშნული ადგილები-სა, – კორექტირებული პროექტის ექსპერტიზა ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით და ა.შ.

3.15.3. ზემოხსენებული საექსპერტო დასკვნის თანახმად, მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოვლინდა, მათ შორის, წარდგენილი იყო ფაქტურები, რომელთა მიხედვით მენარდემ ჯერ თავად შეიძინა, ხოლო შემდეგ ამ გადაწყვეტილების 3.12.5 ქვეპუნქტში დასახელებულ ქვემენარდეს გადასცა მასალები და მოწყობილობები, ამის შემდეგ კი ქვემენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რომელზეც უკვე დარიცხულია ზედნადები და მოგება, ხელმეორედ დაარიცხა ზედნადები და მოგება და ასეთი დანარიცხებით წარუდგინა შემკვეთს, რაც დაუშვებელია და ა.შ; ექსპერტის დასკვნის თანახმად, ფორმა №2-ის შესახებ შენიშვნებიდან გამომდინარე, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება უნდა შემცირდეს საშუალოდ 40%-ით; №2 დანართში მითითებული შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების შეფასებით, დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის ხელთ არსებული დოკუმენტაციისა და ობიექტზე ჩატარებული აზომვითი სამუშაოების საფუძველზე, შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება შეადგენს 3 092 664,10 ლარს. ამასთან, ამავე დასკვნის თანახმად, გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების ჯამური ღირებულება შეადგენს 235 890,10 ლარს. ამასთან, ამავე დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი სახით ფორმა №2-ის მიღება შეუძლებელია.

3.16. მენარდემ 2011 წლის 10 აგვისტოს მიმართა შემკვეთს და აცნობა, რომ 12 აგვისტოს მოხდებოდა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის პუნქტობრივი განხილვა ექსპერტის მონაწილეობით. ამასთან, აღნიშნული განხილვის შემდეგად მენარდის მიერ აღიარებული ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების ვადები შემკვეთს ეცნობებოდა დამატებით. მენარდემ 25 აგვისტოს წერილით შემკვეთს აცნობა, რომ უმოკლეს ვადაში წარუდგენდა ექსპერტის დასკვნას კონსტრუქციულ ნაწილში, ხოლო სამშენებლო ნაწილში მოყვანილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, მათი დასრულება-გამოსწორების სამუშაოების შესრულების შესახებ ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით – 3 სექტემბერს. ამავე წერილში მიეთითა, რომ შემკვეთს გადაეგზავნა შესაბამისი ზედნადებები ანაზღაურების მიზნით. ხოლო რაც შეეხებოდა ქვეკონტრაქტორებთან დადებული ხელშეკრულებების ასლების წარდგენას, აღ-

ნიშნული არ ეკისრებოდა მენარდეს.

3.17. მენარდემ 01.09.2011წ. წერილებით შემკვეთს აცნობა, რომ შემკვეთის მიერ თანხების გადარიცხვის დარღვევა ხდებოდა და, შესაბამისად – სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის, რის გამოც ითხოვდა მიღებულიყო გადანყვეტილება თანხების ჩარიცხვის ახალი გრაფიკის შესახებ, ამის შემდეგ კი მენარდე წარადგენდა სამუშაოთა შესრულების ახალ გრაფიკს; ასევე, მენარდემ შემკვეთს აცნობა, რომ რამდენადაც შესაბამის ობიექტზე მიმდინარეობდა გაზიფიკაციის სამუშაოები, 3 სექტემბრამდე სამუშაოთა დასრულება შეუძლებელი იყო.

3.18. ექსპერტმა 2011 წლის 6 სექტემბერს შეადგინა შემოწმების აქტი № 09-001 საექსპერტო დასკვნაში აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც გარკვეული ხარვეზები გამოასწორა მენარდემ, თუმცა, გარკვეული ნაწილი არ აღმოუფხვრია.

3.19. შემკვეთმა 2011 წლის 8 სექტემბერს წერილით მიმართა მენარდეს, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა, რომ ვლინდებოდა შემკვეთის მიერ გადარიცხული თანხების მენარდის მხრიდან არამიზნობრივი ხარჯვა, რამდენადაც ამ უკანასკნელისათვის 2011 წლის ივნისის თვეში გადარიცხული 80 000 აშშ დოლარიდან 50 000 აშშ დოლარი განკუთვნილი იყო გარე ელექტრომომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის. წარდგენილი ელექტრონული დავალებიდან კი ირკვეოდა, რომ ამ მიზნით ავანსის სახით გადაირიცხა 40 000 ლარი, ხოლო 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარიდან დარჩენილი თანხა არამიზნობრივად იქნა გამოყენებული.

3.20. შპს „ო.გ.-ს“ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნაში აღნიშნულია მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელიც ახასიათებდა მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოებს, გამოკვლეული იქნა შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მისი შესაბამისობა არსებულ საპროექტო დოკუმენტაციასა და მენარდესთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან.

3.21. შემკვეთმა მენარდეს 2007 წლის 24 ოქტომბრიდან 2011 წლის 8 ივნისის ჩათვლით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, შესასრულებელი სამუშაოებისათვის სულ 3 281 928 აშშ დოლარი (5 177 598 ლარი) გადაურიცხა.

#### **4. მენარდის სასარჩელო მოთხოვნა და საფუძვლები**

4.1. მენარდემ 2011 წლის 6 ოქტომბერს სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაეკისროს:

4.1.1. მიყენებული ზიანის ანაზღაურება 780 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

4.1.2. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 1 070 545 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

4.1.3. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 810 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

4.1.4. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 133 005 ლარი;

4.1.5. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 192 411 ლარი;

4.1.6. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება – 28 336 ლარი;

4.2. მოსარჩელემ (მენარდემ) თავისი მოთხოვნა დაამყარა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმების ფაქტებზე და განმარტა, რომ იგი პერიოდულად წარუდგენდა მოპასუხეს (შემკვეთს) სამუშაოთა შესრულების აქტებს 2008-2011 წლებში, თუმცა, 2011 წლის 13 ივლისს წარდგენილი სამუშაოების შესრულების აქტი, რომლის მიხედვითაც შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 644 496 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდაათხი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს, შემკვეთმა არ მიიღო და იმავე წლის 3 აგვისტოს მენარდეს წარუდგინდა საპრეტენზიო წერილი, რომლითაც აცნობა ამ ნაკლოვანების გამოსწორებამდე შესრულებულ სამუშაოთა აქტის ხელმოწერაზე უარის შესახებ;

4.2.1. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 31 აგვისტოს დასკვნაში ასახული ნაკლოვანებებისა და მათი გამოსწორებისათვის საჭირო რეკომენდაციების პუნქტობრივი განხილვის, მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის დათვალიერებისა და გარკვეული ნაკლოვანებების გამოსწორების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, შემკვეთმა 2011 წლის 5 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების მოშლაზე. მენარდის მტკიცებით, არ არსებობდა ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიადგა არსებითი ზიანი. გარდა ამისა, შემკვეთს მისთვის დღემდე არ აუნაზღაურებია შეთანხმებით ერთჯერადად განსაზღვრული ზიანი – 780 000 აშშ დოლარი და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 28 336 ლარი;

4.2.2. მოსარჩელის (მენარდის) მითითებით, 2010 წლის 1 ოქტომბრის №3 შეთანხმებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესრულებული სამუშაოების საერთო სახელშეკრულებო ფასი არის 320 აშშ დოლარი 1 კვ.მ სამშენებლო ფართისათვის და მხოლოდ „ა“ და „ბ“ ბლოკებისათვის შეადგენს 5

984 480 (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს;

4.3. მოსარჩელის მტკიცებით, ხელშეკრულების უკანონოდ მოშლას ადასტურებს სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ტექნიკური ექსპრეტივის დასკვნა, რომლის თანახმად, „ა“ ბლოკის მე-2 კორპუსზე გამოვლენილია მცირე დარღვევები, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია კოსმეტიკური სამუშაოების მსვლელობის დროსაც, რაც შეეხება რიგელს, მისი შემონმება ვერ მოხდა ექსპერტების დაუშვებლობის გამო (იხ. ექსპერტივის დასკვნა);

4.4. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ხელშეკრულების მოშლით მას ზიანი მიადგა, კერძოდ, ვერ მიიღო მოგება „ა“ და „ბ“ ბლოკებზე გათვალისწინებული სამუშაოებისათვის 1 070 545 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, „გ“ ბლოკისათვის შესასრულებელი სამუშაოებისათვის კი ვერ მიიღო მოგება 810 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (იხ. სარჩელი);

4.5. მოსარჩელის მტკიცებით, იმის გამო, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა შემკვეთთან, მან უარი თქვა და არ დაეთანხმა შპს „ს.პ-ის“, შპს „ს.ო-ის“ შეთავაზებებს (ოფერტებს) ნარდობის ხელშეკრულებების დადებაზე, საიდანაც შემოსავალს (მათ შორის მოგებას) მიიღებდა, შესაბამისად: 133 005 ლარს და 192 411 ლარს;

4.6. მოსარჩელე უთითებს, რომ მასსა და ქვემენარდეს (იხ. 3.12.5 ქვეპუნქტი) შორის 2008 წლის 10 თებერვალს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც ქვემენარდემ იკისრა თბილისში, .... არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის „ა“ და „ბ“ ბლოკების მშენებლობის ვალდებულება, დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომლის სავარაუდო ფართებია „ა“ ბლოკისათვის – 9 226, 9 კვ.მ, ხოლო „ბ“ ბლოკისათვის – 8 436 კვ.მ. ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრული ღირებულება 3 885 838 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, დღ-ის ჩათვლით, ანუ 1 კვ.მ სამშენებლო ფართის სახელშეკრულებო ფასი მხარეთა შეთანხმებით შეადგენს 220 აშშ დოლარს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ქვემენარდემ მენარდისაგან მიიღო 2 228 830 აშშ დოლარი, მისაღები დარჩა 1 657 008 აშშ დოლარი (3 885 838- 2 228 830);

4.7. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხისაგან მიიღო შეკვეთა ამ უკანასკნელისათვის მოეწყო დროებითი საოფისე ფართი „ა“ ბლოკის პირველ სართულზე, რაც მენარდემ შეასრულა და ფაქტობრივად შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა 28 336 ლარი, რაც

მისთვის დღემდე არ აუნაზღაურებია შემკვეთს (იხ. სარჩელი).

## **5. შემკვეთის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა და საფუძვლები**

5.1. შემკვეთმა 2011 წლის 6 დეკემბერს შეგებებული სარჩელი აღძრა მენარდის წინააღმდეგ, ხოლო 2017 წლის 12 იანვარს დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა მის სასარგებლოდ შეგებებული სარჩელი მოპასუხეს დაკისრებოდა:

5.1.1. ზედმეტად გადახდილი 750 212,20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნება;

5.1.2. მშენებლობის პროცესში დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის აუცილებელი თანხის – 239 890,10 (235 890, 10 ლარისა და 4000 ლარის) ლარის ანაზღაურება;

5.1.3. ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის 46 564.54 ლარის ანაზღაურება;

5.1.4. სახელმწიფო ბაჟის და სასამართლო ხარჯების 38 780,19 ლარის ანაზღაურება.

5.2. შეგებებული მოსარჩელის (შემკვეთის მტკიცებით) 2007 წლის 30 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მენარდეს უნდა შეესრულებინა გარკვეული საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. თავდაპირველად ასამშენებელი კომპლექსი დაყოფილი იყო „ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკებად. 2010 წლის 1 ოქტომბერს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად სამშენებლო ფართი 17 762 კვ.მ-მდე შემცირდა, რაც აისახა სამშენებლო პროექტში, რომელიც დადგენილი წესით დამტკიცდა. ახალი შეთანხმებით აღარ უნდა აშენებულიყო „გ“ ბლოკი. მშენებლობის დასრულება დაგეგმილი იყო 2012 წლის 30 სექტემბრამდე, ხოლო საპროექტი სამუშაოების დასრულებისა და პროექტის დამტკიცების შემდეგ მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო ხუთ ეტაპად, სადაც შესასრულებელი სამუშაოების 15 % დასრულდებოდა 2008 წლის მე-4 კვარტლის ბოლომდე, ხოლო 45% – 2010 წლის მესამე კვარტლის ბოლომდე, 75 % – 2011 წლის მე-3 კვარტლის ბოლომდე, ხოლო მთლიანი მოცულობა 2012 წლის მე-3 კვარტლის ბოლომდე (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.9 - 3.9.1 ქვეპუნქტები);

5.2.1. სამუშაოს ანაზღაურება განისაზღვრებოდა დასრულებული ფართიდან, რომლის ღირებულება იყო 320 აშშ დოლარი 1 კვ.მ-ზე და თავდაპირველი სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 8 000 000 აშშ დოლარს, ხოლო პროექტის კორექტირების შემდეგ აღნიშნული ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრა 5 684 128 აშშ დოლარით;

5.2.2. შეგებებულმა მოსარჩელემ (შემკვეთმა) 2007 წლის 24 ოქ-

ტომბრიდან 2011 წლის 8 ივნისამდე პერიოდში მოპასუხეს (მენარდეს) ავანსის სახით გადაუხადა 3 281 928, 00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, რაც მენარდემ არამიზნობრივად დახარჯა და შემკვეთის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ამ უკანასკნელისათვის არ წარუდგინა შესრულებული სამუშაოების მოცულობის აქტები;

5.2.3. შემკვეთმა 2011 წლის 11 ივლისს მენარდეს მოსთხოვა საპროექტო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, მენარდის მიერ შესრულებული და შემკვეთის მიერ მიღებული სამუშაოების შესრულების აქტები, ყველა ფარული სამუშაოს აქტი, ობიექტის ელექტრომომარაგების გარე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რის ნაცვლადაც მას მიენოდა გაურკვეველი დანიშნულების აქტი, რომელშიც მითითებული იყო მხოლოდ შესრულებული სამუშაოებისა და შეძენილი მასალების ფასების გაანგარიშება, ყოველგვარი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე. 2011 წლის 14 ივლისს კი მენარდეს ეცნობა, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და პროექტთან შესაბამისობის შესამოწმებლად შერჩეულ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რისთვისაც გამოთხოვილი იქნა მენარდისაგან შესაბამისი დოკუმენტები /შესრულებული და მიღებული სამუშაოების შესრულების აქტები, ფარული სამუშაოების აქტები, არმატურის შესაბამისობის სერტიფიკატები და შესყიდვის დოკუმენტები, მშენებლობის სამუშაო პროექტი/. ამ შემთხვევაშიც შემკვეთს 20 ივლისის წერილით წარედგინა მხოლოდ მენარდის მიერ შესრულებული გაანგარიშებები, ყოველგვარი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე. 2011 წლის 22 ივლისის წერილით შემკვეთმა კიდევ ერთხელ გამოითხოვა მენარდისაგან შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე, აცნობა, რომ შემკვეთი უარს აცხადებდა ასეთი ფორმით წარდგენილი აქტების მიღებასა და ხელმოწერით დადასტურებაზე. შემკვეთს, 26 ივლისის საპასუხო წერილით, მენარდემ წარუდგინა მხოლოდ ლიფტის და არმატურის ნაწილის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები და მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, პირველადი დოკუმენტაციის გარეშე;

5.3. ექსპერტიზის 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნით გამოვლინდა დაშვებული ხარვეზები, საპროექტო დოკუმენტაციასა და მოპასუხესთან (მენარდესთან) დადებულ შეთანხმებებთან მიმართებით. 2011 წლის 3 აგვისტოს წერილით შემკვეთმა მენარდეს მოსთხოვა 8 ივნისს ავანსად გადარიცხული 80 000 აშშ დოლარის (იხ. 3.12.6 ქვეპუნქტი) ხარჯვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მენარდეს გაეგზავნა საექსპერტო დასკვნა და მასში მითითებული დარღვევების აღმოსაფხვრელად განესაზღვრა ვადა. ამ უკანას-

კნელისათვის წარდგენილი მასალით დასტურდება, რომ მენარდემ არამიზნობრივად დახარჯა 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარში. 10 აგვისტოს წერილით მენარდე დათანხმდა ექსპერტთან ერთად დასკვნის პუნქტობრივ განხილვაში მონაწილეობის მიღებასა და აღიარებული ხარვეზების გამოსწორებას ვადის მიუთითებლად. 2011 წლის 12 აგვისტოს მხარეთა და ექსპერტთა მონაწილეობით შედგა დასკვნის განხილვა. მენარდემ 25 აგვისტოს წერილით შემკვეთს აცნობა, რომ კონსტრუქციულ ნაწილთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში წარუდგენდა კონსტრუქტორის კომპეტენტურ დასკვნას, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ნაწილში გამოვლენილ ნაკლოვანებებს 3 სექტემბრამდე გამოასწორებდა. მენარდეს არც დასკვნა წარუდგენია შემკვეთისათვის და არც ნაკლოვანებები გამოუსწორებია;

5.3.1. მენარდემ მხოლოდ დაზიანებული იატაკისა და ლარების შეუვსებლობის ნაწილში აღიარა ხარვეზის გამოუსწორებლობის ფაქტი;

5.3.2. იმის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრულ ვადაში მენარდემ არ გამოასწორა ხარვეზები და უშედეგოდ გავიდა იგი, შემკვეთმა დაკარგა ინტერესი ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებისადმი. შემკვეთმა 2011 წლის 5 და 8 სექტემბერს მენარდეს აცნობა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

5.4. შეგებებულ მოსარჩილე ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს მხოლოდ 3 092 664, 10 ლარს, ხოლო გამოვლენილი არსებითი ხარვეზების გამოსასწორებლად საჭიროა 235 890, 10 ლარი. მითითებული დასკვნითა და მასზე დართული ხარჯთაღრიცხვით უდავოდ დასტურდება მენარდის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვნად შესრულების ფაქტი. ექსპერტიზის 2011 წლის 6 სექტემბრის შემოწმების აქტით დგინდება, რომ მოპასუხეს არ გამოუსწორებია ძირითადი ხარვეზები.

5.5. სადავო არ არის, რომ მენარდემ ავანსის სახით მიიღო 3 281 928, 00 აშშ დოლარი (5 177 598, 00 ლარი). ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, 938,6 კვმ-ით გაიზარდა მთლიანი სამშენებლო ფართი და შესაბამისად, პროექტის ღირებულება განისაზღვრა 5 984 480, 00 ლარით (2 306 993, 00 აშშ დოლარი). ამ თანხას უნდა გამოაკლდეს პროექტირების ღირებულება 370 791, 40 ლარი (224 722, 06 აშშ დოლარი). შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 2 531 715, 8 აშშ დოლარი, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი თანხა არის 750 212, 20 აშშ დოლარი (3 281 928, 00 – 2 531 725, 8);

5.6. შემკვეთმა მენარდისაგან მოითხოვა მშენებლობის პროცესში დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის აუცილებელი თანხის – 239 890, 10 ლარის (235 890,00+4000) ანაზღაურება, რაც მოიცავს სექსპერტო დასკვნაში მითითებული ნაკლოვანებების ჯამურ ღირებულებას 235 890,00 ლარს და 4000 ლარს, რომლითაც დაჯარიმდა შემკვეთი სანარმო ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ და ეს თანხა მისი ასანაზღაურებელია;

5.7. შემკვეთმა მოითხოვა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის – 46 564,54 ლარის ანაზღაურება, რაც მოიცავს 2011 წლის ივლისში ჩატარებული ექსპერტიზის ღირებულებას – 15 000 ლარს, ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად ჩატარებული აზომვითი ნახაზების შესრულების ღირებულებას – 6 134, 54 ლარს; ოქტომბერში ჩატარებული ექსპერტიზის ღირებულებას – 500 ლარს, პროექტის კორექტირების ღირებულებას 15 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, საიდანაც 7500 აშშ დოლარი შემკვეთს უკვე გადახდილი აქვს ავანსად, ხოლო იგივე თანხის გადახდის ვალდებულება ნაკისრი აქვს ხელშეკრულებით;

5.8. შემკვეთის მიერ მოთხოვნილი სახელმწიფო ბაჟი და სასამართლო ხარჯები შეადგენს 38 780, 19 ლარს (5000 ლარი – სახელმწიფო ბაჟი; 13 844, 66 ლარი – ექსპერტიზის დასკვნის მომზადება; 19 935, 53 ლარი – იურიდიული მომსახურება (იხ. შეგებებული სარჩელი, დაზუსტებული შეგებებული სარჩელი).

## **6. შემკვეთის შესაგებელი მენარდის სარჩელზე**

6.1. შემკვეთმა წერილობითი შესაგებლით არ ცნო მის წინააღმდეგ მენარდის მიერ აღძრული სარჩელი და სადავო გახდა ამ გადაწყვეტილების 1.1 ქვეპუნქტში მითითებული 2007 წლის ოქტომბრის ხელშეკრულება, რადგან მისი მტკიცებით, მხარეს არ გააჩნია ამ ხელშეკრულების დედანი, რომლის ყველა გვერდი იქნებოდა დადასტურებული წარმომადგენლის ხელმოწერით. შემკვეთი ადასტურებს ასეთი შეთანხმების არსებობის ფაქტს, თუმცა, ეჭვქვეშ აყენებს და არ ცნობს მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფოტოასლს;

6.2. შემკვეთის მტკიცებით, არ არსებობს ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებული 23.10.2007წ. შეთანხმება, რადგან თავდაპირველი მოსარჩელის (მენარდის) მიერ წარდგენილი შეთანხმება არ არის დამონმებული მოპასუხის ბეჭდით მაშინ, როდესაც 2007 წლის უთარილო, ასევე, იმავე წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებები მხარის მიერ დამონმებულია ბეჭდით, ამასთან, მისი არც დედანი და არც ასლი არ არის დაცული მოპასუხესთან (შემკვეთთან).

6.2.1. ასევე, დაუსაბუთებელია, როგორ იკისრა შემკვეთმა კაბალური და გაუგებარი ვალდებულება ერთჯერადად 780 000 აშშ



დოლარის ანაზღაურების შესახებ, როდესაც 23.10.2007წ. არანაირი ზიანი არ შეიძლებოდა არსებულიყო, რადგან ხელშეკრულების შესრულება კი არ იყო დაწყებული. მოსარჩელეს არასოდეს მოუთხოვია ამ „ზიანის“ ანაზღაურება, საავანსო გადარიცხვები კი 24 ოქტომბრიდან დაიწყო და მორიგი გადარიცხვები შემკვეთის მიერ შეთანხმებული გრაფიკით ხორციელდებოდა.

6.3. 30.10.2007 წ. მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება, ხოლო მასში 2010 წლის 1 ოქტომბერს №3 შეთანხმებით შევიდა ცვლილება (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.9 ქვეპუნქტი), რამაც პროექტის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა შეამცირა და განისაზღვრა ახალი, შემცირებული ღირებულება;

6.4. შემკვეთმა შესაგებელში მიუთითა იმავე ფაქტებზე, რაც მის შეგებებულ სარჩელშია დასახელებული (იხ. ამ გადაწყვეტილების 5.2.3 ქვეპუნქტი); შემკვეთმა უარყო მენარდის მიერ წარდგენილი 2011 წლის 31 აგვისტოს ურთიერთშედარების ოქმის არსებობა და აღნიშნა, რომ ამონაწერში მითითებული პირი – დ.ჩ. არ იყო უფლებამოსილი, საწარმოს სახელით ეწარმოებინა რაიმე მოქმედება, რადგან 2011 წლის 9 ივნისიდან საწარმოს დირექტორი იყო ლ.მ-ძე (იხ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან), რაც დასტურდება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე 2011 წლის 5 აგვისტოს წერილითაც, რომლის თანახმად, შემკვეთი უშედეგოდ ელოდებოდა ნაკლოვანებების გამოსწორების შესახებ აქტის წარდგენას. თუკი 31 აგვისტოს რაიმე შეთანხმება დაიდებოდა მხარეთა შორის, ცხადია, ასეთი მოლოდინი მხარეს ვერ ექნებოდა;

6.5. შემკვეთმა უარყო მენარდის განმარტება ნაკლოვანებების გამოსწორების თაობაზე, რადგან ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ იყო. მოსარჩელის მიერ წარდგენილი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა არ იყო სრულყოფილი და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, რადგან არ იყო განხილული და შეფასებული მშენებარე ობიექტის ის ათეულობით მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც იმავე ექსპერტიზამ თვითონვე დააფიქსირა;

6.6. მენარდე ვერ ადასტურებდა მისაღები მოგების თაობაზე მოთხოვნის დასაბუთებულობას, რადგან მის მიერ მითითებული გარემოებები არ იყო განმტკიცებული ჯეროვანი მტკიცებულებებით; ასეთად კი ვერ იქნებოდა მიჩნეული კომერციული წინადადებები. მოსარჩელეს არ წარუდგენია შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების პროექტები, არ მტკიცდებოდა სხვა სუბიექტმა შეასრულა თუ არა სამუშაოები, თუკი საერთოდ არსებობდა ასეთი შეთავაზება, ხოლო თუ არსებობდა, რეალურად რატომ არ მიიღო ისინი მენარდემ;

6.7. შემკვეთი ასევე შეედავა მენარდისათვის საოფისე ფართის სამუშაოების დაკვეთის ფაქტს, რადგან არ არსებობდა ასეთი სამუშაოების შესრულებისა და შემდეგ მისი შემკვეთის მიერ მიღების მტკიცებულება. მენარდის მტკიცება იმას ეფუძნებოდა, რომ მან საკუთარი სახსრებით შეასრულა შემკვეთის საოფისე ფართზე სამუშაოები, ხოლო ამის დასტურად უთითებდა მის მიერ ერთპიროვნულად დამონმებულ ხარჯთაღრიცხვაზე, რაც არ შეიძლებოდა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი ყოფილიყო.

### **7. მენარდის შესაგებელი შემკვეთის შეგებულ სარჩელზე**

7.1. მენარდემ წერილობითი შესაგებლით არ ცნო მის წინააღმდეგ შემკვეთის მიერ აღძრული შეგებებული სარჩელი და განმარტა:

7.1.1. არ არსებობდა მხარეთა შეთანხმება „გ“ ბლოკის აშენებაზე უარის თქმის შესახებ, ეს არ დასტურდებოდა შეცვლილი სამშენებლო პროექტით;

7.1.2. მას არამიზნობრივად არ დაუხარჯავს მიღებული თანხები, სამუშაოებს საკუთარი მასალებით ასრულებდა და ამიტომ არ ეკისრებოდა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის აქტების, მით უმეტეს, მასალის ხარჯვის (პირველადი დოკუმენტაციის) შემკვეთისათვის წარდგენის ვალდებულება. მიუხედავად ამისა, შემკვეთის პირველივე მოთხოვნისთანავე, მენარდე წარუდგენდა ხოლმე მოთხოვნილ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას. შეგებულ მოსარჩელეს (შემკვეთს) არ წარუდგენია მენარდის მიერ თანხების არამიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

7.1.3. შემკვეთის მიერ გაურკვეველი მოთხოვნების დაწესება სამუშაოს შესრულების აქტის ფორმასთან დაკავშირებით ავტომატურად არ ნიშნავდა, რომ ეს აქტები მენარდეს არ წარუდგენია შემკვეთისათვის;

7.1.4. ექსპერტიზის 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნა არის მიკერძოებული და არაკვალიფიციური, არ დასტურდება მენარდის მიერ დაშვებული არსებითი დარღვევები, შემკვეთი ვერ ამტკიცებს, რაში გამოიხატა ისინი, ასევე დაუსაბუთებელია მისი მტკიცება მენარდის მიერ 50 000 აშშ დოლარის არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ;

7.1.5. შეგებებული მოსარჩელე ვერ ასაბუთებს ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მიმართ ინტერესის დაკარგვის საფუძველს, ისევე, როგორც – ვალდებულების შეუსრულებლობის, მით უმეტეს, არაჯეროვანი შესრულების ფაქტს. აღნიშნული არ დასტურდება შემკვეთის მიერ წარდგენილი 2011 წლის 16 ივლისის ექსპერტიზის დასკვნით;

7.2. მენარდემ დამატებით შედავება წარადგინა მის მიერ მიღებული და გახარჯულ თანხებს შორის სხვაობაზე, კერძოდ, 3 281 928 – 2 926 225 = 355 703 აშშ დოლარზე, რაც მენარდემ, მისივე მტკიცებით, მოგების სახით მიიღო და გამომდინარეობდა მხარეთა შორის 30.10.2007წ. გაფორმებული ხელშეკრულებიდან, ასევე, დადასტურებულია ფორმა №2-ით;

7.3. შესაბამისი სამშენებლო ობიექტის პროექტირებაზე მენარდემ 213 198 აშშ დოლარი დახარჯა.

## **8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით **მენარდის თავდაპირველი სარჩელი შემკვეთის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ამ უკანასკნელს მოსარჩელის (მენარდის) სასარგებლოდ დაეკისრა:**

8.1.1. 78 000 აშშ დოლარის გადახდა;

8.1.2. მენარდის მოთხოვნა შემკვეთისათვის 1 070 545 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

8.1.3. მენარდის მოთხოვნა შემკვეთისათვის 810 450 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

8.1.4. მენარდის მოთხოვნა შემკვეთისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 133 005 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

8.1.5. მენარდის მოთხოვნა შემკვეთისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 192 411 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

8.1.6. მენარდის (თავდაპირველი მოსარჩელის) სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 28 336 ლარის ანაზღაურება დაეკისრა შემკვეთს;

8.1.7. მენარდის სასარგებლოდ, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 165 ლარის ანაზღაურება შემკვეთს დაეკისრა;

8.1.8. მენარდის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 4 835 ლარის ჩაითვალა გადახდილად სახელმწიფო ბიუჯეტში;

**8.2. შემკვეთის შეგებებული სარჩელი მენარდის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ამ უკანასკნელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა:**

8.2.1. 750 212,20 აშშ დოლარის გადახდა;

8.2.2. 235 890,10 ლარის გადახდა;

8.2.3. 4 000 ლარის გადახდა;

8.2.4. შემკვეთს (შეგებებულ მოსარჩელეს) უარი ეთქვა მენარდისათვის პროექტის კორექტირებული ნახაზის ღირებულების –

12 465 ლარის დაკისრებაზე; ასევე, უარი ეთქვა აზომვითი ნახაზების მომზადების ღირებულების 6 134,65 ლარის მენარდისათვის დაკისრებაზე;

8.2.5. მენარდეს შემკვეთის (შეგებებული მოსარჩელის) სასარგებლოდ დაეკისრა ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაზე განეული ხარჯების 15 000 ლარის, აგრეთვე, 500 ლარის და 12 744 ლარის ანაზღაურება;

8.2.6. შეგებებულ მოსარჩელეს უარი ეთქვა მისი წარმომადგენლების მომსახურებაზე განეული ხარჯების – 19 935,53 ლარის და ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაზე განეული ხარჯის – 1 100 მოპასუხისათვის (მენარდისათვის) დაკისრებაზე;

8.2.7. შეგებებული მოსარჩელის (შემკვეთის) სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 4 935 ლარის ანაზღაურება დაეკისრა მენარდეს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს), ხოლო შეგებებული მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 65 ლარი ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

**8.3. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1-3.21 ქვეპუნქტებში მითითებული სადავო ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ შემკვეთს უფლება ჰქონდა შეენციცა მენარდისთან გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება, რამდენადაც ამ უკანასკნელმა შესაბამისი სამუშაოები შეასრულა ხარვეზებით, არ აღმოფხვრა არსებული ნაკლოვანებები მოპასუხის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.** შემკვეთს საკმარისი საფუძველი ჰქონდა დაეკარგა ინტერესი მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულების მიმართ და შეენციცა იგი.

8.3.1. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, გარდა იმისა, რომ საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდებოდა მენარდის მიერ შესაბამისი სამუშაოების ხარვეზებით შესრულება, მას სრულად არ გამოუსწორებია ნაკლოვანებები შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში. მენარდე სარჩელში თვითონვე ადასტურებდა, რომ მან ხარვეზების მხოლოდ გარკვეული ნაწილი გამოასწორა. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურდა საქმეში წარდგენილი 2011 წლის 6 სექტემბრის შემოწმების აქტით (იხ. 3.18, 4.2.1, 4.3 ქვეპუნქტები).

8.3.2. სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ საქსპერტო დასკვნაში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების შემდეგ, არსებულ სხვა ხარვეზებთან დაკავშირებით მოპასუხეს (შემკვეთის) პრეტენზია არ ჰქონდა, და აღნიშნულთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა მოსარჩელის (მენარდეს) განმარტება და მის მიერ წარდგენილი შეთანხმების ოქმი, ამონაწერი აღნიშნული ოქმი-

დან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთის მხრიდან მას ხელს აწერდა დამფუძნებელი, იგი არ წარმოადგენდა აღნიშნული პერიოდისათვის საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს და შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება შესაბამის საკითხზე. საქმეში არსებული 2011 წლის 9 ივნისის სამენარმეო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ შემკვეთი სანარმოს დირექტორს წარმოადგენს ლ.მ-ძე.

8.4. სასამართლომ სადავო გარემოების დადგენისას ყურადღება გაამახვილა და გაითვალისწინა საქმეში წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის, საექსპერტო დასკვნები, შემომნებების აქტი, რომლებიც ადასტურებდნენ სამუშაოთა წარმოებას ხარვეზებით, ნაკლის გამოუსწორებლობას.

8.4.1. ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, რომელსაც უნდა განესაზღვრა შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა, ანუ მთლიანი სამშენებლო მოცულობიდან რამდენი პროცენტია შესრულებული მენარდის მიერ, დადგენილი იქნა, რომ ამ უკანასკნელის მიერ ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ... მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო, შესრულებული სამუშაოების ღირებულება „ა“ ბლოკის პირველი კორპუსის (დასრულებული) სამშენებლო ფართი შეადგენს 3 963,50 კვ.მ.-ს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 268 320,00 აშშ დოლარს (დღგ-სა და ყველა გადასახადის ჩათვლით), ამავე ბლოკის მე-2 კორპუსის (მშენებარე) სამშენებლო ფართი შეადგენს 6 181,00 კვ.მ.-ს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 685 721,13 აშშ დოლარს (დღგ-სა და ყველა გადასახადების ჩათვლით). „ბ“ ბლოკის სამშენებლო ფართი შეადგენს 8 557,00 კვ.მ.-ს, ხოლო შესრულებული სამუშაოების ღირებულება 352 952,61 აშშ დოლარს (დღგ-სა და ყველა გადასახადების ჩათვლით). საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მენარდის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 306 993,74 აშშ დოლარი, რაც 5 984 480,00 აშშ დოლარის 38,55%-ია. აღნიშნული დასკვნით დადასტურდა, რომ შესრულებული იყო დაახლოებით სამუშაოთა 38,55% მაშინ, როდესაც მენარდეს 2011 წლის მე-3 კვარტლის ბოლომდე დასრულებული უნდა ჰქონოდა სამუშაოთა 75%, მათ შორის – 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმებიდან გამომდინარე.

8.4.2. საქმეში არსებული მტკიცებულებები ადასტურებდა, რომ მენარდე ასევე არ აწვდიდა შემკვეთს მის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებს სრულად, იმ ფორმით, როგორც იგი ამას ითხოვდა. მხა-

რეთა შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების 6.1. პუნქტი ითვალისწინებდა შემსრულებლის ვალდებულებას, წერილობითი მოთხოვნისთანავე მიენოღებინა შემკვეთისათვის სამუშაოსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია. ამასთან, შემკვეთს ჰქონდა პრეტენზია, რომ ხარჯები არამიზნობრივად იყო განეული, მათ შორის, 2011 წლის ივნისის თვეში მენარდისათვის გადარიცხული (იხ. შემკვეთის 08.09.2011წ. წერილი მენარდისადმი), რაც, თავის მხრივ, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე, მით უფრო, რომ მიუხედავად შეთანხმებისა, არ ყოფილა ჩატარებული ფინანსური ექსპერტიზა.

8.4.3. 2011 წლის 16 ივლისს შესრულებული დასკვნის თანახმად, მენარდემ წარადგინა ფაქტურები, რომელთა მიხედვით მან ჯერ თვითონ შეიძინა, ხოლო შემდეგ ქვემენარდეს (იხ. 3.12.5 ქვეპუნქტი) გადასცა მასალები და მოწყობილობები, შემდგომ ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რომელზეც უკვე დარიცხული იყო ზედნადები და მოგება, ხელმეორედ დაარიცხა ზედნადები და მოგება და ასეთი დანარიცხებით წარუდგინა შემკვეთს, რაც დაუშვებელია და ა.შ. (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.15.3 ქვეპუნქტი).

8.5. სასამართლოს შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნული ერთობლიობაში წარმოადგენდა მხარის (შემკვეთის) მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის, მის მიერ მენარდესთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიმართ ინტერესის დაკარგვის საფუძველს.

8.6. შემკვეთისათვის მენარდის მიერ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოების ღირებულება („ა“ და „ბ“ ბლოკებზე) შეადგენდა 2 306 993,74 აშშ დოლარს, სულ 5 984 480.00 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. შემკვეთმა მენარდეს სამუშაოების შესასრულებლად, ავანსის სახით, სულ 3 281 928.00 აშშ დოლარი გადაურიცხა. პროექტირებისათვის მენარდემ გადაიხადა 224 722.06 აშშ დოლარი, აღნიშნული საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემკვეთის განმარტებიდან გამომდინარე. ამასთან, მენარდემ შესაგებელში ადასტურებდა მის მიერ შესაბამისი ხარჯის განევას უფრო მცირე ოდენობით (213 198 აშშ დოლარი), ვიდრე ამას შემკვეთი უთითებდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.3 ქვეპუნქტი, ასევე, მენარდის შესაგებელი – დავის მე-3 ფაქტობრივი გარემოება).

**8.7. მენარდემ შემკვეთს არ შეუსრულა 750 212.00 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაო.**

8.7.1. აღნიშნული სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია

საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა განმარტებების საფუძველზე, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე.

8.7.2. სასამართლომ დაადგინა, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას დაშვებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საჭირო იყო 235 890.10 ლარი, რაც წარმოადგენდა შემკვეთისათვის მიყენებულ ზიანს. სასამართლომ აღნიშნული დადასტურებულად მიიჩნია საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

8.8. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შემკვეთი საწარმო დააჯარიმა 4 000 ლარით, პროექტის დარღვევით მე-4 კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის, რაც წარმოადგენს მხარისათვის მიყენებულ ზიანს. სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით გაითვალისწინა დადგენილება სამართალდარღვევის საქმეზე.

8.9. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ურთიერთშეთანხმების ოქმი (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.13 ქვეპუნქტი) მენარდის მიერ მითითებული გარემოებების დასადასტურებლად, რომ მან ნაკლოვანებები გამოასწორა, ხოლო დარჩენილ ხარვეზებზე მხარეს (შემკვეთს) პრეტენზია არ ექნებოდა და ა.შ.

8.9.1. შემკვეთსა და მენარდეს შორის 2011 წლის 31 აგვისტოს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების ოქმი №1, რომელსაც შემკვეთის მხრიდან ხელს აწერდა საწარმოს დამფუძნებელი – დ.ჩ. აღნიშნული პერიოდისათვის დირექტორს წარმოადგენდა ლ.მ-ძე, რაც დასტურდებოდა ამონაწერით სამენარმეო რეესტრიდან. შესაბამისად, ეს დოკუმენტი შესრულებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც ის სასამართლომ კონკრეტული გარემოების დასადასტურებლად არ გაიზიარა.

8.10. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით მიღწეული შეთანხმება 780 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე, თავისი არსით, წარმოადგენდა შეთანხმებას პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო და ექვემდებარებოდა შემცირებას. სასამართლომ ხელშეკრულების საერთო ფასის, შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების, სამუშაოს მოცულობის, არსებული ხარვეზებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მენარდის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 780 000 აშშ დოლარი 78 000 აშშ დოლარამდე შეამცირა.

8.11. სასამართლომ არ გაიზიარა მენარდის მტკიცება, ხელშეკ-

რულების მოშლით მიყენებული ზიანის – 810 450 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც მისი განმარტებით იმ მოგებას წარმოადგენდა, რომელიც მას უნდა მიეღო „გ“ ბლოკის აშენებისათვის.

8.11.1. სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარდემ ვერ წარადგინა ზემოსენებული გარემოების დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება და ვერც ასეთის არსებობაზე მიუთითა. სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმდა №3 შეთანხმება 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც განისაზღვრა და არსებითად შემცირდა, პროექტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მენარდის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა და განისაზღვრა პროექტის ახალი შემცირებული ღირებულება. აღნიშნული კი არ ითვალისწინებდა „გ“ ბლოკის მშენებლობას. შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცება „გ“ ბლოკის აუშენებლობით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

8.12. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება მიუღებელი შემოსავლის სახით 133 005 ლარისა და 192 411 ლარის მიღების თაობაზე, რასაც მისი განმარტებით იგი მიიღებდა შპს „ს.ო-თან“ და შპს „ს.პ-თან“ ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში, მათთვის შესაბამისი სამუშაოს შესრულებით, ისევე, როგორც ის გარემოება, რომ მენარდეს „ა“ და „ბ“ ბლოკების აშენების შემთხვევაში, მოგების სახით უნდა მიეღო 1 070 545 აშშ დოლარი.

8.12.1. გარდა იმისა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს სარწმუნოდ ვერ მიუთითა და ვერ დაუდასტურა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებით შპს „ს.ო-თან“ და შპს „ს.პ-თან“ იგი სწორედ აღნიშნული ოდენობით მიიღებდა მოგებას, მან ასევე ვერ დაამტკიცა, რომ სწორედ შემკვეთის გამო არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება სხვა პირებთან და მენარდემ, იმის გამო, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან (შემკვეთთან), უარი თქვა და არ დაეთანხმა მხარეთა შეთავაზებებს (ოფერტს) ნარდობის ხელშეკრულებების დადებაზე, საიდანაც შემოსავლების სახით, მათ შორის, მოგების სახით, მიიღებდა შესაბამისად 133 005 ლარს და 192 411 ლარს.

8.13. სასამართლოს შეფასებით, მენარდემ ასევე სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა და ვერ მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რაც დაადასტურებდა, რომ მას „ა“ და „ბ“ ბლოკების აშენებით მიუღებელი შემოსავლის სახით უნდა მიეღო 1 070 545 აშშ დოლარი. ამასთან, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შემკვეთი უფლებამოსილი იყო, შეენყვიტა ხელშეკრულება იმის გამო, რომ მენარდემ არაჯე-



როვნად შეასრულა ვალდებულება და შემკვეთმა დაკარგა მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების ინტერესი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული განხორციელდა მენარდის ბრალით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო მისი მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მათ შორის – მიუღებელი შემოსავლის სახით.

8.14. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდემ შემკვეთს შეუსრულა ოფისის გარემონტებისათვის 28 336 ლარის სამუშაო, რაც შემკვეთს უნდა გადაეხადა თავდაპირველი მოსარჩელისათვის.

8.15. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 629-ე მუხლით „1. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. 2. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები. 3. ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“ და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე აშენებდა მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელ სახლს. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავდა არა მარტო სამუშაოს შედეგს, არამედ – მის შესრულებასაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, თავისი შინაარსით, ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენდა.

8.15.1. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 405-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარ-

ჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება („ა“ ქვეპუნქტი). სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ვადის მიზანია მოვალისათვის ხელის შეწყობა, რათა მან შეძლოს დარღვეული ურთიერთობის გამოსწორება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ვადის ხანგრძლივობას განსაზღვრავს კრედიტორი. მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს ისე, რომ იგი საკმარისი აღმოჩნდეს შესრულებისათვის და ამდენად გონივრული ხანგრძლივობის უნდა იყოს.

8.15.2. მოცემულ სადავო ურთიერთობაში, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოვლენილი იყო ვალდებულების დარღვევა, რომლის გამოსასწორებლად კრედიტორმა განსაზღვრა ვადა, რომლის მიუხედავადაც ნაკლოვანებები სრულად არ გამოსწორებულა, შესაბამისად, კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებით კიდევ ერთხელ ვადის მიცემა აშკარად გამოიწვევდა შემკვეთის უფლებების უხეშ დარღვევას, რის გამოც სასამართლომ მიაჩნია, რომ გამართლებული იყო მოთხოვნა ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

8.15.3. სსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაცაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დაწესებული ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად, გამოიყენება სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი. უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი. თუ უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ამ შესრულებაზედაც გავრცელდეს. უკვე შესრულებულის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება, შესაბამისად, სსკ-ის 352-

ე-354-ე მუხლები.

8.15.4. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ (შემკვეთმა) დაკარგა ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების ინტერესი და მას ვერ მოეთხოვებოდა ხელშეკრულებაში დარჩენა.

8.16. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის პირგასამტეხლოს თაობაზე შეთანხმების არსებობა. შესაბამისად, მოსარჩელეს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს გადახდა. სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის (მენარდის) მიერ მოთხოვნილი და შეთანხმებული პირგასამტეხლო წარმოადგენდა შეუსაბამოდ მაღალს და იგი უნდა შემცირებულიყო. შესაბამისად, მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს (შემკვეთს) დაეკისა პირგასამტეხლოს – 78 000 აშშ დოლარის გადახდა.

8.17. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობისა და ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზიანის რეალურად არსებობა, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

8.17.1. სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რა კონკრეტული ზიანი მიიღო, რომელიც, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეიძლებოდა სავარაუდო ყოფილიყო მოპასუხისათვის და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მხარეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მისი მხრიდან ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ამასთან, ზიანის ანაზღაურ-

რება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის ბრალით არ იყო გამოწვეული.

8.17.2. სსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი არ გამოიყენება, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სსკ-ის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

8.18. სსკ-ის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

8.18.1. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს ვალდებულება ჯეროვნად არ შეუსრულებია, შემკვეთის ხელშეკრულებიდან გასვლა მოხდა მენარდის ბრალით, რის გამოც ამ უკანასკნელის მოთხოვნა შემკვეთის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მათ შორის მიუღებელი შემოსავლის სახით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

8.19. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდემ შემკვეთს სულ 239 890,10 ლარის ზიანი მიაყენა, რის გამოც ამ ნაწილში შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა.

8.19.1. სსკ-ის 644-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდემ ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

8.20. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომკრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“.

8.20.1. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შემკვეთმა მენარდეს ზედმეტად გადაუხადა 750 212.20 აშშ დოლარი, რა ღირებულების სამუშაოც ამ უკანასკნელს არ შეუსრულებია. აღნიშნუ-

ლიდან გამომდინარე, მოთხოვნის ამ ნაწილში შემკვეთის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა.

8.21. სასამართლომ სსკ-ის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით, დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდემ შემკვეთის სასარგებლოდ შეასრულა 28 336 ლარის სამუშაო, რომლის ღირებულებაც უნდა აენაზღაურებინა შემკვეთს.

### **9. მენარდის სააპელაციო საჩივარი**

9.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მენარდემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ ნაწილში, როლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და დაკმაყოფილდა შემკვეთის შეგებებული სარჩელი. აპელანტმა ახალი გადაწყვეტილების მიღებით თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილება და შემკვეთის შეგებებული სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა; ასევე გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის, ექსპერტების დაკითხვისა და ადგილზე დათვალიერების შესახებ (იხ. მენარდის სააპელაციო საჩივარი); აპელანტი შემდეგ არგუმენტებზე უთითებს:

9.1.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული №3 შეთანხმებით განისაზღვრა და არსებითად შემცირდა პროექტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა და განისაზღვრა პროექტის ახალი შემცირებული ღირებულება. აღნიშნული არ ითვალისწინებს „გ“ ბლოკის მშენებლობას. არასწორად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე არასწორია და უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის მოთხოვნა – „გ“ ბლოკის აუშენებლობით მენარდისათვის მიყენებული ზიანის – 810 450 აშშ დოლარის – შემკვეთისათვის დაკისრების შესახებ;

9.1.2. საქმეზე არ არის წარდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მხარეთა შეთანხმება „გ“ ბლოკის აშენებაზე უარის შესახებ, ხოლო მონმე დ.ჩ-ს ჩვენებით, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოების (შემკვეთის) ღირექტორს და არის ამ საწარმოს ერთადერთი დამფუძნებელი, დადგენილი და დადასტურებულია მხარის ნება „გ“ ბლოკის აშენების შესახებ;

9.1.3. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ შემკვეთი საწარმოს დამფუძნებელს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ხელი მოეწერა 2011 წლის 31 აგვისტოს ოქმზე (იხ. 3.13-3.13.1 ქვეპუნქტები), ვინაიდან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს სამენარდემო რეესტრის ამონაწერის მიხედვით წარმოად-

გენდა ლ.მ-ძე. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ საზოგადოების ერთადერთ დამფუძნებელს არ ჰქონდა უფლებამოსილება, შესრულებული სამუშაოების დათვალიერებაში მიეღო მონაწილეობა და დათვალიერების შედეგების შესახებ დოკუმენტზე მოენერა ხელი, რითაც სანარმოს ერთადერთ დამფუძნებელს ფაქტიურად აუკრძალა კუთვნილ საკუთრებასთან დაკავშირებით გადანყვებილების მიღების უფლებამოსილება, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;

9.1.4. სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაადგინა საქმეზე ასევე მნიშვნელოვანი უდავო ფაქტობრივი გარემოება, რაც ეფუძნება მხარეთა შორის 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების 9.7 პუნქტს, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ნაკლის მქონე აღმოჩნდა და შემსრულებელი არ დაეთანხმა ამ ნაკლის არსებობას, მაშინ შემკვეთი უფლებამოსილია, ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც უნდა ჩატარდეს ორივე მხარისათვის მისაღები ექსპერტის მიერ. შემკვეთის წერილით უდავოდ არის დადასტურებული, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა მათ მენარდესთან შეუთანხმებლად მოინვიეს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნული საექსპერტო დასკვნა არის მიკერძოებული და წინააღმდეგობრივი, რაც დასტურდება როგორც საქმეზე წარმოდგენილი „ო.გ-ს“ 2012 წლის 16 მარტის საექსპერტო დასკვნით (შემომწების აქტი), ისე – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 3 აპრილის საექსპერტო დასკვნით;

9.1.5. სასამართლომ არ დაადგინა, კონკრეტულად რაში გამოიხატა და რით დასტურდებოდა ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების მიმართ შემკვეთის ინტერესის დაკარგვა. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გარეშე სასამართლოს დასკვნა მენარდის მიერ სამშენებლო სამუშაოების ხარვეზებით წარმოების, მენარდის ბრალით ხელშეკრულების მოშლის, შემკვეთის მიერ 2011 წლის 5 სექტემბერს ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის გამართლებისა და ხელშეკრულების მოშლის საკმარისი საფუძვლის არსებობის შესახებ არასწორია;

9.1.6. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, მენარდის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 306 993,74 აშშ დოლარი, რაც 5 984 480 აშშ დოლარის 38.55%-ია მაშინ, როდესაც მენარდეს 2011 წლის მე-3 კვარტლის ბოლომდე დასრულებული ჰქონდა სამუშაოთა 75%. სასამართლოს არ შეუსწავლია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 7 დეკემბრის დასკვნა, მხარეთა შორის გაფორ-

მებული 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულება, 2010 წლის 1 ოქტომბრის შეთანხმება, შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე მენარდის მიერ წარდგენილი შესაგებელი და თანდართული მტკიცებულებები, რამაც გამოიწვია მენარდისათვის 750 212 აშშ დოლარის არასწორად დაკისრება. ექსპერტისათვის საკვლევად არ ყოფილა წარდგენილი სამშენებლო პროექტი, რაც უპირობოდ განაპირობებდა მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში ცვლილებებს. უდავოდ დადგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ შემკვეთს მენარდისათვის თანხა ზედმეტად არ გადაუხდია, მით უმეტეს, არ გამოვლენილა შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადარიცხული თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. 330 703 აშშ დოლარი წარმოადგენს მენარდის მოგებას, რაც დასტურდება შემკვეთისათვის წარდგენილი ფორმით №2 და გამომდინარეობს მხარეთა შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებიდან. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ ექსპერტის 2011 წლის 7 დეკემბრის დასკვნაში წარდგენილი, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 2 306 993.74 აშშ დოლარი – არ შეესაბამება სინამდვილეს. სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა ექსპერტების დაკითხვის შესახებ;

9.1.7. მცდარია სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის საჭიროა 235 890.10 ლარი. დაზუსტებულ შეგებებულ სარჩელში შემკვეთი მოითხოვს მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის 235 890.10 ლარის დაკისრებას, რაშიც ასევე შედის სამშენებლო კომპლექსის „ა“ – 2 ბლოკის +10.8 ნიშნულზე მდებარე რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვის ფილის დემონტაჟისა და მონტაჟისათვის საჭირო 157 000 ლარი. საქმეზე არ არის წარდგენილი აღნიშნული სამუშაოების ჩატარების არანაირი მტკიცებულება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 2012 წლის 3 აპრილის დასკვნით დადგენილია მოცემული ფილის მზიდუნარიანობის საიმედოობა, ამ ფილის დემონტაჟისათვის დაუქვემდებარებლობა ანუ დემონტაჟის საჭიროების არქონა;

9.1.8. დაუსაბუთებელი და მცდარია სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეებმა თითქოსდა ვერ განმარტეს, რის მიხედვით განსაზღვრეს 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმებით ზიანი – 780 000 აშშ დოლარის ოდენობით. საქმეზე წარდგენილი 2007 წლის 23 ოქტომ-

ბრის შეთანხმებით უდავოდ არის დადასტურებული შემკვეთის ნი-  
ნამორბედი საწარმოს (შპს „ბ.ს.ი-ს“) მიერ ნაკისრი ვალდებულება  
ამავე მხარეებს შორის 2007 წლის ოქტომბრის ხელშეკრულებით  
გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ვადის 33 თვით გაზ-  
რდით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ – 780 000 აშშ  
დოლარით. მცდარია სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა შეთან-  
ხმება ზიანის შესახებ, თავისი არსით, არის პირგასამტეხლოზე შე-  
თანხმება. სასამართლომ შეცვალა მხარეთა მიერ გამოხატული ნე-  
ბა და უხეშად დაარღვია კერძო ავტონომიის პრინციპი;

9.1.9. სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა  
მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურებულია ზიანის ანაზღა-  
ურების, მიუღებელი შემოსავლის შესახებ მენარდის სასარჩელო  
მოთხოვნების დასაბუთებულობა.

## **10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილე- ბა და დასკვნები**

**10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით მე-  
ნარდის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;**

10.2. შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების  
სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი, რომლითაც მენარდის სა-  
სარგებლოდ შემკვეთს დაეკისრა 78 000 აშშ დოლარის გადახდა და  
ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება მენარდის სარ-  
ჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

10.2.1. მენარდის სასარგებლოდ შემკვეთს დაეკისრა 496 363.56  
აშშ დოლარის გადახდა;

10.3. შეიცვალა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გა-  
დაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-11 პუნქტი, რომლი-  
თაც შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 750 212.20 აშშ  
დოლარის გადახდა და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღე-  
ბით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შემკვეთის შეგებებული სარჩე-  
ლი;

10.3.1. შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 425 626.66  
აშშ დოლარის გადახდა;

10.4. შეიცვალა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადან-  
წყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-12 პუნქტი, რომლითაც  
შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 235 890.10 ლარის  
გადახდა და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ნაწი-  
ლობრივ დაკმაყოფილდა შემკვეთის შეგებებული სარჩელი;

10.4.1. შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 122 625.54  
ლარის გადახდა;



10.5. შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-16 პუნქტი, რომლითაც შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაზე განეული ხარჯის 15 000 ლარისა და 500 ლარის გადახდა და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 8056.90 ლარის გადახდა;

10.6. წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 78 560 ლარის ანაზღაურება შემკვეთის სასარგებლოდ დაეკისრა მენარდეს;

10.7. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

10.8. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8, მე-9 და მე-18 პუნქტები სახელმწიფო ბაჟის განაწილების შესახებ;

10.8.1. შემკვეთის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა 2 719.50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების ანგარიშში;

10.8.2. მენარდის სასარგებლოდ შემკვეთს დაეკისრა 2033.30 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების ანგარიშში.

10.9. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის შეონე ფაქტობრივ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც მითითებულია წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, 1.1.-3.8 ქვეპუნქტებში და მიუთითა, რომ დადგენილი იყო მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 5 სექტემბერს.

**10.10. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, შემკვეთის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებული იყო მენარდის ბრალეული მოქმედებით. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა შემდეგი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე:**

10.10.1. დამოუკიდებელმა საექსპერტო კომპანიამ (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 16 ივლისს შეადგინა №11-07-01/001 საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისში, ... მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მისი არსებულ საპროექტო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებასთან შესაბამისობის მიზნით. ასევე, ექსპერტს ეთხოვა, საექსპერტო შემონმების პროცესში, შესრულებულ სამუშაოებში ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, მათი გამოსწორებისათვის საჭირო რეკომენდაციის შემუშავება;

10.10.2. მენარდის მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოები ექსპერტმა ადგილზე დაათვალიერა, აზომა, დოკუმენტურად

შეისწავლა და დააფოტოსურათა, რა დროსაც გამოვლენილი იქნა ხარვეზები. ექსპერტმა ასევე შეიმუშავა რეკომენდაციები ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ;

10.11. შემკვეთმა 2011 წლის 3 აგვისტოს მენარდეს აცნობა, რომ ზემოხსენებული საექსპერტო დასკვნით გამოვლენილი იყო მთელი რიგი ნაკლოვანებები შესრულებულ სამუშაოებში. მენარდე სანარმოს დირექტორს ეთხოვა, რომ შეისწავლათ საექსპერტო დასკვნა და სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობებინათ პოზიცია დასკვნასთან მიმართებით. თუ ეთანხმებოდნენ, მაშინ გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 3 კვირისა, გამოეხსნორებინათ დასკვნაში არსებული ნაკლოვანებები, მასშივე მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით;

10.11.1. მენარდემ 2011 წლის 10 აგვისტოს შემკვეთს აცნობა, რომ 12 აგვისტოს შედგებოდა ზემოხსენებული საექსპერტო დასკვნის პუნქტობრივი განხილვა ექსპერტ ა.ვ-თან ერთად. საექსპერტო დასკვნის განხილვის შედეგად მენარდის მიერ აღიარებული ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების ვადები შემკვეთს ეცნობებოდა მოგვიანებით;

10.11.2. მენარდემ 2011 წლის 25 აგვისტოს შემკვეთს აცნობა, რომ საექსპერტო დასკვნაში მოყვანილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, კონსტრუქციულ ნაწილში უმოკლეს ვადაში, მენარდე წარადგენდა კონსტრუქტორის დასკვნას, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ნაწილში აღნიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, მათი დასრულება-გამოსწორების სამუშაოების შესრულების შესახებ, დასკვნას 3 სექტემბერს წარადგენდა.

10.11.3. შემკვეთის 2011 წლის 5 სექტემბრის წერილში, რომლის ადრესატია მენარდე, მითითებულია: „თქვენი ა.ნ. 25 აგვისტოს წერილში, რომელიც მივიღეთ ელექტრონულად ა.ნ. 26 აგვისტოს, მოგვწერეთ, რომ კონსტრუქციულ ნაწილთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე უმოკლეს ვადაში წარმოგვიდგენდით კონსტრუქტორის დასკვნას, ხოლო რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოების ნაწილში მოყვანილ ნაკლოვანებებს, მათი დასრულება-გამოსწორების სამუშაოების შესრულების შესახებ (ბ-ნ ა.ვ-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით) წარმოგვიდგენდით ექსპერტის მიერ დადასტურებულ დასკვნას ა.ნ. 03 სექტემბერს, ანუ ჩვენი ა.ნ. 03 აგვისტოს №08/08/2011 წერილში მითითებული 3 კვირიანი ვადის დაცვით. 2011 წლის 03 სექტემბერს თქვენი მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი არც გამოსწორებული ნაკლოვანებების შესახებ შესაბამისი აქტი (დადასტურებული ექსპერტის დასკვნით) და არც კონსტრუქტორის დასკვნა, რომელიც დაასაბუთებდა თქვენს მის შესრულებული სამუშაოების უნაკლოობას“. აღნიშნული წერილით მენარდეს

ეცნობა, რომ გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ამ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის საფუძველზე, შემკვეთი უარს აცხადებდა 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე და ადრესატს ეთხოვა, რომ არაუგვიანეს წინამდებარე წერილის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გაეთავისუფლებინა სამშენებლო ობიექტი;

10.12. დამოუკიდებელმა საექსპერტო კომპანიამ 2011 წლის 6 სექტემბერს შეადგინა შემონმების აქტი №09-001 საექსპერტო დასკვნაში №11-07-01/001 დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ.

**10.12.1. საექსპერტო დასკვნაში №11-07-01/001 დაფიქსირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დაფიქსირდა ხარვეზები, რომლებიც არ ყოფილა გამოსწორებული, კერძოდ:**

**1. „ა“ ბლოკი – პირველი კორპუსი:**

1.1. სადარბაზოს სართულში დახრილი ბაქნები თარაზოში გასწორებული არ არის, სართულში ბაქნებზე გამოტოვებულია ფილები, რომელთა ქვეშ არის სიცარიელე;

1.2. კანალიზაციის პლასტმასის დგარები სართულში გადახურვაში ჩამონტაჟებულია ნორმების დარღვევით СНиП 2.04.01-85 და СНиП 3.05.01-85;

1.3. ბინებში მოჭიმვასა და შესასვლელი კარის ძირს შორის, აივანზე გასასვლელი კარის ძირს შორის მანძილი მცირეა და არ იძლევა პარკეტის იატაკის მოწყობის საშუალებას (ბინები: 86,89,90). ეს მანძილი უნდა იყოს არა ნაკლებ 3.5-4 სმ;

1.4. 84,85,88,89 ბინებში ხარვეზი არ არის გამოსწორებული: მოჭიმვის ზედაპირი ზოგიერთ ბინაში არ არის თარაზული. ყველა ბინაში მოჭიმვების ზედაპირის სიგლუვე, სისქე და ფენები არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. არ არის მოწყობილი ნორმების შესაბამისი ბგერა (ხმის) საიზოლაციო ფენა ნორმების შესაბამისად СНиП II-12-77. ფენების და მოჭიმვის ჯამური სისქე არ იძლევა მილსადენის (გაზი, გათბობა) გატარების საშუალებას;

1.5. მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა ნორმების შესაბამისად კედელზე ანკერებით არ არის დამაგრებული, მხოლოდ სამონტაჟო ქაფით (ყველა ბინაში), მინაპარკეტი გატეხილია (ბინა №76, სადარბაზო +14.10);

1.6. კარები დამაგრებულია ამოლესვით, სამონტაჟო ხვრელები საცობებით არ არის დახურული;

1.7.1-2 კ-ლ ლერძებში არსებულ ვიტრაჟებს აქვს ხარვეზები, კერძოდ: მე-II სართულზე მოჭიმვა პირდაპირ შუშის დონეზეა, მომდევნო სამ სართულზე ვიტრაჟის მიმდებარე სართულშია გადა-

ხურვის ფილას და ვიტრაჟს შორის არის ღრიჭო, რომელიც არ არის ამოვსებული;

1.8. ფილების ქვეშ დარჩენილია სიცარიელე, რაც დაუშვებელია (ბინები 75,78,90,81);

1.9. თ-ლერძის გასწვრივ 2-3 ლერძებს შორის ექვსივე სართულზე ფანჯრის პერიმეტრი არ არის ამოშენებული, აგრეთვე ბინა №75,90. ხარვეზი გამოსწორდა ნაწილობრივ, რამდენიმე ბინაში გამოსწორებული არ არის;

1.10. სადარბაზოში, კიბის უჯრედის კედლების შელესვა არა-დამაკმაყოფილებელი ხარისხით არის შესრულებული, არ არის გასწორებული შვეული და თარაზული მიმართულებით;

1.11. სახურავის ჰიდროსაიზოლაციო ფენილი მოწყობილია ერთ ფენად, რაც არ შეესაბამება СНиП II-26-76 მოთხოვნებს. ფენილს აღენიშნება ნაკეციები, ნაოჭები და ჰაერის ბუშტები, რაც დაუშვებელია. ხარვეზი გამოსწორდა ნაწილობრივ: მეორე ფენა დამატებულია მხოლოდ 1-2 ზ-ი ლერძებს შორის.

## **2. „ა“ ბლოკი – მეორე კორპუსი:**

2.1. კიბის მარშების დახრა 0.00 და +4.20 ნიშნულებს შორის არ შეესაბამება პროექტს და ნორმატიულ დახრას. ხარვეზი არ გამოსწორებულია;

2.2. +7.50 ნიშნულზე „თ“ და 9 ლერძების გადაკვეთასთან არსებული აივნის ფილა და რიგელი არის დანეული ნსმ-ით, რაც დაუშვებელია, ხარვეზი არ არის გამოსწორებული;

2.3. პროექტით განსაზღვრული ლიფტის თანაორმო არ არის მოწყობილი. ხარვეზი არ არის გამოსწორებული.

## **3. „ბ“ ბლოკი**

3.1. პროექტით განსაზღვრული ლიფტის თანაორმო არ არის მოწყობილი.

## **4. საერთო ნაწილი**

4.1. სვეტებში და რიგელებში აღინიშნება ბეტონის ჩადების დროს წარმოქმნილი ნიჟარები და სიცარიელები, ზოგჯერ არ არის დამცავი ფენა და არმატურა ნაწილობრივ ჩანს, რაც მიუთითებს არასაკმარის ვიბრირებაზე. ბევრ ადგილას ასეთი ხარვეზი შეფითხვილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით, რაც დაუშვებელია.

**10.13. საქმეში წარდგენილია დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნა №11-10-01/001, რომლითაც დამატებით დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:**

### **1. „ა“ ბლოკი – პირველი კორპუსი:**

1.1. მიწისქვეშა ა/სადგომში ჩასასვლელი რამბა შესრულებულია პროექტის დარღვევით, გაბარიტული ზომები და მოხვევის მრუდი არ შეესაბამება ზომებს; სადარბაზოს იატაკზე ბეტონის ფილების

დაგების ხარისხი არადაამაკმაყოფილებელია; ყველა სართულშუა ბაქანზე თარაზულობა დაცული არ არის; დაგებული ფილების კუთხეები ამონეულია, ზოგჯერ ჩანეულია, არ შეესაბამება СНиП 3.04.-1-87 მოთხოვნებს;

1.2. კომერციულ ფართში კარის თავზე არ არის ზღუდარი;

1.3. ფასადის პროექტი დარღვეულია – კარების და ფანჯრების მოძრავი ნაწილის თავზე არსებული ნაწილის კონფიგურაცია არ შეესაბამება შეთანხმებულ პროექტს; ფასადის მოპირკეთება თ-ღერძის გასწვრივ 3-ღერძის მიმდებარედ +24.00 ნიშნულზე შესრულებულია პროექტის დარღვევით, კედლის ნაწილი სცდება ფასადის სიბრტყეს;

1.4. კარების ძირები დაზიანებულია (ბინები №87,92);

1.5.1-2 კ-ლ ღერძებში ვიტრაჟებს აქვს ხარვეზები – მე-2 სართულზე მოჭიმვა პირდაპირ შუშის დონეზეა, მომდევნო სართულებზე ვიტრაჟის მიმდებარე სართულშუა გადახურვის ფილას და ვიტრაჟს შორის არის ღრიჭო, რომელიც არ არის მოვსებული;

1.6. აივნებზე იატაკის კერამიკული ფილების ქვეშ არის სიცარილე;

1.7. ლიფტის მონტაჟი არ არის დასრულებული, სართულებზე არ არის მართვის პანელები, რომლის დაყენება გამოიწვევს კედლის დაზიანებას. ლიფტის თანაორმო არ არის მოწყობილი;

1.8. სახურავის ჰიდროსაიზოლაციო ფენილი მოწყობილია ერთ ფენად, არ შეესაბამება СНиП II-26-76 მოთხოვნებს.

## **2. „ა“ ბლოკი – მეორე კორპუსი:**

2.1. კიბის მარშების დახრა 0.00 და +4.20 ნიშნულებს შორის არ შეესაბამება პროექტს და ნორმატიულ დახრას, საჭიროა კიბის მარშების დემონტაჟი და ხელახლა მოწყობა საპროექტო მახასიათებლების მიხედვით;

2.2. 7-9 და თ-ლ ღერძებს შორის +10.80 ნიშნულზე დატოვებული კოლომების ნაშვერები არ შეესაბამება პროექტს; საპროექტო დ28 ნაცვლად ნაშვერები დატოვებულია დ25 არმატურით; 2.3. 5-10 და თ-ლ ღერძებს შორის +10.80 ნიშნულზე 2011 წლის ივლისის დასაწყისში დასხმულ ფილაზე აღინიშნება მრავლობითი ბზარები და ნახეთქები. ფილის ქვედა ზედაპირზე აღინიშნება ბზარები არმირების ორივე მიმართულებით (ლ-კ და 7-9 ღერძებს შორის);

2.4. ლ-ღერძის გასწვრივ 5-10 ღერძებში აივნების კონტურები არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნაწილში არ შეესაბამება ერთმანეთს; +7.50 ნიშნულზე „თ“ და 9-ღერძების გადაკვეთასთან არსებული აივნის ფილა და რიგელი არის დაწეული 5სმ-ით, რაც დაუშვებელია;

2.5. ბ-ბლოკში გადასვლა ა-ბლოკიდან შესრულებულია პროექ-

ტის დარღვევით.

**10.14. საქმეში წარდგენილია ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შემონმების აქტი №000241, 20.12.2011 წლის (სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ).** აქტის შესაბამისად, შემონმების ობიექტია ქ. თბილისში, .... მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსი „ა“ და „ბ“ ბლოკები. შემონმებით დადგინდა, რომ დარღვეული იყო ქ. თბილისის მერიის სსიპ – „ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ მიერ 09.11.2010 წ. №04/25/17 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი, კერძოდ:

10.14.1. 6.30 ნიშნულზე, „კ-ე“ მონაკვეთში „1-1“ ლერძის გარეთ შემცირებულია წრიული ფორმის საყრდენი კედლის რადიუსი დაახლოებით 1 მ-ით. „3-4“ მონაკვეთში „ი-თ“ ლერძებს შორის ლიფტის კარი გაუქმებულია; „ე-ე“ „დ-დ“ და „ბ-ბ“ ლერძებზე „7-8“ და „9-10“ მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია დიაფრაგმები: „7-10“ მონაკვეთში „ა-ლ“ ლერძებს შორის არსებული და საპროექტო დონეები არ შეესაბამება ერთმანეთს. „11-1“ ფასადზე „4-1“ მონაკვეთში +17.40 და +20.70 ნიშნულებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის, „4-1“ მონაკვეთში + 0.00 ნიშნულის ქვემოთ გაუქმებულია ბაზალტის ქვით მოპირკეთება. ფასადზე შეცვლილია კარ-ფანჯრის ნახატი. „1-4“ ფასადზე „2-3“ მონაკვეთში გაზრდილია კარის ლიობი სიგანეში, დაახლოებით 40 მ-ით. „ი-თ“ მონაკვეთში „1-2“ ლერძებს შორის სავენტილაციო შახტა მობრუნებულია. „4-4“ ლერძზე „ი-კ“ მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფრამუგა. +4.20 ნიშნულიდან ზემოთ შენობის მთელ სიმაღლეზე, „7-5“ მონაკვეთში „ლ-ლ“ ლერძის გარეთ გაზრდილია აივნის ფართი დაახლოებით 2.4 მ<sup>2</sup>-ით თითო ნიშნულზე და შეცვლილია კონფიგურაცია. ასევე „10-7“ მონაკვეთში „ლ-ლ“ ლერძის გარეთ გაზრდილია აივანი, დაახლოებით 4.5მ<sup>2</sup>-ით, თითო ნიშნულზე და შეცვლილი აქვს კონფიგურაცია. „8-8“ ლერძზე „გ-დ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დიაფრაგმა;

10.14.2. დადგენილია, რომ 2011 წლის 20 დეკემბრის №000241 შემონმების აქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 22 დეკემბრის №21569-11 დადგენილებით შპს „მ.გ.ჯ-ა“ დაჯარიმდა 4000 ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის. განემარტა სამართალდამრღვევს, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდე-

ბოდა წინა ჯარით გათვალისწინებული საჯარო თანხის სამმა-გი ოდენობით.

**10.15. საქმეში წარდგენილია დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2012 წლის 15 თებერვლის საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა.** ექსპერტის გადასაწყვეტად შემდეგი კითხვები დაუსვეს: 1. ა-ბლოკის №2 კორპუსის +10.80 ნიშნულის ჩათვლით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხი და მოქმედ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა; ლაბორატორიული კვლევის ჩატარება სამუშაოების შესრულების ხარისხის დასადგენად.

10.15.1. ექსპერტის დასკვნით დადგინდა, რომ ა-ბლოკის №2 კორპუსის ნიშნულებზე: 0.00, +4.20, +7.50, +10.80 საინჟინრო ქსელის დგარების გასატარებლად გადახურვის ფილებში არ არის დატოვებული ტექნოლოგიური ხვრელები; არ არის დაცული გადახურვის ფილებისა და არმატურის ბადის საპროექტო ზომები. საყრდენებთან ბადის სიმაღლე არ იძლევა ფილის მუშაობის საპროექტო მაჩვენებელს; ა-ბლოკის №2 კორპუსის ნიშნულებზე: +7.50 +10.80 აღებული სართულშორისი გადახურვის ლაბორატორიულად გამოცდილი სინჯების ბეტონის სიმტკიცე დაუშვებლად დაბალია და იცვლება 9.24მპა (94.22კგდ/სმ<sup>2</sup>)-დან 17.13 მპა (174.7კგდ/სმ<sup>2</sup>)-მდე; ბეტონის საპროექტო კლასის B25 (M350) სიმტკიცე 32 მპა (327კგდ/სმ<sup>2</sup>) უნდა შეადგენდეს, შესაბამისად – B22,5 (M300) სიმტკიცე 28.93მპა (294.7კგდ/სმ<sup>2</sup>) უნდა შეადგენდეს, ხოლო ლაბორატორიული კვლევით მიღებული შედეგი დაუშვებლად დაბალია; სამშენებლო სამუშაოების შესრულების ხარისხი დაბალია და არ შეესაბამება მოქმედ სამშენებლო ნორმებს. ექსპერტის რეკომენდაციით, საჭიროა კონსტრუქციის გამაგრება.

**10.16. საქმეში წარდგენილია სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა (2012 წლის თებერვალი).** სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტების ჯგუფის წინაშე გადასაწყვეტად დასმული იყო შემდეგი საკითხი: ქ. თბილისში, ... მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის სართულშუა გადახურვის ფილის ნიშნულზე +10.80 და აივნის ფილა, ნიშნული +7.50 ბეტონის მარკის დადგენის მიზნით, ნიმუშების ამოღება და მათი შემდგომი ლაბორატორიული გამოცდა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბეტონის სიმტკიცე იცვლებოდა 9.24 მპა-დან 17.13 მპა-მდე და არ შეესაბამებოდა საპროექტო სიდიდეს (B-25).

**10.17. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 25 აპრილის №012515-**

1012/03/2 დასკვნაში /მენარდის 2012 წლის 3 აპრილის მიმართვის საფუძველზე მომზადებული/ აღნიშნულია, რომ „ა“ -2 ბლოკის +10.80 ნიშნულზე რკინაბეტონის ფილაზე დაფიქსირდა ბზარები, „ბზარების განლაგების და ხასიათის ანალიზის შედეგად, დადგენილი იქნა, რომ ფილის დაბზარვა გამოწვეული იყო ბეტონის შეკლების დეფორმაციებით, რადგანაც ზაფხულის პირობებში დაბეტონების დროს მოხდა მისი სწრაფი გამოშრობა“. აქვე აღნიშნულია, რომ ბეტონირების პროცესი ალბათ ნაჩქარევად მიმდინარეობდა. ექსპერტების დასკვნით, „ა“ -2 ბლოკის +10.80 ნიშნულზე მდებარე რკინაბეტონის მონოლითური გადახურვის ფილის საინჟინრო-ტექნიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფილის მზიდუნარიანობა საიმედოა, ფილას არ სჭირდება გამაგრება და მითუმეტეს ის დემონტაჟს არ ექვემდებარება“;

**10.18. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 ნოემბერის №042383-2012/03/2 დასკვნის /შემკვეთის 2012 წლის 19 ოქტომბრის მიმართვის საფუძველზე მომზადებული/ შესაბამისად დგინდება, რომ ექსპერტმა შეაფასა ქ. თბილისში, ... მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის მე-3 კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა.**

10.18.1. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მე-3 კორპუსის საძირკვლის ფილისა და სარდაფის მზიდი კონსტრუქციების ბეტონის კლასი და არმირება არ შეესაბამებოდა პროექტში მოცემულ კლასსა და არმირებას და არ შეესაბამებოდა სამშენებლო ნორმებს. სარდაფის გადახურვის ფილის ტექნიკური მდგომარეობა იყო არადაძაქმაყოფილებელი. ექსპერტის რეკომენდაციით, გადახურვის ფილაში განვითარებული ბზარები უნდა შეივსოს პოლიმერცემენტის ხსნარით ეპოქსიდის ფუძეზე, ხოლო შემდეგ მოხდეს მისი გაძლიერება შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით. ექსპერტის დასკვნით, მონოლითური კედლები დაარმირებულია ცალფა არმირებით, ხოლო პროექტში შესაბამისი კონსტრუქციები დამუშავებული არ არის.

10.19. საქმეში წარდგენილია, ინდემნარმე „მ.ბ-ის“ დასკვნა – ქ. თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის „ა“ ბლოკის მე-2 სახლის კარკასის, +10.80 ნიშნულის ჩათვლით, კონსტრუქციების მდგრადობის, ვარგისიანობის და მათი შესაბამისობის დადგენის შესახებ არსებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან (2012 წლის 30 აპრილი).

**10.19.1. შპს „კ-ის“, შპს „ო.გ-ს“, სტს-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, შპს „პ.პ.ჯ-ას“ ლაბორატორიის და ინდემნარმე მ.ბ-ის ორგანიზაციის მასალებ-**



**ზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... მშენებარე „ა“ ბლოკის მე-2 სახლის მშენებლობის დროს დაშვებული იყო მშენებლობის ნორმებისა და წესების რიგი დარღვევები, კერძოდ:**

1. კიბის მარშების დახრა; გადახურვის ფილაზე +10.80 ნიშნულზე ქვედა ზონაში აღნიშნული ბზარები; აივნის ფილების სისქეების შეუსაბამობა საპროექტოსთან; საინჟინრო კომუნიკაციების გასატარებლად გადახურვის ფილებში არ იყო დატოვებული ტექნოლოგიური ხვრელები; არ იყო მოწყობილი ლიფტის თანაორმო; შპს „ო.გ.ს“ რეკომენდაციით +10.80 ნიშნულზე განლაგებული ფილები საჭიროებდა დემონტაჟს (ექსპერტი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება); იგივე რეკომენდაციითაა +7.50 ნიშნულზე (აქაც ექსპერტის აზრი უარყოფითია); რკინაბეტონის კოლონების +10.80 ნიშნულზე არმირებისას დაშვებული იყო უზუსტობა – Ф28AIII საპროექტო არმატურის ნაცვლად გამოყენებული იყო Ф25AIII არმატურა; „ა“ ბლოკიდან „ბ“ ბლოკში გადასასვლელი შესრულებულია პროექტის დარღვევით; სტუ-ს ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, გადახურვის ფილების ზედაპირის +10.80 ნიშნულზე აღინიშნებოდა უსწორმასწორობა, მაკრო და მაგისტრალური დიაპაზონის ბზარები;

**10.20. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) მიერ ჩატარებული გადახურვის არმირების შესახებ 2012 წლის 16 მარტის საექსპერტო დასკვნაში აღინიშნა** გადახურვის ფილების ბეტონირების და არმატურების დროს დაშვებული უზუსტობა: ფილების სისქე საპროექტო 200მმ და 160მმ-ის ნაცვლად აღმოჩნდა 172მმ დან 220მმ-მდე ფილისათვის 200 მმ და 150მმ-დან 191მმ-მდე, ფილისათვის 160 მმ, ხოლო არმატურის ბადეებს შორის საპროექტო მანძილი 200მმ ფილისათვის შესაბამისად 170მმ-ის ნაცვლად ფაქტიურად 83მმ დან 167მმ-მდეა, ხოლო 160მმ ფილებისათვის საპროექტო 130-ის ნაცვლად 80მმ-დან 130მმ-მდეა. გამომდინარე აღნიშნულიდან, გაიზარდა დამცავი შრეც 15 მმ-ს ნაცვლად 93მმ-მდეა და ფილის საყრდენი არმატურა ნეიტრალურ შრეში მოექცა.

10.21. იგივე შედეგები იყო მიღებული **მ.ბ-ის მიერ ჩატარებული კვლევის დროს**, კერძოდ, ბეტონის გამოცდების შედეგად დადგინდა, რომ „ა“ ბლოკის მე-2 სახლის გადახურვის ფილაზე ბეტონის მარკა (კლასი) შეესაბამებოდა საპროექტო მონაცემებს, გარდა +10.80 ნიშნულზე განლაგებული ფილებისა.

10.21.1. ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ანალიზიდან დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის „ა“ ბლოკის მე-2 სახლის მზიდი კარკასის ელემენტების-კოლონების, რიგელების, დიაფრაგმების (მონოლითური კედლების) და-არმატურება და ბეტონის კლასი, შეესაბამებოდა პროექტში მიღე-

ბულ სიდიდეებს და მათი მდგრადობა და ექსპლუატაციაში საიმედოობა უზრუნველყოფილი იყო.

10.21.2. რაც შეეხება გადახურვის ფილებს, განსაკუთრებით +10.80 ნიშნულზე, მათი ბეტონის კლასი, რიგ შემთხვევებში, საპროექტოსთან შედარებით გარკვეულწილად დაბალია. არ აკმაყოფილებს ფილების დაარმატურების არსებული მდგომარეობა საპროექტო მოთხოვნებს: ბეტონირების დროს ტექნოლოგიის დაუცველობამ (დამცავი შრის გადიდება) გამოიწვია არმატურის ბადეების ერთმანეთთან მიახლოება დაუშვებელი მანძილით (80მმ), რაც იწვევს ფილების საყრდენებზე მზიდუნარიანობის შემცირებას.

10.21.3 ექსპერტის რეკომენდაციით, აუცილებელია გადახურვის ფილების ზედაპირების გასწორება 4-5 სმ საპროექტო მარკის ბეტონით დაარმატურება.

10.22. სააკველაციო სასამართლომ ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი განსახილველი დავის გადაწყვეტისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში: სსსკ) 102-ე მუხლზე მიუთითა: „თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“ და განმარტა, რომ მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსება სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის აღიარებით ვლინდება. სსსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამდენად, დავის შინაარსს განსაზღვრავენ მხარეები. ისინი

განაგებენ საპროცესო მასალებს, მტკიცებულებებსა და ფაქტებს. შესაბამისად, მხარე, უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი მის ხელთ არსებული ფაქტებისა და უფლებების სწორად გამოყენებაზე.

10.23. სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. სსსკ-ის მიხედვით, მტკიცების პროცესს წარმოადგენს საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნილობის პრინციპის დაცვით იღებს და შემდეგ აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის, ან არარსებობის შესახებ.

10.24. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 629-ე მუხლზე (ნორმის დეფინიცია იხ. 8.18 ქვეპუნქტში), 639-ე მუხლზე „თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა“ მიუთითა, ასევე, 641-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის“. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილზე (იხ. ნორმის დეფინიცია 8.15.1 ქვეპუნქტში) დაყრდნობით განმარტა, რომ სახელშეკრულებო სამართალი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპსა და მხარეთა ურთიერთნდობაზეა აგებული, ამასთან, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით.

10.25. ვალდებულების დარღვევა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 405-ე მუხლის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ფორმით განხორციელდა დარ-

ღვევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს. არსებითია, თუ არა დარღვევა, ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა დადგინდეს;

10.26. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდემ სამშენებლო სამუშაოები აწარმოა არსებითი ხარვეზებით, კერძოდ, რიგ შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იყო უხარისხოდ, ან არ შეესაბამებოდა პროექტს ან დარღვეული იყო ნორმატიული მოთხოვნები. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილია მენარდის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დარღვევის ფაქტი, რაც ამართლებს კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას.

10.27. სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ზიანის – 1 070 545 აშშ დოლარის, 810 450 აშშ დოლარის, 133 005 ლარისა და 192 411 ლარის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

10.27.1. დადგენილია, რომ ძირითადი მოსარჩელის (მენარდის) მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების უკანონოდ მოშლით მას მიადგა ზიანი, კერძოდ, მან ვერ მიიღო მოგება „ა“ და „ბ“ ბლოკებისათვის გათვალისწინებული 1 070 545 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარი, ასევე „გ“ ბლოკის სამშენებლო სამუშაოების შესრულებიდან – მოგება 810 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მენარდე სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა შემკვეთთან (მოპასუხესთან), უარი განაცხადა შპს „ს.პ-ის“, შპს „ს.ო-ის“ შეთავაზებებზე ნარდობის ხელშეკრულების დადების შესახებ, საიდანაც შემოსავლის სახით, მათ შორის მოგების სახით მიიღებდა შესაბამისად, 133 005 ლარსა და 192 411 ლარს.

10.27.2. სსკ-ის 411-ე მუხლზე (იხ. 8.16 ქვეპუნქტი) დაყრდნობით, სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. ამდენად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის შეფასება პირდაპირპროპორციულ კავშირშია ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ შესაძლებლობებთან;

10.27.3. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, შემკვეთი უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა ნარდობის ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ მენარდემ არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების ინტერესი შემკვეთმა დაკარგა. შესაბამისად, მოთხოვნა ზიანის

ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლო იყო. გარდა ამისა, მენარდის მოთხოვნა „გ“ ბლოკის სამშენებლო სამუშაოების შესრულებიდან მოგების 810 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლო იყო იმ მოტივითაც, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით ცვლილებები შევიდა 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, რომლითაც შემცირდა სამშენებლო ფართის ოდენობა, კერძოდ, ხელშეკრულების პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „ვინაიდან „ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებულ პროექტში 2010 წლის სექტემბრის თვეში შევიდა ცვლილება და „ა“ და „ბ“ ბლოკების სამშენებლო ფართი განისაზღვრა 18 701.5 კვ.მ-ის ოდენობით, მათ შორის, „ა“ ბლოკი – 10 144.4 კვ.მ. და „ბ“ ბლოკი – 8557.1 კვ.მ ოდენობით“, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესასრულებელი სამუშაოების საერთო სახელშეკრულებო ფასი სულ შეადგენდა 5 984 480 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.“ ამდენად, პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სამშენებლო ფართი შემცირდა და აღარ იგეგმებოდა „გ“ ბლოკის მშენებლობა, რაც ასევე აისახა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციაში და, შესაბამისად, 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, მხარეთა მიერ მასში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.

**10.28. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდის სააპელაციო საჩივარი მოპასუხისათვის (შემკვეთისათვის) 780 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგი არგუმენტაციით:**

10.28.1. სასამართლომ მიუთითა, რომ შემკვეთსა და მენარდეს შორის 2007 წლის ოქტომბერში (უთარილო) დაიდო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულება (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი). აღნიშნული ხელშეკრულებით, მენარდემ იკისრა ვალდებულება ქ. თბილისში, .... შეესრულებინა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები 25 000 კვ.მ-ის ოდენობით, წინასწარ შეთანხმებული გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ამასთან, შესასრულებელი სამუშაოების წინასწარი ვადები განისაზღვრა ხელშეკრულების №1 დანართით, რომლის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების მთლიანი მოცულობის ჯამური 10% უნდა დასრულებულიყო 2008 წლის I კვარტალში, 25% – 2008 წლის II კვარტალში, 41% – 2008 წლის III კვარტალში, 57% – 2008 წლის IV კვარტალში, 73% – 2009 წლის I კვარტალში, 83% – 2009 წლის II კვარტალში, 93% – 2009 წლის III კვარტალში, 100% – 2009 წლის IV კვარტალში. ამდენად, სამშენებლო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2009 წლის ბოლოს.

10.28.2. დადგენილია, რომ 2007 წლის 23 ოქტომბერს შემკვეთ-

სა და მენარდეს შორის დაიდო შეთანხმება 2007 წლის ოქტომბრის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულებაში არსებითი ცვლილებების აუცილებლობის გამო ახალი ხელშეკრულების დადებისა და ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ; (იხ. ამ გადანყვეტილების მე-2 პუნქტი, 2.1-2.3 ქვეპუნქტები). მხარეები შეთანხმდნენ სამშენებლო სამუშაოების ვადების გაზრდის შესახებ – 33 თვით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გაუქმებისა და ამ ცვლილებებით შემსრულებლისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ნესის შესახებ. ხელშეკრულების 1.4 პუნქტის თანახმად, შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მენარდეს სამშენებლო სამუშაოების გაზრდით მიყენებული ზიანი ერთჯერადად 780 000 აშშ დოლარის ოდენობით. 1.5. პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მენარდისათვის ამ შეთანხმების 1.4 პუნქტით აღიარებული ზიანის ანაზღაურების გადახდა შემკვეთის მიერ მოხდებოდა ეტაპობრივად – 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე.

10.28.3. მხარეთა შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ხელშეკრულების საგანია – 25 000 კვ.მ. ფართის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოები მოიცავდა სამ ნაწილს და დაყოფილი იყო ასაშენებელი კომპლექსის ბლოკების („ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკების) მიხედვით (იხ. ამ გადანყვეტილების მე-3, 3.1-3.8 ქვეპუნქტები). ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების მთლიანი მოცულობის 100% უნდა დასრულებულიყო 2012 წლის III კვარტლის ბოლომდე, ნაცვლად 2007 წლის ოქტომბრის ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადისა, რომლითაც მშენებლობის დასრულება განსაზღვრული იყო 2009 წლის IV კვარტალში. ამდენად, 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებით მშენებლობის ვადა გაიზარდა 33 თვით.

10.28.4. ასევე, მოგვიანებით, ახლებურად განისაზღვრა მშენებლობის ეტაპები და მისი დასრულების ვადები, კერძოდ, 2010 წლის 1 ოქტომბერს, მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება №3, 2007 წლის 30 ოქტომბრის ნარდობის ხელშეკრულებაში და მის საფუძველზე გაფორმებულ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხ. ამ გადანყვეტილების 3.9-3.9.1 ქვეპუნქტები). შეთანხმების 4.1.2. პუნქტის თანახმად, „კომპლექსის „ა“ ბლოკის 7-სართულიანი ნაწილის მშენებლობა, ამავე ბლოკის დარჩენილი ნაწილის მეორე სართულის გადახურვა და „ბ“ ბლოკის ნულოვანი გადახურვის დასრულება 2011 წლის 27 თებერვლამდე, რაც ჩაითვლება მშენებლობის ერთ ეტაპად“; 4.1.3. პუნქტის თანახმად, „ა“ ბლოკის დარჩენილი ნაწილის დასრულება 2011 წლის თებერვლიდან არა უგვიანეს 2012

ნლის 30 აპრილამდე, დამკვეთის მიერ ამავე ხელშეკრულების 6.2.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის შესაბამისად და ჩაითვლება შესასრულებელი სამუშაოს მეორე ეტაპად“, „4.2. „ბ“ ბლოკის დაწყების და დასრულების ვადები, ასევე, შესასრულებელი სამუშაოების ეტაპობრიობა განისაზღვრება დამატებითი შეთანხმებით, რომელიც თან დაერთვის ხელშეკრულებას და განიხილება მასთან ერთად ერთობლიობაში. შეთანხმების გაფორმება მოხდეს არაუგვიანეს 2011 წლის 01 ივლისამდე“.

10.29 სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით მიღწეული შეთანხმება 780 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე, თავისი არსით, წარმოადგენდა შეთანხმებას პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით.

10.29.1. სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლო (სსკ-ის 417-ე მუხლის დეფინიცია იხ. ამ გადაწყვეტილების 8.16 ქვეპუნქტში) წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. ვალდებულების დარღვევამდე პირგასამტეხლო ემსახურება ვალდებულების შესრულების სტიმულირებას, ვინაიდან მოვალემ იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მას მოუწევს გარკვეული საზღაურის გადახდა. პირგასამტეხლო ატარებს პრევენციული და მინიმალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას, შესაბამისად, პირგასამტეხლო, რომელიც გადააჭარბებს ამ ოდენობას, იძენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სტატუსს. ამდენად, პირგასამტეხლოს მიზანი სწორედ ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფაა.

10.29.2. სსკ-ის 319.1 მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შეთანხმება 780 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ, არ წარმოადგენდა პირგასამტეხლოს, როგორც ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფას. აღნიშნული თანხის გადახდა მხარეებმა დაუკავშირეს მშენებლობის ვადის გაზრდას 33 თვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებმა განსაზღვრეს მშენებლობის ვადის გაზრდით მენარდის მიერ მიუღებელი შემოსავლის ოდენობა, რომელსაც სანარმო მიიღებდა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. ამდენად, სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ემსახურებოდა ზიანის ანაზღაურებას იმ ოდენობით, რომელსაც მენარდე, როგორც სამშენებლო კომპანია, მიიღებდა მშენებლობის ვადის გაზრდის შედეგად, რაც თითოეულ თვეზე შეადგენს 23 636.36 აშშ დოლარს (33\*23.636.36).

10.29.3. 2007 წლის ოქტომბრის ხელშეკრულების შესაბამისად მშენებლობის დასრულება განსაზღვრული იყო 2009 წლის IV კვარტალში. ვინაიდან, 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებით მშენებლობის ვადა გაიზარდა 33 თვით, ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 5 სექტემბერს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდისათვის ასანაზღაურებელი ვალდებულების, როგორც მიუღებელი შემოსავლის, მოცულობა უნდა განსაზღვრულიყო 21 თვის განმავლობაში მისაღები თანხების ერთობლიობით, რაც შეადგენს 496 363,56 აშშ დოლარს. სასამართლომ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით ცვლილება შევიდა 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაში და ნაცვლად 25 000 კვ.მ ფართისა, სამშენებლო ფართი შემცირდა და განისაზღვრა 18 701.5 კვ.მ-ით, მხარეებს ცვლილება არ განუხორციელებიათ 2007 წლის 23 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, რომლითაც განისაზღვრა ზიანის მოცულობა.

**10.30. საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სამუშაოების შესრულებისას მენარდის მიერ დაშვებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯი უნდა განსაზღვრულიყო 122 625.54 ლარით, რაც შემდეგნაირადაა დასაბუთებული:**

10.30.1. შემკვეთის მოთხოვნაა მენარდის მიერ სამუშაოების შესრულებისას დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის საჭირო თანხების ანაზღაურება 235 890.10 ლარის ოდენობით (იხ. შემკვეთის ახსნა-განმარტება). სსკ-ის 408.1 მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

10.30.2. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნით დადგენილია, რომ „ა“ ბლოკის პირველ კორპუსში მინისქვეშა ა/სადგომში ჩასასვლელი რამბა შესრულებულია პროექტის დარღვევით, გაბარიტული ზომები და მოხვევის მრუდი არ შეესაბამება ზომებს. დადგენილია,



რომ შემკვეთსა და შპს „P..“ შორის 2012 წლის 11 იანვარს დაიდო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, მენარდემ იკისრა ვალდებულება განეხორციელებინა ქ. თბილისში, ... მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის „აI“ კორპუსსა და „ბ“ ბლოკში პანდუსებისა და მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის და რიგელების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულებაზე დართული ხარჯთაღრიცხვით დგინდება, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 57 610.80 ლარს, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას.

10.30.3. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 16 ივლისის, 6 სექტემბრის, 18 ოქტომბრისა და 2012 წლის 16 მარტის დასკვნებით, ასევე, ი/მ მ.ბ-ის დასკვნით დადგენილია მშენებლობის დროს დაშვებული შემდეგი ნაკლოვანებები: კიბის მარშების დახრა 0.00 და +4.20 ნიშნულზე შორის არ შეესაბამება პროექტს და ნორმატიულ დახრას; 5-10 და თ-ლ ლერძებს შორის +10.80 ნიშნულზე 2011 წლის ივლისის დასაწყისში დასხმული ფილა არ არის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად მოვლილი და დატენიანებული, რის გამოც აღინიშნება მრავლობითი ბზარები და ნახეთქები; ლ-ლერძის გასწვრივ სართულზე (+7.50) აშენებულ აივნებზე შეცვლილია აივნის ფილის სისქე. პროექტში ეს აივნები ერთნაირი სისქის ფილით უნდა იყოს შესრულებული. პროექტი დარღვეულია და აივნის შუა სეგმენტების ფილის სისქე შემცირებულია; +4.20 ნიშნულზე „ლ“ და 9-ლერძების გადაკვეთაზე სვეტი ვერტიკალურ სიბრტყეში გადახდილია; 2.5 პუნქტით, +4.20 ნიშნულზე „ი“ ლერძის გასწვრივ სვეტები არის ლერძიდან გადახდრილი; +4.20 ნიშნულზე „ლ“ ლერძის და მე-5 ლერძის გადაკვეთაზე არსებული სვეტი დეფორმირებულია; +7.50 ნიშნულზე „თ“ და 9 ლერძების გადაკვეთასთან არსებული აივნის ფილა და რიგელი არის დაწეული 5სმ-ით, რაც დაუშვებელია.

10.30.4. შემკვეთსა და შპს „P..“ 2012 წლის 10 თებერვალს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მენარდემ იკისრა არსებული დეფექტებისა და ნაკლოვანებების გამოსწორება, კერძოდ, „ა2“ კორპუსში არასწორად ნაგები რიგელების მონგრევა, სამმარშიანი კიბის უჯრედის მონგრევა, „აI“ კორპუსის პანდუსზე არსებული ბეტონის კედლის დანგრევა; ბეტონის ფილების, კიბის მარშების მოწყობა და ა.შ. პროექტით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 32 772.75 ლარს, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას.

10.30.5. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 16 ივლისისა და 6 სექტემბრის დასკვნებით

დადგენილია შემდეგი ნაკლოვანებები: კანალიზაციის პლასტმასის დგარები სართულშუა გადახურვაში ჩამონტაჟებულია ნორმების დარღვევით.

10.30.6. შემკვეთსა და ა.ბ-ს შორის 2012 წლის 9 იანვარსა და 2012 წლის 25 იანვარს დადებული ხელშეკრულებებით მენარდემ იკისრა ვალდებულება საკუთარი მასალებითა და ძალებით შეასრულოს ქ. თბილისში, .... მშენებარე „ა“ სახლში, -6.30 ნიშნულიდან +4.2 ნიშნულის ჩათვლით კანალიზაციის, წყლისა და სანიადვრე ქსელის მოწყობის დასრულებისათვის საჭირო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 4125 ლარს, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას.

10.30.7. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 16 ივლისისა და 6 სექტემბრის დასკვნებით დადგენილია შემდეგი ნაკლოვანებები: 84,85,88,89 ბინებში ხარვეზი არ არის გამოსწორებული: მოჭიმვის ზედაპირი ზოგიერთ ბინაში არ არის თარაზული. ყველა ბინაში მოჭიმვების ზედაპირის სიგლუვე, სისქე და ფენები არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. არ არის მოწყობილი ნორმების შესაბამისი ბგერა (ხმის) საიზოლაციო ფენა ნორმების შესაბამისად СНиП II-12-77. ფენების და მოჭიმვის ჯამური სისქე არ იძლევა მილსადენის (გაზი, გათბობა) გატარების საშუალებას. ხარვეზის გამოსწორებისათვის შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება შეადგენს სულ; 28 116.99 ლარს (იატაკის მოჭიმვის აყრა, საშუალო სისქით 40მმ – 2976.66 ლარი; იატაკზე ქვიშაღორღის საფენის მოხსნა – 564.29 ლარი; იატაკზე პემზის საფენის მოწყობა – 6 067.78 ლარი; ცემენტის მოჭიმვის მოწყობა სისქით 20 მმ – 18 508.26 ლარი), რაც ექვემდებარება ანაზღაურებას.

10.30.8. დადგენილია, რომ 2011 წლის 12 დეკემბერს შემკვეთსა და შპს „მ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მენარდემ იკისრა ვალდებულება საკუთარი მასალით შეესრულებინა ქ. თბილისში, .... მშენებარე კომპლექსის „აI“ სახლში დაზიანებული და ნაკლოვანებების მქონე სახურავის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, კერძოდ: შენობა-ნაგებობის პერიმეტრზე თუნუქის საცრემლეების მოწყობა; შენობა-ნაგებობის ბრტყელი სახურავის ჩაღრმავებული ადგილების შევსება ბიტუმოვანი ჰიდროსაიზოლაციო მასალით; შენობა-ნაგებობის ბრტყელ სახურავზე არსებული წყლის ჩასადინარი არხის დამუშავება ბიტუმის გერმეტიკით; შენობა-ნაგებობის ბრტყელი სახურავის მოწყობა „უნიფლექსის“ სახის რულოვანი ჰიდროსაიზოლაციო მასალით.

10.30.9. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 16 ივლისის დასკვნით დგინდება, რომ „ა“ ბლოკის პირველ კორპუსში სახურავის ჰიდროსაიზოლაციო ფენილი

მონყობილია ერთ ფენად, რაც არ შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს. ფენილს აღენიშნება ნაკეცები, ნაოჭები და ჰაერის ბუშტები, რაც დაუშვებელია (დასკვნის 1.17 ქვეპუნქტი). ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციებში მითითებულია, რომ საჭიროა არსებული ფენილის მოხსნა და გადახურვის ფენილის მონყობა ნორმების დაცვით.

10.30.10 დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 6 სექტემბრის დასკვნაში მითითებულია, რომ მეორე ფენა დამატებულია მხოლოდ 1-2 ზ-ი ღერძებს შორის. ამდენად, ხარვეზი გამოსწორებულია ნაწილობრივ.

10.31. მხარეთა (შემკვეთსა და შპს „მ-ს“) შორის 2011 წლის 20 დეკემბერს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადგენილია, რომ მენარდემ განახორციელა შემდეგი სამუშაოები: შენობა-ნაგებობის პერიმეტრზე მოეწყო ე.წ. „თუნუქის საცრემლეები“, განხორციელდა ბრტყელ სახურავზე არსებული წყლის ჩასადინარი არხის დამუშავება ბიტუმის გერმეტიკით; ბრტყელი სახურავი მოეწყო „უნიფლექსის“ სახის რულონური ჰიდროსაიზოლაციო მასალეებით. მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების საერთო მოცულობამ შეადგინა 430 კვ.მ, ხოლო შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ – 10 320 ლარი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს შეგებებული სარჩელის ავტორი (შემკვეთი).

10.32. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სპეციალისტთა დასკვნებით არ დგინდებოდა, რომ ბრტყელ სახურავზე არსებული წყლის ჩასადინარი არხი არ იყო მონყობილი ნორმების შესაბამისად და საჭიროებდა ბიტუმის გერმეტიკით დამუშავებას. ასევე არ დგინდებოდა, რომ საცხოვრებელი კომპლექსის პროექტით გათვალისწინებული იყო ე.წ. „თუნუქის საცრემლეების“ მონყობა, რაც არ შეუსრულებია მენარდეს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს). შესაბამისად, შემკვეთის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია სასამართლომ.

10.33. სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარდემ „ა“ ბლოკის პირველ კორპუსში სახურავის ჰიდროსაიზოლაციო ფენილის მონყობასთან დაკავშირებული ხარვეზი გამოასწორა ნაწილობრივ, მაშინ როდესაც შემკვეთი ითხოვდა 430 კვ.მ-ზე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა ამ ნაწილში არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ იყო წარდგენილი მენარდის მიერ ხარვეზის გამოსწორებისათვის შეუსრულებელი სამუშაოს მოცულობა და შესაბამისად, მისი ღირებულება.

10.34. დადგენილია, რომ შემკვეთსა და შპს „P...“ შორის 2011 წლის 8 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მენარდემ

იკისრა ვალდებულება, საკუთარი მასალით შემკვეთისათვის შესრულებინა ქ. თბილისში, .... მშენებარე კომპლექსის „აI“ სახლში - 6.30 ნიშნულიდან +4.2 ნიშნულის ჩათვლით კოლონების გაძლიერების სამუშაოები. შესრულებული სამუშაოს შესახებ აქტით დგინდება, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაა 16 828,90 ლარი;

10.35. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 16 ივლისის დასკვნის 4.5. პუნქტით, მენარდის მიერ არ არის შესრულებული პროექტის კორექტირების შემთხვევაში დასკვნაში (შპს „კ-ის“) მოთხოვნილი დამატებითი ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმები, კოლონების გაძლიერებები და ფილის დამატებითი არმირებები. დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნის 1.2 პუნქტით, სვეტების გამაგრება გარცემებით -6.30, -3.30, + 0.00 ნიშნულებზე მენარდის მიერ არ არის შესრულებული;

10.35.1. ინდემნარმე „მ.ბ-ის“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შპს „კ-ის“ რეკომენდაციით საჭირო იყო: რკინაბეტონის გარსაკრებით გაძლიერებულიყო პროექტში არსებული კოლონები და შენობას დამატებოდა ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმები (იმ პერიოდისათვის „ა“ ბლოკის მე-2 სახლში აშენებული იყო მხოლოდ სარდაფის ორი სართული).

10.35.2. ამდენად, როგორც დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.15 ქვეპუნქტი), ასევე ინდემნარმე „მ.ბ-ის“ დასკვნაში მითითებულია შპს „კ-ის“ რეკომენდაციებზე, რომელიც შეეხება „ა“ ბლოკის მე-2 სახლში -6.30, -3.30, +- 0.00 ნიშნულებზე კოლონების გაძლიერებას. შემკვეთი კი ითხოვდა 2011 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებას, რომლის საგანია მშენებარე კომპლექსის „აI“ სახლში -6.30 ნიშნულიდან +4.2 ნიშნულის ჩათვლით კოლონების გაძლიერების სამუშაოები. საქმეში არ არის წარდგენილი მტკიცებულება, რომ „აI“ სახლში -6.30 ნიშნულიდან +4.2 ნიშნულის ჩათვლით კოლონები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტაციას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოთხოვნა ამ ნაწილში არ იყო საკმარისად დასაბუთებული.

10.36. დადგენილია, რომ შემკვეთსა და შპს „P...“-ს შორის 2011 წლის 13 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მენარდემ იკისრა ვალდებულება შესრულებინა შემდეგი სამუშაოები: წყალსადენის გარე ქსელის მოწყობა მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე და მიერთება; კანალიზაციის გარე ქსელის მოწყობა მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე და მიერთება; სანიაღვრე ქსელის მოწყობა და მიერთება. შე-

სასრულბელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 131 204.13 ლარით.

10.37. დადგენილია, რომ 2010 წლის 1 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება №3, 2007 წლის 30 ოქტომბერს ნარდობის ხელშეკრულებაში და მის საფუძველზე გაფორმებულ შეთანხმებაში ცვლილებების შეთანხმების შესახებ, რომლის 6.2.1 პუნქტის თანახმად, კომპლექსის გარე კომუნიკაციების (დენი, წყალი, კანალიზაცია) პროექტირებასა და მონტაჟის ღირებულებას შემკვეთი შემსრულებელს (მენარდეს) აუნაზღაურებდა დამატებით, დამტკიცებული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე;

10.37.1. მითითებული შეთანხმებით დადგინდა, რომ გარე კომუნიკაციების (წყალსადენისა და კანალიზაციის) მოწყობის ხარჯების გადახდის ვალდებულება იკისრა შემკვეთმა და შესაბამისად, მოთხოვნა 131 204.13 ლარის მენარდისათვის დაკისრების შესახებ უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

10.38. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით შემკვეთის მოთხოვნა ცემენტის ფილების დემონტაჟისა და მონტაჟისათვის, ბეტონის ბლოკებისაგან კედლის მოწყობის, კარ-ფანჯრის დემონტაჟისა და მოწყობისათვის შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, შემდეგ გარემოებათა გამო: დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 6 სექტემბრის დასკვნით დგინდა, რომ მენარდემ ხარვეზი გამოასწორა: აცვენილი ფილები დაგებულია ხელახლა, შუალედები ყველგან ამოვსებულია. ბეტონის ბლოკებისაგან კედლის მოწყობის, კარ-ფანჯრის დემონტაჟისა და მოწყობისათვის შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან არ დგინდება სამუშაოთა შესრულების დროს დაშვებული ნაკლოვანებები.

10.39. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შემკვეთი დააჯარიმა 4000 ლარით, პროექტის დარღვევით მე-4 კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის, რაც წარმოადგენდა მისთვის მიყენებულ ზიანს და შესაბამისად, ექვემდებარებოდა ანაზღაურებას მენარდის მიერ; აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია და უცვლელად დატოვა (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-13 პუნქტი).

10.40. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ შემკვეთმა მენარდეს ზედმეტად გადაუხადა 750 212.20 აშშ დოლარი და ამ ღირებუ-

ლების სამუშაო მენარდეს არ შეუსრულებია. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცვალა და, შემკვეთის სასარგებლოდ, მენარდეს დაეკისრა 425 626.66 აშშ დოლარის გადახდა, შემდეგი დასაბუთებით:

10.40.1. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №024253-2011/03/1 დასკვნით დადგენილია, რომ მენარდის მიერ ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ..., მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო, შესრულებული სამუშაოების ღირებულება „ა“ ბლოკის I კორპუსის (დასრულებული) სამშენებლო ფართი შეადგენს 3963.50 კვ.მ.-ს, შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ხელშეკრულება 30/10/2007 და შეთანხმება №3 01/10/2010წ.) შეადგენს 1 268 320 აშშ დოლარს; „ა“ ბლოკის II კორპუსის (მშენებარე) სამშენებლო ფართი შეადგენს 6181 კვ.მ.-ს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება კი – 685 721.13 აშშ დოლარს; იგივე მისამართზე „ბ“ ბლოკის სამშენებლო ფართი შეადგენს 8557 კვ.მ.-ს, ხოლო შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 352 952.61 აშშ დოლარს;

10.40.2. საქმის მასალებით დადგენილია, რომ „ა“ ბლოკის I კორპუსის მშენებლობა დასრულდა და ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 1 268 320 აშშ დოლარით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის თანახმად, 1 კვ.მ. სამშენებლო ფართის ღირებულება განისაზღვრა 320 აშშ დოლარით (სამშენებლო ფართი 3963.50 კვ.მ. X 320 აშშ დოლარზე).

10.40.3. ექსპერტმა ასევე შეაფასა „ა“ ბლოკის II კორპუსისა და „ბ“ ბლოკის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რამაც შესაბამისად შეადგინა 685 721.13 აშშ დოლარი და 352 952.61 აშშ დოლარი;

10.40.4. სასამართლომ დაასკვნა, რომ შემკვეთის მიერ მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დადგენის მიზნებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ 2008 წლის 10 თებერვალს მენარდესა და ქვემენარდეს (იხ. 3.12.5 ქვეპუნქტი) შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულების საგანს ნარმოადგენდა ქ. თბილისში, ... არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის „ა“ და „ბ“ ბლოკების მშენებლობა. სამშენებლო ფართის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრა 1 კვ.მ. – 220 აშშ დოლარით. შემკვეთს, მენარდესა და ქვემენარდეს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდის მოგება 1 კვ.მ.-ზე შეადგენდა 100 აშშ დოლარს (ანუ შეს-

რულებული სამუშაოს ღირებულების 31.25%), რაც არ არის გათვალისწინებული ექსპერტის მიერ, რადგან ექსპერტმა დაადგინა „ა“ ბლოკის II კორპუსისა და „ბ“ ბლოკის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რამაც შეადგინა სულ 1 038 673.74 აშშ დოლარი, რაც არ მოიცავს მენარდის მოგებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგება უნდა განისაზღვროს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის 31.25%-ით, რაც შეადგენს 324 585.54 აშშ დოლარს (1 038 673.74-ის 25%). შესაბამისად, შემკვეთს, მენარდესა და ქვემენარდეს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, „ა“ ბლოკის II კორპუსისა და „ბ“ ბლოკის შესრულებული სამუშაოს მოცულობა უნდა განისაზღვროს სულ 1 363 259.28 აშშ დოლარით, ასევე გასათვალისწინებელია „ა“ ბლოკის I კორპუსის შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რაც შეადგენს 1 268 320 აშშ დოლარს. ამდენად, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მენარდის მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება უნდა განისაზღვროს 2 631 579.28 აშშ დოლარით. დადგენილია, რომ პროექტირებისათვის მენარდემ გადაიხადა 224 722.06 აშშ დოლარი.

10.40.5. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შემკვეთმა მენარდეს სამუშაოების შესასრულებლად გადაურიცხა სულ 3 281 928 აშშ დოლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემკვეთის მიერ მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა განისაზღვროს 425 626.66 აშშ დოლარით ( $3\ 281\ 928 - 2\ 631\ 579.28 - 224\ 722.06 = 425\ 626.66$ ). სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მენარდეს შემკვეთის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 425 626.66 აშშ დოლარის გადახდა.

**10.41. სსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.**

10.41.1. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის განჩინება, რომლი-

თაც არ დაკმაყოფილდა მენარდის წარმომადგენლის შუამდგომლობა ექსპერტების დაკითხვის თაობაზე. სსსკ-ის 215.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე, შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ამავე კოდექსის 171.1 მუხლის თანახმად, მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები. შუამდგომლობა ექსპერტების მონვევის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებას, რომ დასკვნა საჭიროებს ექსპერტის მიერ მის განმარტებასა და შევსებას. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მენარდის შუამდგომლობა არ იყო დასაბუთებული, რადგან მხარე არ უთითებდა იმ გარემოებებზე, რომელიც სასამართლოს შეუქმნიდა რწმენას ექსპერტის დასკვნის განმარტებასთან დაკავშირებით.

## **11. შემკვეთის და მენარდის საკასაციო საჩივრები**

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, რომლებმაც მოითხოვეს საკასაციო განაცხადების დასაშვებად ცნობა სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე და დავის არსებითად განხილვის გზით გადაწყვეტა.

11.2. შემკვეთმა (პირველმა კასატორმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება (სარეზოლუციო ნაწილის 1,2,3,4,5,6,7,8,11,12,13 პუნქტები) იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მენარდის სააპელაციო საჩივარი და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მენარდის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა შემდეგი არგუმენტაციით:

11.2.1. მენარდის მოთხოვნა 780 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შემკვეთს დააკისრა 496 363.56 აშშ დოლარის გადახდა, რაც უსაფუძვლოა. კასატორი უთითებს წინამდებარე გადაწყვეტილების 1-2 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ მხარეთა შორის



23.10.2007წ. შეთანხმება, მისი 2.2 მუხლის თანახმად, წარმოადგენს მხარეთა შორის დასადები ახალი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხოლო ხელშეკრულებაში მითითებული თანხა – 780 000 აშშ დოლარი წარმოადგენდა პირგასამტეხლოს, რაც არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ.

11.2.2. სააპელაციო სასამართლო გაცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის უგულვებელყოფით ფაქტობრივი გარემოებაც და შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაციაც სრულიად განსხვავებული სახით ასახა, ვიდრე ამას მხარეები განმარტავდნენ. კერძოდ, 780 000 აშშ დოლარის თაობაზე არც ერთ მხარეს არ განუმარტავს, რომ მათ გამოავლინეს ნება და შეთანხმდნენ დასახელებულ თანხაზე, როგორც მიუღებელ შემოსავალზე, რომელსაც მენარდე მიიღებდა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. ამდენად, მოცემულ ნაწილში დარღვეულია სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი; სასამართლოს არც იმაზე უმსჯელია, რომ 780 000 აშშ დოლარის გადახდის თარიღად განსაზღვრულია პერიოდი 2011 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 1 აპრილამდე; თუ მხარეებს არ ჰქონდათ განზრახული ფაქტობრივი გარემოებებისადმი და სამომავლო შეთანხმებისადმი 23 ოქტომბრის შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის მისადაგება, (ა) არ მიუთითებდნენ შეთანხმების 2.2 მუხლში, რომ იგი სამომავლო – 30 ოქტომბრის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნებოდა; (ბ) არ მიუთითებდნენ 2.3 მუხლში, რომ მათ შეეძლოთ წერილობით შეეცვალათ მოცემული შეთანხმება;

11.2.3. ასევე ყურადსაღებია სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ ვინაიდან ხელშეკრულება სათანადო საფუძვლით შეწყდა, უნდა შემცირებულიყო ასანაზღაურებელი თანხა იმ თვეების მიხედვით, რაც დააკლდა ხელშეკრულების დასრულებას. კერძოდ, გახანგრძლივებული 33 თვიდან მხოლოდ 21 თვის განმავლობაში მოქმედებდა ხელშეკრულება მის შეწყვეტამდე. შესაბამისად, სასამართლომ ამ ლოგიკით შეამცირა თანხა შესაბამისი თვეებით. კასატორის მტკიცებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა მხარეთა ნება და გადასახდელი თანხის შინაარსიდან გამომდინარე დაადგინა, რომ მოცემული თანხა წარმოადგენდა პირგასამტეხლოს, რაც შეუსაბამოდ მაღალ თანხად მიიჩნია, მიუსადაგა ხელშეკრულებას და მისი შესრულების პირობებს, შეამცირა და საბოლოოდ, მენარდის სასარგებლოდ, შემკვეთს გადასახდელად დააკისრა 78 000 აშშ დოლარი;

11.2.4. სააპელაციო სასამართლომ 780 000 აშშ დოლარი მიუღებელ შემოსავლად არ უნდა მიეჩნია და თუ მაინც ასე ჩათვლიდა, აღნიშნული თანხის დასაკისრებლად საკმარისი წინაპირობები არ არ-

სებობდა. შესაბამისად, სასამართლოს არსებითად უნდა ემსჯელა ამ თანხის დაკისრების კანონიერებაზე (ამ კონტექსტში კასატორი უთითებს სუსგ-ებზე: №ას-353-334-2013 №ას-1338-1376-2014). საკასაციო განაცხადში ასახულია მსჯელობა პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურებას შორის განსხვავებაზე;

11.2.5 მხარეთა ნების გამოვლენასთან დაკავშირებით 780 000 აშშ დოლარზე შეთანხმების თაობაზე კასატორი უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს კითხვებზე შეთანხმებასთან დაკავშირებით და მოსამზადებელი სხდომების ოქმებზე;

11.2.6. პირველი კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილშიც, რომლითაც შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების მე-12 პუნქტი და მენარდეს 235 890.10 ლარის ნაცვლად დაეკისრა 122 625.54 ლარის გადახდა (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 და მე-7 პუნქტები). კასატორი აღნიშნავს, რომ მან, როგორც შემკვეთმა, სათანადო მტკიცებულებებით ცალსახად დაამტკიცა, რომ მენარდის მიერ ხარვეზებით შესრულებული სამუშაოების აღმოსაფხვრელად მოუხდა 235 890 ლარზე მეტი თანხის გადახდა სხვა პირებისათვის. შეგებებული სარჩელის ავტორმა წარადგინა ექსპერტიზის არაერთი დასკვნა, ახალ მენარდებთან დადებული ნარდობის ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ მიიჩნია მენარდის მიერ ასანაზღაურებლად ის თანხა, რომელიც შემკვეთმა იმ ფართის სასურველ და პროექტით გათვალისწინებულ მდგომარეობამდე მიყვანაში დახარჯა, რისთვისაც მენარდემ სრული საზღაური მიიღო;

11.2.7. შემკვეთი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ შეამცირა მის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი თანხა 750 212.20 აშშ დოლარიდან 425 626.66 აშშ დოლარამდე (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტები) და მოთხოვნის სრულად – 750 212.20 აშშ დოლარის ოდენობით დაკმაყოფილებას; კასატორი ვრცელ შედავებას წარმოადგენს, რომ სხვაობა შესრულებულ სამუშაოებსა და მიღებულ თანხას შორის იყო 750 212.2 აშშ დოლარი. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ მენარდესა და ქვემენარდეს (იხ. 3.12.5 ქვეპუნქტი) შორის 2008 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა .... არსებული მიწის ნაკვეთზე „ა“ და „ბ“ ბლოკების მშენებლობა 220 აშშ დოლარად 1 კვ.მ

ფართისთვის, საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია იმის დასადასტურებლად, რომ მენარდის მოგებას შეადგენდა მიღებული თანხის 31.25%, ანუ სხვაობა 320 და 220 აშშ დოლარს შორის და ამას დააფუძნა ამ ნაწილში მენარდის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული მოთხოვნის დასაბუთებულობა;

11.2.8. პირველი კასატორი უთითებს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომელსაც უკვე დათვლილი ჰქონდა მენარდის მოგება, რაც 10%-ის ოდენობით მიკუთვნებული ჰქონდა იმ სამუშაოებისთვის, რომელიც შესრულებულად ჩათვალია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მენარდეს მიაკუთვნა არა 31.25%, არამედ 41.25%, რაც სრულიად დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან, მენარდის სასარგებლოდ სასამართლომ შემკვეთს, მოგება, ფაქტობრივად მეორეჯერ დაარიცხა;

11.2.9. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ უმსჯელია, თუ რამდენად იყო შესაძლებელი მოგების გამოთვლა ისეთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულ გარემოებებში მოგების დარიცხვას საერთოდ არ ითვალისწინებს. კერძოდ, ქვემენარდესთან დადებული გარიგება შეეხება დასრულებულ ნაგებობას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში დასრულებული იყო მხოლოდ „ა“ ბლოკის 1 კორპუსი, ხოლო მეორე კორპუსი მხოლოდ მე-3 სართულამდე იყო ამოყვანილი (ნაცვლად ასაშენებელი და თეთრ კარკასამდე მისაყვანი 9 სართულისა) კარკასის სახით, ხოლო „ბ“ ბლოკის მხოლოდ საძირკველი და სარდაფის სართული იყო დასხმული (ნაცვლად ასაშენებელი და თეთრ კარკასამდე მისაყვანი 14 სართულისა). შესაბამისად, ვერც მენარდე და ვერ სასამართლო ვერ იხელმძღვანელებდა დასრულებული შენობის ფასით. მენარდეს ამ შემთხვევაში უნდა ემტკიცებინა, რომ მის მიერ ზედმეტად მიღებული თანხა სრულად დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა, არამედ, მას ჰქონდა მოგების ნაწილის დატოვების უფლება იმ ოდენობით, რაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა;

11.2.10. სააპელაციო სასამართლომ უგულებელჰყო რიგი მტკიცებულებებისა, რომელთაც კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად და გამოყენებულია მტკიცებულება, რომელსაც არ აქვს შეხება კონკრეტული სადავო საკითხის გადასაწყვეტად (სსსკ-ის 105-ე მუხლი);

11.2.11. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 408-ე მუხლი, მან დაადგინა, რომ ხელშეკრულება შეწყდა სწორედ მენარდის ბრალით. შესაბამისად, მოვალე ვალდებული იყო დაებრუნებინა მის მიერ მიღებული თანხა, სსკ-ის 976-ე მუხლის საფუძველზე;

11.2.12. კასატორის მიერ დამოუკიდებელი საექსპერტო კომპა-

ნიისათვის დასკვნების მომზადებაში გადახდილი 15 000 და 500 ლარიდან სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ 51.98%-ის ანაზღაურება, ანუ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დაკმაყოფილდა სარჩელი. კასატორის (შემკვეთის) მტკიცებით, ამ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ აღნიშნული დასკვნები სრულად იქნა გაზიარებული და სწორედ აღნიშნული საექსპერტო მოსაზრებები, სხვა დასკვნებთან და მტკიცებულებებთან ერთად, გახდა მენარდესთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული ხარჯები არ წარმოადგენს საპროცესო ხარჯებს, არამედ – სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს და სწორედ მხარეთა შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად შესასრულებელ ვალდებულებებს მიმოიხილავს.

11.2.13. კასატორი ითხოვს, საბოლოოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად იმსჯელოს სასამართლომ მხარეთა მიერ გაწეული საპროცესო ხარჯების განაწილების წესზე.

11.3. მენარდემ (მეორე კასატორმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება (სარეზოლუციო ნაწილის 2,3,4,5,6,7,8,9 პუნქტები) იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის სააპელაციო საჩივარი და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მენარდის სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება, ასევე – შემკვეთის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა; მენარდე, ასევე, ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 იანვრის, 24 ივნისისა და 4 დეკემბრის საოქმო განჩინებებს.

11.3.1. მეორე კასატორის ვრცელი საკასაციო პრეტენზია (მ.შ. დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მიხედვით) შემდეგ არგუმენტაციას მოიცავს: სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მენარდის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დარღვევის ფაქტი, რაც ამართლებს კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას 2011 წლის 5 სექტემბერს; დადგენილია, რომ მენარდის მიერ სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები იყო არსებითი ხარვეზებით, კერძოდ, რიგ შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იყო უხარისხოდ, ან არ შეესაბამებოდა პროექტს ან დარღვეული იყო ნორმატიული მოთხოვნები და მაშასადამე, ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებული იყო მენარდის ბრალეული მოქმედებით. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა შემდეგი მტკიცებულებების – 2011 წლის 16 ივლისის დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის №11-07-01/001 საექსპერტო დასკვნის, შემკვეთის 2011 წლის 3 აგვისტოს წერილის, მენარდის 2011 წლის 10 აგვისტოს და 25 აგვისტოს წერილების, შემკვეთის 2011 წლის 5 სექტემბრის წერილის, დამოუკიდებელი

საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 6 სექტემბრის №09-00 შემონ-  
მების აქტის და მისივე 2011 წლის 18 ოქტომბრის №11-10-01/001  
საექსპერტო დასკვნის, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის  
საქალაქო სამსახურის 2011 წლის 22 დეკემბრის №21569-11 დად-  
გენილების, დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2012 წლის  
16 მარტის საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის, სტუ-ს  
სამშენებლო ფაკულტეტის სასაწავლო სამეცნიერო-კვლევით ცენ-  
ტრის 2012 წლის 3 თებერვლის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის,  
სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის  
ეროვნული ბიუროს 2012 წლის 25 აპრილის №02515-1012/03/2 ექ-  
სპერტიზის დასკვნის და მისივე 2012 წლის 19 ოქტომბრის №04238-  
2012/03/2 ექსპერტიზის დასკვნის, ინდ. მენარმე „მ.ბ.-ს“ 2012 წლის  
30 აპრილის დასკვნის – შეფასების საფუძველზე. სააპელაციო სა-  
სამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა უსაფუძვლოა და არ გამომ-  
დინარეობს საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან, გასაჩივ-  
რებული გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალ-  
საზრისით დაუსაბუთებელია და მისი დასკვნები არ უნდა იქნეს  
გაზიარებული;

11.3.2. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეც ეთან-  
ხმება, რომ ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 5 სექტემბერს. ამ-  
დენად, იმ საკითხის გადასაწყვეტად იყო თუ არა სამშენებლო სა-  
მუშაოები ნაწარმოები არსებითი ხარვეზებით, გამოიკვეთა თუ არა  
მენარდის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დარღვე-  
ვი ფაქტი, ხელშეკრულების შეწყვეტა განპირობებული იყო თუ არა  
მენარდის ბრალეული მოქმედებით და არსებობდა თუ არა ხელ-  
შეკრულების შეწყვეტის კანონისმიერი საფუძველები, არსებითად  
მნიშვნელოვანია შეფასდეს საქმეზე წარდგენილი მხოლოდ ის  
მტკიცებულებები, რომლებიც ზემოაღნიშნულ გარემოებებს ადას-  
ტურებენ 2011 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით; უნდა შეფას-  
დეს რამდენად ვარგისია ეს მტკიცებულებები აღნიშნული გარე-  
მოებების დასადასტურებლად და დასტურდება თუ არა ამ მტკი-  
ცებულებებით მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნე-  
ლოვანი და არსებითი დარღვევის ფაქტი;

11.3.3. მენარდის ბრალეული ქმედების გამო ხელშეკრულების  
შეწყვეტის პირველ საფუძველად სასამართლო მიუთითებს დამოუ-  
კიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 16 ივლისის №11-07-  
01/001 დასკვნაზე. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების შეწყვე-  
ტამდე, ანუ 2011 წლის 5 სექტემბრამდე, მოცემული დასკვნის გარ-  
და, სხვა რაიმე ექსპერტიზის დასკვნა/დოკუმენტი მენარდის მი-  
ერ ხარვეზებით შესრულებული სამუშაოების შესახებ საქმეზე წარ-  
დგენილი არ არის. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სა-

სამართლომ არ იმსჯელა, რამდენად კვალიფიციურად იქნა შესრულებული აღნიშნული დასკვნა, ანუ იყო თუ არა ექსპერტის მიერ გამოყენებული კვლევის შესაბამისი მეთოდები და აქედან გამომდინარე, რამდენად ვარგისი იყო აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა იმ არსებითი მნიშვნელობის ძირითადი საკითხის გადასაწყვეტად, იყო თუ არა მენარდის მიერ სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არსებითი და მნიშვნელოვანი დარღვევებით იმ პირობებში, როდესაც მოცემული ექსპერტიზის დასკვნის ბუნდოვანების და არასრულყოფილების საფუძველით სასამართლომ დაკითხა ამ დასკვნის ხელმომწერი ექსპერტი ა.ვ., რომლის ჩვენებით, დამატებით უტყუარად დადასტურდა, რომ ექსპერტი ვერ ერკვევა შესრულებული სამუშაოების აქტებში – ფორმა №2-ში, თუმცა, სწორედ იგი არის ამ ხარჯთაღრიცხვაზე ხელმომწერი ექსპერტი, რომელმაც შეამოწმა ა. დ-ძის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, მას შეცდომები აქვს დაშვებული ფილის სისქის გაზომვითი სამუშაოების ჩატარებისას და ა.შ; სასამართლომ ასევე არ იმსჯელა რამდენად კანონიერი იყო აღნიშნული საექსპერტო დასკვნა ძირითადი ხელშეკრულების 9.5 და 9.7 პუნქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე; სასამართლომ, ასევე, არ იმსჯელა ზემოაღნიშნულ დასკვნაში მითითებულ ვითომდა შენიშვნებთან დაკავშირებით მენარდის მიერ 2011 წლის 9 სექტემბერს მონვეული სტუ ექსპერტების მიერ შედგენილ დასკვნაზე, რომლითაც მთლიანად უგულებელყოფილია დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 16 ივლისის დასკვნის „ა-2“ კორპუსთან დაკავშირებული 70-დან 5 შენიშვნა, ხოლო დანარჩენი 2-დან ერთი, კერძოდ „ა-2“ კორპუსში +10.8 ნიშნულზე განთავსებული ფილა დასანგრევი რომ არ იყო, ექსპერტმა ა. ვ-მა თავად დაადასტურა 8 თვის შემდეგ, 2012 წლის 16 მარტის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე მაშინ, როდესაც აღნიშნულ ფილაზე უკვე დაშენებული იყო რამდენიმე სართული ყოველგვარი დემონტაჟისა და ხელახალი მონტაჟის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ა-2“ კორპუსში +10.8 ნიშნულზე განთავსებულ ფილას არანაირი პრობლემა რომ არ ჰქონდა, მტკიცდება სხვადასხვა ექსპერტების დასკვნებითაც, რომლებზეც სასამართლომ იმსჯელა გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში; მეორე კასატორს მიაჩნია, რომ სტუ-ს დასახელებული საექსპერტო დასკვნა მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რადგან მასში მითითებულია 5 სხვადასხვა ლაზერულ თუ სხვა სახის ხელსაწყოებზე, რომლებიც ექსპერტებმა გამოიყენეს ობიექტზე ჩატარებული კვლევების დროს, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების შემოწმებისას. ამ კონტექსტში კასატორი ყურადღებას ამახვილებს, რომ ექსპერტ ა. ვ-ს არც ერთი ტექნიკური ხელსაწყო არ გამოუყენებია შემოწმებისას და ამიტომ მი-

სი 2011 წლის 16 ივლისის დასკვნა არ წარმოადგენს ვარგის მტკიცებულებას, რადგან ის შედგენილია ექსპერტის პირად სუბიექტურ შეხედულებებზე დაყრდნობით (სავარაუდოდ შემკვეთს კარნახითა და ინტერესების გათვალისწინებით), რაც თვით ვ-ის მიერ დადასტურდა სასამართლოს სხდომაზე, როდესაც მან სასამართლოს წინაშე აღნიშნულ ვითომდა შენიშვნებთან დაკავშირებით აღიარა, რომ ეს იყო მისი შეხედულებები და მან იმ მომენტისათვის ჩათვალა, როგორც დარღვევა და ამიტომ მიუთითა დასკვნაში, რომ საჭიროა დამატებითი კონსტრუქციული კვლევების ჩატარება. სასამართლომ არც აღნიშნულ გარემოებას მიაქცია ყურადღება. კასატორი ასევე უთითებს 2011 წლის 23 სექტემბერს დანიშნული საექსპერტო შემონმების ჩაშლის შესახებ, რაზეც არ უმსჯელია სასამართლო;

11.3.4. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ ისე იმსჯელა შემკვეთის 2011 წლის 3 აგვისტოს წერილზე, რომლითაც მენარდეს ეცნობა დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის საექსპერტო დასკვნის შესახებ, რომ არ შეაფასა ხარვეზების გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული 3-კვირიანი ვადა, რამდენად გონივრული იყო; მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, ამ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით განსაზღვრა მხარემ, რომ „ა-2“ კორპუსში +10.8 ნიშნულზე განლაგებული ფილის დემონტაჟისა და მონტაჟისათვის და კიდევ სხვა სამუშაოებისათვის საჭიროა 3 კვირა. აღნიშნული წერილით იმთავითვე ცხადად იკვეთება შემკვეთის წინასწარი განზრახვა და ინტერესი ხელშეკრულების შეწყვეტისა. სასამართლომ სრულად არ შეისწავლა და შეაფასა შემკვეთის 2011 წლის 3 აგვისტოს წერილი;

11.3.5. მეორე კასატორი ყურადღებას ამახვილებს თავის 2011 წლის 25 აგვისტოს წერილზე, სადაც მენარდემ მიუთითა, რომ დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის „საექსპერტო დასკვნაში მოყვანილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, კონსტრუქციულ ნაწილში უმოკლეს ვადაში წარმოადგენდა კომპეტენტურ დასკვნას“, რაც შეასრულა კიდევ მენარდემ სტუ-ს ექსპერტების 2011 წლის 9 სექტემბრის საექსპერტო დასკვნის (იხ. სტუ-ს დასკვნა,) საფუძველზე (რომლითაც მთლიანად უარყოფილია შემკვეთის ინიციატივით მომზადებული 2011 წლის 16 ივლისის დასკვნა). შემკვეთმა სწორედ 16.07.2011წ. დასკვნა დაუდო საფუძვლად 2011 წლის 5 სექტემბერს ხელშეკრულების შეწყვეტას;

11.3.6. სასამართლოს უნდა შეეფასებინა მხარეთა შორის 2011 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების ოქმი. ზემოაღნიშნული საექსპერტო დასკვნებისა და ურთიერთშეთანხმების ოქმის საფუძველზე შემკვეთს მენარდის მიმართ სამშენებლო

სამუშოების ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზიები აღარ ჰქონდა. არც ერთ სასამართლოს არ უმსჯელია ოქმზე. შემკვეთმა მენარდეს იმიტომ შეუწყვიტა ხელშეკრულება, რომ არ სურდათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მშენებლობიდან 1კვ.მ-ზე მოგების სახით მისაღები 100 აშშ დოლარის გადახდა. პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა დ.ჩ.მ (შემკვეთი სანარმოს ერთადერთმა მესაკუთრემ) სასამართლოს წინაშე აღიარა კიდევ.

11.3.7. მეორე კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნაზე, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო უთითებს, რომ დამატებით დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ „ა-1“ და „ა-2“ კორპუსებთან დაკავშირებით; ამ კონტექსტში კასატორი აღნიშნავს, რომ მენარდეს 2011 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით თითქმის 45 დღით ადრე ჰქონდა შეწყვეტილი ხელშეკრულება; იმსჯელა თუ არა სასამართლომ რა საერთო აქვს 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნას 2011 წლის 5 სექტემბერს ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით; აღნიშნული დასკვნები ერთი და იმავე ექსპერტის – ვ-ის მიერაა შესრულებული. თუკი ექსპერტმა 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნაში მიუთითა გარკვეული დარღვევები, რატომ პირველივე ანუ 2011 წლის 16 ივლისის დასკვნაში არ ასახა აღნიშნული, რომელი დასკვნაც მხარეთა შორის ხელშეკრულების შეწყვეტის ერთადერთი საფუძველი გახდა. მეორე კასატორის მოსაზრებით, სავარაუდოდ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ექსპერტის არაობიექტურობას და არაკომპეტენტურობას. მეორე კასატორი ვრცლად აკრიტიკებს ექსპერტ ვ-ის ჩვენებას სასამართლოში, რომელიც წინააღმდეგობრივად მიაჩნია საქმეში არსებულ დასკვნებთან მიმართებით;

11.3.8. მენარდეს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნის თაობაზე, ვინაიდან მენარდესთან ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 16 ივლისის დასკვნის საფუძველზე და მხარეთა შორის დავის საგანია ხელშეკრულების შეწყვეტის არამართლობიერება. შესაბამისად დავასთან 2011 წლის 18 ოქტომბრის დასკვნას არ აქვს კავშირი, კასატორი აღნიშნავს, რომ არც ამ საექსპერტო დასკვნაზე უმსჯელია სასამართლოს;

11.3.9. კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს, იმ საფუძველით, რომ დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2011 წლის 18 ოქტომბრის, 2012 წლის 15 თებერვლის და 16 მარტის საექსპერტო დასკვნებზე იმსჯელა, ერთსა და იმავე ობიექტზე ექსპერტს შესრულებული აქვს 5 სხვადასხვა დასკვნა, ექსპერტი



2011 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 16 მარტამდე სულ 8 თვეს ანდომებს ობიექტის შემოწმებას, რაც სავარაუდოდ მის არაკომპეტენტურობაზე და არაობიექტურობაზე მეტყველებს. კასატორის მტკიცებით, შემკვეთის მიერ წარდგენილ დასკვნებს სტუ-ს დასკვნა აბათილებს;

11.3.10. მეორე კასატორი (მენარდე) არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მენარდის მოთხოვნა მოპასუხისათვის 780 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა სრულად და მიაჩნია, რომ სსკ-ის 417-ე და 319.1 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა, რომ მხარეთა შეთანხმება 780 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ არ წარმოადგენს პირგასამტეხლოს, როგორც ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფას და მართებულად დაასკვნა, რომ მხარეების მიერ გამოვლენილი ნება ემსახურებოდა ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, ანაზღაურებას. მაშასადამე, სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა მხარეთა ნება და მართებული სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭა მას, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით, რაც 21 თვეზეა გაანგარიშებული ყოველთვიურად 23 636,36 აშშ დოლარის ოდენობით, არ ეთანხმება იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმებით შემკვეთმა იკისრა ვალდებულება – ეტაპობრივად აუნაზღაუროს მენარდეს სამშენებლო სამუშაოების ვადის გაზრდით მიყენებული ზიანი ერთჯერადად – 780 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი და აღნიშნული ვალდებულება მხარეებს ხელშეკრულების შესრულებასთან არ დაუკავშირებიათ. მაშასადამე, აღნიშნული შეთანხმება მიღწეულია მხარეთა მიერ თავისუფლად გამოვლენილი ნამდვილი ნების საფუძველზე, მხარეებმა აღნიშნული შეთანხმების/ხელშეკრულების შინაარსი სწორედ ამგვარად განსაზღვრეს, რომლის დადების შესაძლებლობა/უფლებამოსილება მათ ჰქონდათ მინიჭებული სსკ-ის 319.1 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან წინამდებარე შეთანხმება/ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება კანონს. მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად მხარეები შეთანხმდნენ: 1 კვ.მ-ზე სამშენებლო ფართის მშენებლობაზე მენარდეს, მოგების სახით, უნდა მიეღო 100 აშშ დოლარი, რაც მთლიანი მშენებლობის მოცულობიდან გამომდინარე შეადგენდა 2 600 000 აშშ დოლარს (აღნიშნული შემკვეთისათვის თავიდანვე იყო ცნობილი), ვინაიდან მენარდეს აღნიშნული მოგება (ანუ მიუღებელი შემოსავალი) უნდა მიეღო 2009 წლის მე-4 კვარტლის ბოლოსათვის, ხოლო შემკვეთის მოთხოვნით ამ მოგების მიღების

ვადა გადაინევდა 2012 წლის მე-3 კვარტლის ბოლომდე, ანუ 33 თვით, იმ პერიოდისათვის, ანუ 2007 წლისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ნორმატიულად იყო განსაზღვრული კომერციული ბანკებისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი – 30%-ით, აქედან გამომდინარე, მენარდე ფაქტიურად ერთ წელიწადში კარგავდა 2 600 000 აშშ დოლარის 30%-ს, ანუ 780 000 აშშ დოლარს, რაც თვეში (780 000/12) 65 000 აშშ დოლარის ტოლია, ხოლო 33 თვის განმავლობაში მენარდე დაკარგავდა –  $65000 \times 33 = 2\,145\,000$  აშშ დოლარს. ამის შემდეგ, შემკვეთმა მენარდეს შესთავაზა მხოლოდ ერთი წლის ზიანის – 780 000 აშშ დოლარის ანაზღაურება ეტაპობრივად – 2011 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 1 აპრილამდე, რასაც დაეთანხმა მენარდე და მხარეებს შორის 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმება შედგა;

11.3.11. კასატორი ვრცელ შედავებას წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებებზე და არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას მენარდის მიერ დაშვებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯის 122 625.54 ლარით განსაზღვრის შესახებ, შემკვეთის სასარგებლოდ და მიაჩნია, რომ მას არაფერი არ უნდა დაჰკისრებოდა.

11.3.12. მეორე კასატორი ასაჩივრებს მისთვის შემკვეთის სასარგებლოდ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაკისრებულ 8056.90 ლარს, რაც შემკვეთმა ექსპერტიზის დასკვნების მოსამზადებლად გაიღო, რომელიც, მენარდის მტკიცებით, არ წარმოადგენს საპროცესო ხარჯს, რადგან უკავშირდება მხარეთა შორის არსებულ წარდობისსამართლებრივ ურთიერთობას და არა მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენას; ასევე, ასაჩივრებს გადაწყვეტილებას მისთვის შემკვეთის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი 78 560 ლარის დაკისრების ნაწილში, რომელიც არც შესაბამისი მტკიცებულებებითაა დასაბუთებული და არც გონივრულია.

11.3.13. მეორე კასატორი ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 იანვრის საოქმო განჩინებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინებას, რომლითაც დაკმაყოფილდა შემკვეთის შუამდგომლობა საქმის მასალებისათვის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 ნოემბრის დასკვნის დართვის შესახებ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის საოქმო განჩინებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მენარდის მიერ ნარდგენილი შუამდგომლობა საქმის მასალებისათვის შემდეგი მტკიცებულებების დართვის თაობაზე: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 20 ივლისის დასკვნა (6ფ.); შპს „კ-ის“ 2010 წლის 11 მაისის დასკვნა (6ფ.); შპს „მ-ს“ 2015 წლის 23 ოქტომბრის წერილი (2ფ.); 2010 წლის 8 ივნისის ხელშეკრულება Hb/24-8.06.10 (4ფ.); შპს „მ-ს“ წერილი 2015 წლის 19 ოქტომბერი, ადრესატი ინდემნარმე „მ.ბ.“ (1ფ.); ინდემნარმე „მ.ბ-ის“ წერილი 2015 წლის 20 ოქტომბერი (1ფ.); 2010 წლის 10 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი (1ფ.); სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 ოქტომბრის წერილი (1ფ.); შპს „მ-ს“ 2015 წლის 5 ოქტომბრის წერილი, ადრესატი შპს „დ-მა“ (1ფ.); შპს „დ-მა“ 2015 წლის 14 ოქტომბრის წერილი, ადრესატი შპს „მ.“ (1ფ.); შპს „მ-ს“ 2015 წლის 12 ოქტომბრის წერილი, ადრესატი შპს „ს.პ. და ე.ც.“ (2ფ.); შპს „ს.პ. და ე.ც-ის“ 2015 წლის 23 ოქტომბრის დასკვნა (4ფ.); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დასკვნა (6ფ.); მომსახურების ხელშეკრულება №657-2015-2, 26.10.2015წ. (2ფ.); 2010 წლის 1 ივლისის შეთანხმება №2, (2 ფურცელი 2 ცალად); ასევე – მოწმის სახით შპს „მ.გ.ჯ-ას“ ყოფილი დამფუძნებლებისა და დირექტორის დაშვება და დაკითხვა, რაც არ დაკმაყოფილდა.

## **12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

12.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ხოლო 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით გადაწყდა საქმის ზეპირი მოსმენა, მხარეთა მონაწილეობით.

13. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა მხარი დაუჭირეს საკუთარ საკასაციო მოთხოვნებს, ვრცლად ისაუბრეს საკასაციო პრეტენზიებსა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ გარემოებებზე (იხ. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლისა და 26 მარტის სხდომების ოქმები).

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვის, მხარეთა განმარტებებისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც პირველი, ისე – მეორე კასატორების საკა-

საციო საჩივრები და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა როგორც მენარდის, ისე შემკვეთის საკასაციო საჩივრები და მათი ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, ნაწილობრივ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნაზე, რომ მხარეთა შორის არსებული ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მოშლა 2011 წლის 5 სექტემბერს განპირობებული იყოს მენარდის ბრალეული მოქმედებით, მის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10.10, 10.25 ქვეპუნქტები).

16. სსკ-ის 636-ე მუხლის დანაწესი (იხ. ნორმის დეფინიცია 8.18 ქვეპუნქტში) სახელშეკრულებო სამართალში ე.წ. საგამონაკლისო ნორმაა, რომელიც შემკვეთს ნებისმიერ დროს, უპირობოდ ანიჭებს უფლებას ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება (იხ. სუსგები: №ას-697-663-2015, 15.12.2015წ; №ას-901-851-2015, 05.02.2016წ; №ას-981-926-2015, 11.03.2016წ.). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს (მენარდეს) ეკისრება ტვირთი ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით. საკასაციო სასა-

მართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მონყობილობების შექმნას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (სუსგ №ას-697-663-2015, 15.12. 2015).

17. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა გერმანული სამოქალაქო კოდექსის /BGB; შემდეგში – გსკ/ 649-ე პარაგრაფის შინაარსი, რომლის ანალოგია ქართული სსკ-ის 636-ე მუხლი. გსკ-ის 649-ე პარაგრაფი ადგენს შემკვეთის უფლებას მოშალოს ნარდობის ხელშეკრულება „1. შემკვეთს შეუძლია ნაკეთობის დასრულებამდე, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება. 2. თუ შემკვეთი მოშლის ხელშეკრულებას, მენარდე უფლებამოსილია მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური; თუმცა ამ საზღაურს გამოაკლდება ის ხარჯები, რაც მან დაზოგა ხელშეკრულების გაუქმებით ან მუშახელის სხვა ობიექტზე დასაქმებით, ან იმ შემთხვევაში, თუ ის ბოროტი განზრახვით არ შეეცდება ამის გაკეთებას. 3. ივარაუდება, რომ მენარდეს ეკუთვნის სამუშაოს შეუსრულებელი ნაწილისთვის, გათვალისწინებული საზღაურის 5%.“ დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილის ძირითადი სამართლებრივი შედეგია ხელშეკრულების მოშლით შემკვეთის ვალდებულება, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამ დანაწესის მიზანია, რომ მენარდეს არ მიადგეს ზიანი ხელშეკრულების მოშლით, უნდა მოხდეს შემკვეთისა და მენარდის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაბალანსება. შემკვეთის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელების შედეგად მენარდემ არ უნდა მიიღოს არც სარგებელი და არც – ზიანი. გერმანული კანონით მხარეთა ინტერესების გასაწონასწორებლად დადგენილია შემკვეთის ვალდებულება შეუსრულებელი სამუშაოების 5% აუნაზღაუროს მენარდეს იმ ანაზღაურებიდან, რაც ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში სამშენებლო (ნარდობის) ხელშეკრულების

მოშლის შედეგად შეუსრულებელი სამუშაოებისთვის საზღაურის გადახდა გამოიანგარიშება მხოლოდ ხელშეკრულების შედეგად შეთანხმებული შესრულებებისა და ამ შესრულებების შესაბამისად შეთანხმებული საზღაურიდან, შესაბამისად, განცალკევებით არ გამოითვლება მენარდის მიერ მისაღები მოგების ოდენობა.

18. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ სსკ-ის 636-ე მუხლით ნებისმიერ დროს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემკვეთისათვის მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ შემკვეთმა სამშენებლო ობიექტზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების, გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად ექსპერტისავე მომზადებული რეკომენდაციების შესახებ წერილობით (შესაბამისი დანართის გაგზავნით) აცნობა მენარდეს და შესთავაზა ამ უკანასკნელს, თუკი დაეთანხმებოდა ექსპერტის მიერ აღმოჩენილ ხარვეზებს, გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 3-კვირისა, გამოეხსნორებინა ისინი (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების 4.2. ქვეპუნქტი; ასევე – წინამდებარე გადაწყვეტილების 101.9-10.25 ქვეპუნქტები), რაც მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს შეესაბამება. სსკ-ის 639-ე და 641-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე (ნორმათა დეფინიცია იხ. ამ გადაწყვეტილების 10.24 ქვეპუნქტში), მენარდემ ნაკლის მქონე ნაკეთობა (ამ შემთხვევაში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსი) დაამზადა (ააშენა და აწარმოა სხვადასხვა სამუშაოები). შემკვეთმა მენარდეს განუსაზღვრა ვადა ნაკლის გამოსასწორებლად, თუმცა, შემკვეთის 2011 წლის 3 აგვისტოს წერილის პასუხად, მენარდემ იმავე წლის 10 აგვისტოს და 25 აგვისტოს წერილებით შემკვეთს შეატყობინა, რომ ექსპერტთან – ა.ვ-თან ერთად პუნქტობრივად განიხილავდა საექსპერტო დასკვნას, ამის შემდეგ კი მენარდის მიერ აღიარებული ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების ვადები მოგვიანებით ეცნობებოდა შემკვეთს; ასევე, მენარდემ შემკვეთს აცნობა, რომ დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის დასკვნაში ასახულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, უმოკლეს ვადაში წარადგენდა კონსტრუქტორის დასკვნას, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ნაწილში – სამუშაოების ნაკლოვანებების თაობაზე – მათი დასრულება – გამოსწორების სამუშაოების შესახებ დასკვნას წარადგენდა 2011 წლის 3 სექტემბერს (ასევე, ამ გადაწყვეტილების 3.14-3.14.3 ქვეპუნქტები).

19. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დამოუკიდებელმა საექსპერტო კომპანიამ 06.09.2011 წელს, ანუ შემკვეთის ინიციატივით მენარდესთან დადებული ხელშეკრულების მოშლის მეორე დღესვე, შეადგინა შემონმების აქტი №09-001 საექსპერტო დას-

კვანაში №11-07-01/001 ასახული შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, რაც მენარდეს არ გამოუსწორებია, ასევე, საქმის მასალებშია იმავე დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 18.10.2011წ. №11-10-01/001 დასკვნა, რომლითაც დამატებით დაფიქსირდა ხარვეზები; საქმეში მოთავსებულია: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შემონმების აქტი №000241 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ; დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის 2012 წლის 15 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა; სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა; ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 25.04.2012წ. №012515-1012/03/02 დასკვნა და 09.10.1012წ. №042383-2012/03/2 დასკვნა, ინდემნარმე „მ.ბ-ის“ დასკვნა, რომელთა საფუძველზე დადგენილია, რომ მენარდემ არსებითი ხარვეზებით აწარმოა სამშენებლო სამუშაოები, რიგ შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები უხარისხოდ იყო შესრულებული ან არ შეესაბამებოდა პროექტს ან დარღვეული იყო ნორმატიული მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მენარდის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დარღვევის ფაქტი და ამ მიზეზით გამართლებულად ჩათვალა შემკვეთის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება);

20. საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე მოიხმო სსკ-ის 636-ე მუხლი და გსკ-ის 649-ე პარაგრაფი, შემკვეთისათვის მინიჭებული საგამონაკლისო უფლების – ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა – თაობაზე, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებისადმი ინტერესი დადგენილია შემკვეთის ქმედებით, რაც ასახულია მენარდისადმი მიმონერითა და ამ უკანასკნელისათვის შეთავაზებით, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებასა და არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე. საკასაციო სასამართლომ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის დასკვნაში მითითებული ხარვეზების გამოსწორებაზე ასახული რეკომენდაციების შესრულებაზე უარი მენარდეს გასაწვეი არათანაზომიერი ხარჯების გამო კი არ უთქვამს, არამედ – ნაკეთობის ნაკლის დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, რის გამოც შემკვეთმა თვითონ აღმოფხვრა ნაკლი, რამაც მას წარმოუშვა უფლება, მოეთხოვა განუული ხარჯების ანაზღაურება (იხ. სსკ-ის 643.1 მუხლი „თუ მენარდე არათანაზომი-

ერი ხარჯების გამო უარს კი არ იტყვის დამატებით შესრულებაზე, მაგრამ ნაკეთობის ნაკლის გამო დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, მაშინ შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განუვლი ხარჯების ანაზღაურება“; იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 3.12-3.14.3 ქვეპუნქტები).

## **21. შემკვეთისა და მენარდის საკასაციო პრეტენზიების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე**

21.1. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.2.1.-11.2.5 ქვეპუნქტებში ასახულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება მენარდის სასარჩელო მოთხოვნას შემკვეთისათვის 780 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კასატორი (შემკვეთი) იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ 2007 წლის 23 ოქტომბერს მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე და, სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ 78 000 ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 8.16 ქვეპუნქტი). ამ ნაწილში შემკვეთს სააპელაციო პრეტენზია არ წარუდგენია, თუმცა, მისი საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მენარდის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მენარდის სასარგებლოდ, შემკვეთს 496.396.66 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10.4, 10.28-10.29.3 ქვეპუნქტები). პირველ კასატორს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და უცვლელად დარჩეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება;

21.2. იმის გათვალისწინებით, რომ მენარდეს (მეორე კასატორს), თავის მხრივ, გასაჩივრებული აქვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი და მენარდის მიერ მოთხოვნილი 780 000 აშშ დოლარიდან მხოლოდ 496 396.66 აშშ დოლარი დაეკისრა შემკვეთს, ხოლო მენარდე სარჩელის დაკმაყოფილებას სრულად მოითხოვს (მენარდის საკასაციო პრეტენზიები იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.3.6, ქვეპუნქტში), საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები მხარეთა შორის 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმებაში გამოვლენილ ნებაზე, კასატორთა განმარტებებისა და მათ მიერ საქალაქო სასამართლოში გაცხადებული პოზიციების საფუძველზე, ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების ქვემორე პუნქტებში, მეორე კასატორის მოთხოვნის (შემკვეთისათვის 780 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე) საკასა-



ციო სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილების შესახებ სა-  
მართლებრივი საფუძვლების თაობაზე მსჯელობასა და დასკვნა-  
ში (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 26-27 პუნქტები).

21.3. შემკვეთის მორიგი საკასაციო პრეტენზია ეხება მის სა-  
სარგებლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმა-  
ყოფილებულ მოთხოვნას, კერძოდ, მენარდის მიერ ხარვეზებით  
შესრულებული სამუშაოების აღმოსაფხვრელად, ამ უკანასკნელს,  
შემკვეთის მიერ მოთხოვნილი 235 890.10 ლარიდან, გასაჩივრებუ-  
ლი გადაწყვეტილებით მხოლოდ 122 625.54 ლარის გადახდა დაე-  
კისრა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება; ასევე –  
შემკვეთის საკასაციო პრეტენზია წინამდებარე გადაწყვეტილე-  
ბის 11.2.6 ქვეპუნქტში), კასატორი მოითხოვს მისი შეგებებული  
სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას და მენარდისათვის 235  
890.10 ლარის დაკისრებას;

21.3.1. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შემკვეთის საკა-  
საციო პრეტენზია მენარდისათვის 235 890.10 ლარის დაკისრების  
თაობაზე დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო  
სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებში მო-  
თავსებულ ექსპერტიზის დასკვნაზე № 11-07-01/002 (იხ. დასკვნა  
თანდართული ხარჯთაღრიცხვის ცხრილებით; იხ. ასევე საკასაციო  
სასამართლოს 28.02.2018წ. სხდომის ოქმი – 14:37:28-დან), რომ-  
ლითაც განისაზღვრა მენარდის მიერ დაშვებული ნაკლოვანებე-  
ბის აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა – 235 890.10 ლარის ოდენო-  
ბით და აღნიშნული თანხის გაანგარიშება ეფუძნება წარდგენილი  
მასალების ანალიზს, გამოსაკვლევი ობიექტის ადგილზე აზომვე-  
ბის შედეგად მიღებულ მონაცემებსა და მოქმედი ტექნიკური ნორ-  
მების ურთიერთშედარების მეთოდს;

21.3.2. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე კასატორი (მენარ-  
დე), თავის მხრივ ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყ-  
ვეტილებას მისთვის შემკვეთის სასარგებლოდ დაკისრებული 122  
625.54 ლარის ნაწილში (იხ. მენარდის საკასაციო პრეტენზია წინამ-  
დებარე გადაწყვეტილების 11.3.11 ქვეპუნქტში, ასევე – მენარდის  
საკასაციო საჩივარი, და დაზუსტებული საკასაციო საჩივარი), სა-  
კასაციო სასამართლო იმსჯელებს, ერთი მხრივ, პირველი კასატო-  
რის (შემკვეთის) საკასაციო საჩივრის ამ ნაწილში დაკმაყოფილე-  
ბისა და, მეორე მხრივ, მეორე კასატორის (მენარდის) საკასა-  
ციო პრეტენზიის უარყოფის საფუძვლებზე.

21.4. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღე-  
ბას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქ-  
ტობრივ გარემოებაზე (სსსკ-ის 407.2 მუხლი), რომ შემკვეთმა ხელ-  
შეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება მენარდის ბრალეული

ქმედების გამო მიიღო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10.10 და 10.25 ქვეპუნქტები). საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მენარდის (მეორე კასატორის) პრეტენზია მისთვის შემკვეთის სასარგებლოდ დაუსაბუთებლად დაკისრებული 122 625.54 ლარის ნაწილში, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი 235 890.10 ლარის ნაწილია, ძირითადად იმას ეფუძნება, რომ სააპელაციო სასამართლომ რიგ შემთხვევაში სწორად დაადგინა ფაქტები, თუმცა, არასწორ მტკიცებულებებზე (საექსპერტო დასკვნასა და შემკვეთის მიერ მესამე პირებთან – სხვა მენარდეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით) დაყრდნობით გაიანგარიშა ის თანხა, რაც მენარდეს დაეკისრა შემკვეთის სასარგებლოდ. მენარდის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 122 625.54 ლარის დაანგარიშება სააპელაციო სასამართლომ დააფუძნა ოთხ კომპონენტს და აღნიშნული თანხა შედგება 57 610.80 ლარისაგან, 4 125 ლარისაგან, 28 116.93 ლარისაგან, 32 772.75 ლარისაგან;

21.4.1. მენარდის წარმომადგენელმა 57 610.80 ლარის დაკისრების ნაწილში მიუთითა საქმეში წარდგენილ შპს „ო.გ-ს დასკვნაზე“, სადაც მითითებულია, რომ მინისქვეშა ავტოსადგომში ჩასასვლელი რამჟა არ იყო შესრულებული პროექტის მიხედვით, თუმცა, მენარდისათვის ზემოხსენებული თანხის დაკისრებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა შემკვეთის მიერ მესამე პირთან (სხვა მენარდესთან) გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის საგანია სულ სხვა (პანდუსები, რიგელები და სხვ.) და არა ის, რაც ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული; კასატორმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ექსპერტიზის დასკვნაში და შემკვეთის მიერ მესამე პირთან (სხვა მენარდესთან) გაფორმებულ ხელშეკრულებაში ერთსა და იმავე სამუშაოზე რომ იყოს მითითება, მაინც არ დგინდება, რომ შემკვეთმა 57 610.80 ლარი გადაუხადა მესამე პირს და ამის გამო ეს თანხა მენარდეს უნდა დაეკისროს, მესამე პირისათვის მარტოოდენ ავანსის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტია წარდგენილი საქმეში, რაც არ არის სათანადო მტკიცებულება. მეორე კასატორის მტკიცებით, ამ უკანასკნელისათვის შემკვეთის სასარგებლოდ დაკისრებული 122 625. 54 ლარი სააპელაციო სასამართლომ თითქოსდა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებას დააფუძნა, თუმცა, მისი დასკვნები არასწორია და დაუსაბუთებელი; მენარდის წარმომადგენელმა ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა მისთვის 4 125 ლარის დაკისრების თაობაზე და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მცდარია, რადგან წყლისა და სანიაღვრე სამუშაოებისათვის მაქსიმუმ შესაძლებელია 300 ლარი იყოს დახარჯული (იხ. საკასაციო სასამართლოს 26.03.2018წ. სხდომის ოქმი 13:28:44-13:39:06);

მენარდისათვის დაკისრებული 122 265.54 ლარის თაობაზე სანარმოს დირექტორმა – ა.ვ-ძემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო უთითებს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომ თითქოსდა მენარდემ დაარღვია ე.წ. „სნიპები“, რომელთა დარღვევით იქნა ჩალაგებული სანიაღვრე მიწები, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაშინ ეს საკანალიზაციო მიწები უნდა ამოეღოთ და სწორად ჩაედოთ... 4000 ლარით სულ სხვა სამუშაოები სრულდება... საკასაციო სასამართლოს შეკითხვის პასუხად, მხარის ზეპირსიტყვიერი განმარტების გარდა, რა მტკიცებულება ადასტურებდა მხარის პოზიციას, მენარდე სანარმოს დირექტორმა მიუთითა, რომ ამ ეტაპზე ასეთი მტკიცებულება არ არსებობდა, იგივე დაადასტურა მისმა წარმომადგენელმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ სანარმოს დირექტორის გაანგარიშებას ეფუძნებოდა კასატორის მტკიცება ამ უკანასკნელის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით და საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გამაბათილებელი საპირწონე მტკიცებულება მენარდეს პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის არ წარუდგენია;

21.4.2. მენარდის წარმომადგენელმა მიუთითა მისთვის დაკისრებულ 32 772.75 ლარზე და განმარტა, რომ ამ თანხის შემკვეთის მიერ სხვა მენარდისათვის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არის საქმეში წარდგენილი, მსგავსად, ზემოხსენებული 57 610.80 ლარისა; რაც შეეხება 28 116.93 ლარის დაკისრებას მენარდისათვის, მხარის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტი, რომ 4 ერთეულ ბინაზე იყო ხარვეზი, თუმცა, თანხა, რომელიც საბოლოოდ მენარდეს დააკისრა, შვიდ სართულზე განლაგებულ ბინებზე არსებულ ხარვეზებს ეხება, რაც არასწორია. საკასაციო სასამართლოს შეკითხვის პასუხად, თუ რა მტკიცებულებაზე უთითებდა მხარე მისთვის არასწორად დაკისრებული 28 116.93 ლარის ნაწილში, სანარმოს დირექტორმა ა.ვ-ძემ განმარტა, რომ მან გაშიფრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მენარდისათვის შემკვეთის სასარგებლოდ დაკისრებული 235 890.10 ლარი, რომელიც შედგებოდა 157 000 ლარისაგან (ფილის დანგრევისა და ახლის აშენებისათვის). სანარმოს დირექტორმა აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია, თუ რა გაანგარიშებას დაემყარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მენარდისათვის 28 116.93 ლარის დაკისრებისას, სავარაუდოდ, სასამართლო მენარდე სანარმოს დირექტორის მიერ დაანგარიშებულ თანხას დაეყრდნო, რომელიც, თავის მხრივ, ექსპერტ ვ-ის დასკვნიდანაა ამოღებული (სადაც მითითებულია, რომ 1-დან მე-7 სართულის ჩათვლით საჭიროა 24 000 ლარი 30 ბინისათვის), თუმცა, კასატორის მტკიცებით, ამ შემთხვევაშიც შეცდომა დაშვე-

ბული, ვ-ლი 6 სექტემბრის დასკვნაში უთითებს, რომ მან გადაამოწმა ივლისის დასკვნა და წერს, რომ 12 ბინაში მიმდინარეობს სამუშაოები, დანარჩენი დასრულებულიაო. მხარემ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საწარმოს დირექტორის შეკითხვის პასუხად, ექსპერტმა აღიარა შეცდომა, რომ მისი დასკვნა სულ 8 ბინას ეხებოდა და, როგორც ჩანს, აქედან დაასკვნა სააპელაციო სასამართლომ, რომ დარჩა 4 ბინა. საწარმოს დირექტორმა მიუთითა საქმის მასალებში მოთავსებულ 1 სექტემბრის წერილზე, რომელშიც მითითებულია, რომ იმ 4 ბინაშიც დასრულებული იყო სამუშაოები და გაზიფიკაციის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო, რაც მენარდეს არ უნდა გაეკეთებინა და ამას თავისი წესი აქვს (იხ. საკასაციო სასამართლოს 26.03.2018წ. სხდომის ოქმი 13:39:06-13:47:39).

21.5. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე სასამართლოს არაერთი შეკითხვის პასუხად, თუ რა ადასტურებდა მენარდის მტკიცების მართებულობას იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარდგენილი იყო საექსპერტო დასკვნები, მიმონერები იმის თაობაზე, რომ მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების დროს დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად საჭირო იყო 235 890.10 ლარის ხარჯის განევა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 3.15.2 ქვეპუნქტი), მენარდემ მართოდენ საკუთარ ზეპირსიტყვიერ განმარტებაზე, 1 სექტემბრის წერილზე და იმაზე მიუთითა, რომ სხვა მენარდებთან შემკვეთის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებით არ დასტურდებოდა ამ უკანასკნელის სასარჩილო მოთხოვნის დასაბუთებულობა. მეორე კასატორმა დაადასტურა, რომ პირველი ინსტანციის სამართალწარმოების ეტაპზე მას არ წარუდგენია შემკვეთის მიერ წარდგენილი საექსპერტო დასკვნის გამაქარწყლებელი სამართლებრივი წონადობის მტკიცებულება.

21.6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში დადგენილი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, მხარეებს მოეთხოვებათ საკუთარი მტკიცების ტვირთის იმგვარად რეალიზება, რომ თითოეულმა მათგანმა სამართლებრივად ვარგისი, სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება წარადგინოს მისთვის ხელსაყრელ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, მხარეს არ შეიძლება მტკიცების ტვირთი გადაეკისროს იმ პირობებში, როდესაც წარდგენილი აქვს დასაშვები და განკუთვნილი მტკიცებულება – ამ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო მის საპირწონედ პროცესუალური მოწინააღმდეგე თავს იცავს ზეპირსიტყვიერი განმარტებით, საკუთარი გაანგარიშებითა და შემკვეთის მიერ მესამე პირებთან (სხვა მენარდებთან) დადე-

**ბული ხელშეკრულებით.** საკასაციო სასამართლომ როგორც 28 თებერვლის, ისე 26 მარტის სხდომაზე მეორე კასატორის განუმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, დაუშვებელია კასატორის მიერ წარდგენილი მტკიცებულების – საექსპერტო დასკვნის მიღება და საქმეზე დართვა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის მართებულად განაწილების პირობებში, სააპელაციო სასამართლოს კვლევა შემკვეთის მიერ მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველიანობის შესამოწმებლად არასწორია და ვერ აბათილებს პირველი კასატორის მიერ წარდგენილი საექსპერტო დასკვნის დასაბუთებულობას. ამის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე შემკვეთის საკასაციო პრეტენზია მის სასარგებლოდ მენარდისათვის 235 890.10 ლარის დაკისრების ნაწილში საფუძველიანია და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს (იხ. შემკვეთის შეგებებულ სარჩელი და მისი პოზიცია საკასაციო სასამართლოს 28.02.2018წ. სხდომაზე – 14:24:49-დან).

21.7. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე (სსკ-ის 629.1 მუხლი), შემკვეთმა მენარდეს მოსთხოვა ინფორმაციის წარდგენა ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოების თაობაზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.12-3.12.6 ქვეპუნქტები; სსკ-ის 318-ე მუხლი: ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება. ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაპენტს შეუძლია საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია), რომლის მიწოდებაც 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით მენარდეს ევალებოდა (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.5 ქვეპუნქტი). შემკვეთმა მენარდეს ისევ მიმართა წერილით, რომელსაც ერთვოდა საექსპერტო დასკვნა შესაბამისი გაანგარიშებით, მენარდის მიერ დაშვებული ხარვეზებისა და მათ გამოსასწორებლად საჭირო რეკომენდაციების მითითებით, დამატებითი ვადის განსაზღვრით ნაკლოვანებების გამოსასწორებლად (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.12.7-3.12.8 ქვეპუნქტები), რაც სავსებით აკმაყოფილებს მხარეთა შორის გაფორმებული 2007 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულების 8.2.2, 9.6, 10.1-10.3 პუნქტებით (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.6-3.8 ქვეპუნქტები) შეთანხმებულ პირობებს.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 639-ე (უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულება; ნაკეთობის დამზადება ფართოდ უნდა განიმარტოს და მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის აშენება ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების მიხედვით, ნივთობრივად უნაკლო სახით უნდა მომხდარიყო), 641-ე (ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა), 642-ე (დამატებითი შესრულების მოთხოვნა), 643.1 (ნაკეთობის გამოსწორება შემკვეთის მიერ), 405-ე (დამატებითი ვადის დაწესება ვადის დარღვევისას), 644-ე (ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო), 408.1 (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა) 409-ე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა) მუხლები, შესაბამისად, უარყოფილია მეორე კასატორის (მენარდის) საკასაციო პრეტენზია მისთვის 122 625. 54 ლარის უსაფუძვლოდ დაკისრების თაობაზე.

22. პირველი კასატორის (შემკვეთის) შეგებებული სარჩელიდან გამომდინარე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.1-5.8 ქვეპუნქტები) სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია შემკვეთის (პირველი კასატორის) საკასაციო პრეტენზია (იხ. ამ გადაწყვეტილების 11.2.7-11.2.11 ქვეპუნქტები), რომელიც უკავშირდება მის მოთხოვნას – მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი 750 212. 20 აშშ დოლარის ეკვივალენტის დაბრუნების თაობაზე (იხ. პირველი კასატორის პოზიცია საკასაციო სასამართლოს 28.02.2018წ. სხდომაზე, 14:35:38-დან).

23. შეგებებული მოსარჩელის (შემკვეთის) მოთხოვნა ამ ნაწილში სრულად დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა, მენარდის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შედეგად, ამ ნაწილში მენარდის სასარგებლოდ შეიცვალა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შემკვეთის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მის სასარგებლოდ, მენარდეს 425 626.66 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე, წინამდებარე გადაწყვეტილების 10.40-10.40.5 ქვეპუნქტები);

23.1. სადავო არაა, რომ შემკვეთმა მენარდეს ავანსად გადაურიცხა 3 281 928 აშშ დოლარი. „ა“ და „ბ“ კორპუსებზე შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეადგენდა 5 984 480 აშშ დოლარს. საქმეში წარდგენილია სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 7 დეკემბრის დასკვნა, რომლის მიხედვით, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებ-

ლობაზე მენარდის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 306 993.74 აშშ დოლარი, რაც 5 984 480.00 აშშ დოლარის 38, 55 %-ია; აღსანიშნავია, რომ პროექტირებისათვის მენარდემ გადაიხადა 224 722.06 აშშ დოლარი (რასაც გარკვეული სხვაობით, ანუ 213 198 აშშ დოლარის გადახდის შესახებ საკუთარ შესავებელშიც უთითებს მენარდე). მონინააღმდეგე მხარეს – მენარდეს არ წარუდგენია ამ თვალსაზრისით დასაბუთებული შედეგება. საკასაციო სასამართლო, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ყურადღებას გაამახვილებს საქმეში მოთავსებულ მტკიცებულებაზე – დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიის (იხ. 3.12.7 ქვეპუნქტი) 2011 წლის 16 ივლისის №11-07-01/002 დასკვნაზე, რომელშიც ქვემენარდის ხარჯების გაშიფვრისას (ფორმა №2, პოზიცია 187) მითითებულია, რომ მენარდემ ჯერ თვითონ შეიძინა, ხოლო შემდეგ ქვემენარდეს გადასცა მასალები და მოწყობილობები; ქვემენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რომელზეც დარიცხულია ზედნადები და მოგება, მენარდემ ხელმეორედ დაარიცხა ზედნადები და მოგება და ასეთი დარიცხვით წარუდგინა შემკვეთს (იხ. ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას, რომ შემკვეთის მიერ მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დადგენის მიზნებისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მენარდესა და ქვემენარდეს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე 1 კვ.მ-ზე გადახდილი 320 აშშ დოლარიდან მენარდის მოგება 1 კვ.მ-ზე შეადგენდა 100 აშშ დოლარს, ანუ შესრულებული სამუშაოების 31,25%-ს (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება);

23.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მენარდის მიერ მისაღები მოგება განცალკევებულად არ გამოიანგარიშება, აღნიშნული იმ საერთო ხარჯთაღრიცხვის ნაწილია, სადაც ყველა სხვა ხარჯია განერილი და ზოგადად განეკუთვნება ნარდობის საზღაურს (იხ. სსკ-ის 629.1 მუხლი). პირველმა კასატორმა განმარტა, რომ მის მიერ წარდგენილი სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის გასაბათილებლად მენარდეს რაიმე მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარუდგენია, შესაბამისად, მხარემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის საპროცესო მოვალეობა. საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი კასატორის (შემკვეთის) პრეტენზიას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.2.6-11.2.11 ქვეპუნქტები) ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი 750 212, 20 აშშ დოლარის ეკვივალენტის შემკვეთისათვის დაბრუნე-

ბის ნაწილში და შეგებებული სარჩელის მოთხოვნას ამ ნაწილში სრულად აკმაყოფილებს.

24. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე კასატორის (მენარდის) პრეტენზია უკავშირდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელსაც ხარვეზი არ გააჩნდა, ხოლო პირველი კასატორის (შემკვეთის) პრეტენზია ამ ნაწილში საკასაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა, აქვე უნდა განიმარტოს მეორე კასატორის (მენარდის) საკასაციო საჩივრის უარყოფის საფუძველი ამავე თანხასთან დაკავშირებით.

24.1. შემკვეთის მიერ ზედმეტად გადახდილი 750 212 აშშ დოლარიდან ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მენარდისათვის დაკისრებული 425 625.66 აშშ დოლარის თაობაზე მეორე კასატორის ძირითადი პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა პროექტის ავტორის დასკვნა, ფორმა №2-ებში ასახული გაანგარიშებები, შესაბამისად, მას საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა შემკვეთისათვის რაიმე თანხის დაბრუნება (იხ. მენარდის წარმომადგენლის პოზიცია საკასაციო სასამართლოს, 26.03.2018წ. სხდომაზე – 13:56:21-დან);

24.2. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მენარდე საწარმოს დირექტორმა ა.ვ-ძემ მიუთითა, რომ ფორმა №2 არის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი. მხარემ განმარტა, რომ დღგ-ის გადასახადი უკვე გადახდილი აქვს სახელმწიფოსათვის მენარდეს და სასამართლოს მიერ ამ დავის გადანყვეტის შემდეგ, შესაძლოა აღნიშნულ საკითხს ისევ სხვა სასამართლო დავა დასჭირდეს. საწარმოს დირექტორმა ისიც დაადასტურა, რომ მისთვის გასაგებია, რომ საჭიროა ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა მტკიცებულების სახით, რაც მისი, როგორც მხარის, შეცდომაა. საწარმოს დირექტორმა ყურადღება გაამახვილა ფილის მზიდუნარიანობის შესახებ (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 11.3.1-11.3.5 ქვეუბნეტიები) ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილ 25.04.2012წ. დათარიღებულ დასკვნასა და საკუთარ გაანგარიშებებზე, კერძოდ, თუ რა უნდა ყოფილიყო პროექტის მიხედვით და როგორ შესრულდა. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, იმას აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნა ეხება ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში ... მშენებარე მრავალსართულიანი კომპლექსის „ა“-2 ბლოკის +10.80 ნიშნულზე მდებარე რკინაბეტონის მონოლითური გადახურვის ფილის საინჟინრო-ტექნიკურ კვლევას, რომლის შედეგად ექსპერტმა დაასკვნა, რომ „ფილის მზიდუნარიანობა საიმედოა, ფილას არ სჭირდება გამაგრება და მით უმეტეს ის დემონტაჟს არ ექვემდებარება“. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა-



ში არსად არის მითითებული, თუ რა ოდენობის თანხას შეადგენს ე.წ. მზიდუნარიანი ფილა, რომელიც საიმედოა, არ საჭიროებს გამაგრებას და მით უმეტეს-დემონტაჟს, რაც შესაძლებელია, როგორც ფაქტობრივად უნაკლოდ შესრულებული სამუშაო, გამოხატული კონკრეტულ ფულად თანხაში, სადავო გაეხადა მენარდეს და გამოკლებოდა იმ თანხას, რომელსაც შემკვეთი ითხოვდა შეგებებული სარჩელით;

24.3. ამდენად, მენარდის საკასაციო პრეტენზია მისთვის 425 625.66 აშშ დოლარის უსაფუძვლოდ დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ არ არის გაზიარებული, ხოლო შემკვეთის (პირველი კასატორის) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შესახებ, რომელიც უკავშირდება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მენარდისათვის 750 212 აშშ დოლარის დაკისრებას, საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების 22-23.2 ქვეპუნქტებში.

25. პირველი კასატორის (შემკვეთის) პრეტენზია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.2.12 ქვეპუნქტი) ეხება მის მიერ გადახდილი 15 500 ლარიდან (რაც ექსპერტიზისათვის გადახდილი 15 000 ლარისა და 500 ლარისაგან შედგება) მხოლოდ 51,98%-ის დაკისრებას მენარდისათვის, რაც შემკვეთის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელის მოცულობის მიხედვით დაიანგარიშა სააპელაციო სასამართლომ. შემკვეთი ითხოვს ამ თანხის სრულად დაკისრებას მენარდისათვის იმ მოტივით, რომ შეგებებული მოსარჩელის მიერ წარდგენილი საექსპერტო დასკვნები სრულად გაიზიარა სასამართლომ და ეს დასკვნები, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, გახდა მენარდესთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

25.1. პირველი კასატორი (შემკვეთი) ითხოვს, რომ მისი შეგებებული სარჩელი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ და მენარდეს მხოლოდ 8056.90 ლარის გადახდა დააკისრა შემკვეთის სასარგებლოდ, სრულად დაკმაყოფილდეს და მეორე კასატორს (მენარდეს) დაეკისროს დარჩენილი 7443.10 ლარის გადახდა;

25.2. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე კასატორი (მენარდე) თავისი საკასაციო პრეტენზიით სადავოდ ხდის მისთვის შემკვეთის (პირველი კასატორის) სასარგებლოდ დაკისრებულ 8056.90 ლარს, რაც ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი 15 500 ლარის ნაწილია და განმარტავს, რომ მას აღნიშნული თანხა საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტი; ასევე – წინამდებარე გადაწყვეტილების 11.3.12 ქვეპუნქტი) საკასაციო სასამართლო იმსჯელებს პირველი კასატორისა და მეორე კასატორის ამ პრე-

ტენზიების შესახებ;

25.3. შემკვეთის (პირველი კასატორის) საკასაციო პრეტენზია მის სასარგებლოდ მენარდისათვის 15 500 ლარის სრულად დაკისრების თაობაზე არ არის გაზიარებული, ამასთან, საკასაციო სასამართლო ეთანხმება მენარდის (მეორე კასატორის) საკასაციო განაცხადს ამ ნაწილში და აკმაყოფილებს მას. შემკვეთი თვითონვე უთითებს, რომ მან ეს ხარჯები გასწია ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მენარდის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა შემოწმების მიზნით, რაც გახდა მენარდესთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შემკვეთმა ექსპერტიზის დასკვნებისათვის 15 500 ლარი გადაიხადა და აღნიშნული მტკიცებულებები მენარდეს წარუდგინა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შემოწმების მიზნით, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს დასახელებული მტკიცებულებები არ წარუდგენია თავისი საპროცესო ვალდებულების – მტკიცების ტვირთის რეალიზაციის ფარგლებში და არ წარმოადგენს საპროცესო ხარჯს; შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება შემკვეთის მტკიცებას, რომ ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მენარდის სამუშაოების შემოწმების პერიოდში განეული ხარჯები სასამართლო დავის ფარგლებში უნდა დაეკისროს მხარეს (მენარდეს) და ამ ნაწილში არ აკმაყოფილებს შემკვეთის საკასაციო პრეტენზიას (იხ. სსსკ-ის 37-ე და 53-ე მუხლები), აქედან გამომდინარე, მეორე კასატორის (მენარდის) პრეტენზია მისთვის 8056.90 ლარის უსაფუძვლოდ დაკისრების ნაწილში გაზიარებულია და დაკმაყოფილდა.

**26. საკასაციო სასამართლო იზიარებს მენარდის (მეორე კასატორის) საკასაციო პრეტენზიას და სრულად აკმაყოფილებს მენარდის სასარჩელო მოთხოვნას მის სასარგებლოდ შემკვეთისათვის 780 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე,** რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ცალსახად გამომდინარეობს 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების განმარტებიდან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 2-2.3 ქვეპუნქტები). ზემოხსენებული შეთანხმების შინაარსის შესაფასებლად, საკასაციო სასამართლომ ასევე მოისმინა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 4 მაისის მთავარი სხდომის ოქმი (CD დისკი, ოქმი); კერძოდ, შემკვეთის მხრიდან საწარმოს ყოფილი დირექტორის – დ.ჩ-სა და მენარდის მხრიდან საწარმოს დირექტორის ბ.ჩ-დის განმარტებები და დაასკვნა, რომ 2007 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმება არ ასახავს მხარეთა ნებას პირ-გასამტეხლოს თაობაზე.

27. საკასაციო სასამართლოს შეფასებით 23.10.2007 წ. ხელშეკ-

რულების 1.4 და 1.5 ქვეპუნქტები (იხ. „1.4. შპს „ბ.ს.ი-ი“ კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს „შემსრულებელს“, შპს „მ.“-ს სამშენებლო სამუშაოების ვადის გაზრდით მიყენებული ზიანი ერთჯერადად 780 000 (შვიდას ოთხმოცი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით. 1.5. შპს „მ.“-სთვის ამ შეთანხმების 1.4 პუნქტით აღიარებული ზიანის ანაზღაურების გადახდა შპს „ბ.ს.ი-ი“-ს მიერ მოხდეს ეტაპობრივად 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე“). ასახავს მხარეთა შეთანხმებას (სსკ-ის 319-ე მუხლი) იმის თაობაზე, რომ მენარდის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების ვადის 33 თვით გახანგრძლივებით, ამ უკანასკნელს შემკვეთი (მისი წინამორბედი სანარმო) ერთჯერადი კომპენსაციის სახით გადაუხდინდა 780 000 აშშ დოლარს, ეტაპობრივად, 2011 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 1 აპრილამდე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ ამ ნაწილში სრულად გაიზიარა მენარდის საკასაციო პრეტენზია და სრულად დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი მენარდის სასარგებლოდ შემკვეთისათვის 780 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი კასატორის (შემკვეთის) საკასაციო მოთხოვნა მისთვის 496 396.66 აშშ დოლარის არასწორად დაკისრების თაობაზე.

**28. მეორე კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მიღებულ საოქმო განჩინებებს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.3.13 ქვეპუნქტი), საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც გასაჩივრებულ საოქმო განჩინებებშია ასახული, კერძოდ:**

28.1. სააპელაციო სასამართლოს 14.01.2015წ. საოქმო განჩინებას მენარდის (მეორე კასატორის) შუამდგომლობის უარყოფის თაობაზე საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მხარეთა მიერ მასალების წარდგენის ვალდებულება არ შეასრულა მენარდემ, რომელიც სადავოდ ხდიდა შემკვეთის მოთხოვნას (დაფუძნებულს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №024253-211/03/1 დასკვნაზე), მენარდისათვის გადახდილი 750 212.20 აშშ დოლარის დაბრუნების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე მენარდის მოთხოვნით ორჯერ დაინიშნა ექსპერტიზა და ორჯერვე შეუსრულებელი სახით დაბრუნდა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 169.1 მუხლზე რომლის თანახმად: ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელ მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტი-

ზის ჩასატარებლად აუცილებელი მასალების წრეს განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც შეუძლია გაითვალისწინოს როგორც მხარეების, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გასაჩივრებული საოქმო განჩინება კანონიერია და დასაბუთებული, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი;

28.2. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინებას, შემკვეთის (პირველი კასატორის) შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, საფუძველად დაედო სსსკ-ის 380-ე და 215-ე მუხლების დანაწესი და საქმეს დაერთო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 16 ნოემბრის დასკვნა. გასაჩივრებული საოქმო განჩინება კანონიერია და დასაბუთებული, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი;

28.3. სააპელაციო სასამართლოს 04.12.2015წ. საოქმო განჩინებას მენარდის (მეორე კასატორის) შუამდგომლობის უარყოფის თაობაზე საფუძველად დაედო სსსკ-ის 380-ე და 104.1 მუხლების დანაწესი. გასაჩივრებული საოქმო განჩინება კანონიერია და დასაბუთებული, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი;

29. საკასაციო სასამართლო არაერთ განჩინებაში განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. საპროცესო კანონმდებლობა, უფლებებთან ერთად, მხარეებს მოვალეობებსაც აკისრებს, მათი შეუსრულებლობა კი, იწვევს მხარისათვის არასასურველ სამართლებრივ შედეგს. საპროცესო ვალდებულებების არსებობა შეჯიბრებით პროცესში სწორედ მხარეთა უფლებების დაცვის, საპროცესო ეკონომიის პრინციპისა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიაა. მხარეები, რომლებიც არ ასრულებენ საპროცესო ვალდებულებებს თვითონვე ხდებიან იმ სამართლებრივი რისკების მატარებელი, რაც სასამართლოს მიერ მხარეთა თანასწორობისა და დისპოზიციურობის საფუძველზე, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით წარდგენილი მტკიცებულებების შეჯერება-გაანალიზების შედეგად სადავო სამართალურთიერთობის გადაწყვეტას უკავშირდება.

30. მეორე კასატორის (მენარდის) საკასაციო პრეტენზია შემკვეთის საადვოკატო მომსახურების ხარჯების არამართებულად დაკისრებაზე ნაწილობრივ არის გაზიარებული და შემკვეთის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის, 4%-ის პროპორციულად დაეკისრა თავდაპირველ მოსარჩელეს (მენარდეს) პირ-

ველი კასატორის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული გასამრჯელოს ანაზღაურება, რაც 9 435.60 ლარს შეადგენს;

31. საკასაციო სასამართლო შემკვეთისა (პირველი კასატორის) და მენარდის (მეორე კასატორის) ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნების, რაც ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 4.1 და 5.1 ქვეპუნქტებში მითითებული თანხების გაქვითვის გზით, მენარდის სასარგებლოდ შემკვეთს აკისრებს 29 787.80 აშშ დოლარის ანაზღაურებას (სსკ-ის 442-ე და შემდგომი მუხლები);

32. უცვლელად რჩება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-10 პუნქტი, ხოლო რაც შეეხება საპროცესო ხარჯებს, მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადანაწილება მოხდა თითოეული კასატორის დაკმაყოფილებული საკასაციო განაცხადის ნაწილის პროპორციულად, რაც ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 და მე-10 პუნქტებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 53-ე, 257.1, 264.3, 410-ე და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „მ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. შპს „მ.დ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება (სარეზოლუციო ნაწილის 2,3,4,5,6,7,8,9,11,12,13 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
  4. შპს „მ“-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
    - 4.1. შპს „მ“-ს სასარგებლოდ შპს „მ.დ-ს“ დაეკისროს 780 000 აშშ დოლარის (შვიდას ოთხმოცი ათასი) გადახდა;
    - 4.2. არ დაკმაყოფილდეს შპს „მ-ს“ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 იანვრის, 24 ივნისისა და 4 დეკემბრის საოქმო განჩინებების გაუქმების შესახებ;
  5. შპს „მ.დ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5.1. შპს „მ.დ-ის“ სასარგებლოდ შპს „მ-ს“ დაეკისროს 750 212.20 აშშ დოლარის (შვიდას ორმოცდაათი ათას ორას თორმეტი აშშ დოლარისა და ოცი ცენტის) გადახდა;

5.2. შპს „მ.დ-ის“ სასარგებლოდ შპს „მ-ს“ დაეკისროს 235 890.10 ლარის (ორას ოცდათხუთმეტი ათას რვაას ოთხმოცდაათი ლარისა და ათი თეთრის) გადახდა;

5.3. შპს „მ.დ-ის“ შეგებებული სარჩელი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის, 500 (ხუთასი) ლარის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

6. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-10 პუნქტი;

7. შპს „მ-ისა“ და შპს „მ.დ-თვის“ ერთმანეთის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნების, რაც ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 4.1. და 5.1. ქვეპუნქტებში, გაქვითვის გზით, შპს „მ-ს“ სასარგებლოდ შპს „მ.დ-ს“ დაეკისროს 29 787.80 აშშ დოლარის (ოცდაცხრა ათას შვიდას ოთხმოცდაშვიდი აშშ დოლარისა და ოთხმოცი ცენტის) გადახდა;

8. შპს „მ.დ-ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად შპს „მ-ს“ დაეკისროს 9 435.60 ლარის (ცხრა ათას ოთხას ოცდათხუთმეტი ათასი ლარისა და სამოცი თეთრის) გადახდა;

9. შპს „მ-ს“ სასარგებლოდ შპს „მ.დ-ს“, სახელმწიფო ბაჟის სახით, დაეკისროს 3574.53 აშშ დოლარის (სამი ათას ხუთას სამოცდაათოთხმეტი აშშ დოლარისა და ორმოცდაცამეტი ცენტის) ეკვივალენტი ლარის გადახდა;

10. შპს „მ.დ-ის“ სასარგებლოდ შპს „მ-ს“, სახელმწიფო ბაჟის სახით, დაეკისროს 28 306.81 ლარის (ოცდარვა ათას სამას ექვსი ლარისა და ოთხმოცდაერთი თეთრის) გადახდა;

11. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. დავალაშის ხელშეკრულება

### დავალაშის შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოვალეობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1190-1110-2017

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:

1.1. შპს „ა-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-  
რე ან მარნმუნებელი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ც-ის (შემ-  
დგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან რწმუნებული) მი-  
მართ მოპასუხისათვის 10 668,53 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელის თანახმად, მხარეთა შორის 2011 წლის 17 ოქტომ-  
ბერს დაიდო ავიაბილეთების რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულება  
და სარჩელის აღძვრის დროისათვის მოპასუხეს ერიცხება დავა-  
ლიანება 10 668,53 ლარის ოდენობით, საიდანაც ძირი თანხა არის 4  
413,93 ლარი, ხოლო საურავი – 6 254,6 ლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებლით მო-  
პასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მას დავალიანება არ  
გააჩნია, შესაგებლის თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე  
რწმუნებული ქ. ჭიათურაში ყიდდა ავიაბილეთებს. მასთან ერთად  
მუშაობდა ი. ც-ე, რომელმაც 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბრი-  
დან მოპასუხის თანხმობით დამოუკიდებლად განაგრძო თანამ-  
შრომლობა მოსარჩელესთან, ის სარგებლობდა რწმუნებულის ან-  
გარიშითა და სოციალური ქსელით – „სკაიპით“. მოსარჩელესა და  
მოპასუხეს შორის 2014 წლის მარტის ბოლოდან შეწყდა ყოველ-  
გვარი ურთიერთობა და დაცალა საოფისე ფართი, ხოლო ი. ც-ემ,  
რწმუნებულის თანხმობით განაგრძო ხსენებული საქმიანობა, მან

დამოუკიდებლად მოიძია ფართიც. მოპასუხემ მარნმუნებლის ბუ-  
ლალტერს აცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ი. ც-ესთან გა-  
ფორმების შესახებ, რასაც დაეთანხმა ეს უკანასკნელი, ამ დროი-  
დან მოყოლებული სწორედ ი.ც-ე რიცხავდა ავიაბილეთების რეა-  
ლიზაციით მიღებულ თანხას მოსარჩელესთან საკუთარი ანგარი-  
შის გამოყენებით, შესაბამისად, მოპასუხისათვის გაურკვეველია  
რა ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს მარნმუნებელი.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 დეკემბრის გა-  
დაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუ-  
ხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 311,35 ლარის გადახ-  
და საიდანაც 4 413,93 ლარი წარმოადგენდა დავალიანების თანხას,  
ხოლო 897,42 ლარი – საურავს.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით  
გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწ-  
ვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-  
ლატის 2017 წლის 7 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ  
დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა  
უცვლელად.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-  
ჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვე-  
ტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასა-  
ჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის  
საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყო-  
ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

##### **1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნა-  
წილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწ-  
ვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამარ-  
თლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო  
დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნ-  
ქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პრეტენზიათა გათვა-



ლისწინებით შემონმების საგანი იქნება სააპელაციო პალატის მხრიდან დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის სისწორე, რამდენადაც კასატორი პრეტენზიას ძირითადად სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასწორი გამოკვლევა-შეფასების კუთხით გამოთქვამს.

## **1.2. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:**

წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2011 წლის 17 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე მოპასუხეს აწვდიდა ავიაბილეთების ბლანკებს ან ელექტრონულ ვერსიას ავიაგადაზიდვების სარეალიზაციოდ. მოპასუხემ აიღო ვალდებულება, გაეყიდა მხოლოდ მოსარჩელის მიერ გაცემული ბლანკები (ხელშეკრულების 2.2. მუხლი), ხოლო მოსარჩელემ აიღო ვალდებულება, ხელშეკრულების №1 დანართში მოცემული ოდენობის შესაბამისად გადაეხადა მოპასუხისათვის საკომისიო. ხელშეკრულების 4.3 პუნქტით, მოპასუხე ვალდებული იყო, ყოველი დეკადის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი დღის ვადაში, შეეტანა მარწმუნებლის სალაროში ავიაგადაზიდვების რეალიზაციიდან ამონაგების ნაღდი ფულით ან გადარიცხვით, კუთვნილი საკომისიო თანხის გამოკლებით. ხელშეკრულების 4.4. პუნქტის მიხედვით, თანხის დავიანებით გადახდის შემთხვევაში, რწმუნებულს დაეკისრებოდა გადასახდელი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულება გაგრძელდა უვადოდ;

1.2.2. 2014 წლის 15 მაისამდე მოსარჩელის ანგარიშზე გაყიდული ავიაბილეთების ღირებულება ირიცხებოდა მოპასუხის ანგარიშიდან, ხოლო, შემდგომ – ინდ.მენარმე ი. ც-ის ანგარიშიდან;

1.2.3. საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ თანახმად, რწმუნებულს მარწმუნებლის მიმართ, რეალიზებული ბილეთების დავალი-

ანება წარმოეშვა 2014 წლის 20 თებერვლიდან და 2014 წლის ბოლოსათვის შეადგინა 4 258.25 ლარი, რასაც 2015 წლის 8 მარტამდე დაერიცხა პირგასამტეხლო 6 410.18 ლარის ოდენობით. მოპასუხეს, დავალიანების ოდენობა სადავოდ არ გაუხდია;

1.2.4. მოპასუხის განმარტებით, ი. ც-ე მუშაობდა მასთან, მისივე თანხმობით. ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, იგი შეუთანხმდა შპს მოსარჩელის ბუღალტერს და არა დირექტორს;

1.2.5. მოპასუხის მიერ წარდგენილ სოციალურ ქსელ „სკაიპით“ მიმონერებში ი-ს სახელით 2014 წლის 8 ნოემბერს დაფიქსირებულია შემდეგი: „მე თვითონ მოვდივარ ნ., უნდა გამოვასწორო ყველაფერი, თან ჩამოვალ, გადაფორმება მინდა, ნ-ს პრობლემას უქმნი...“. მიმონერებში ნ-ს მისამართით, ნ-ს სახელით დაფიქსირებულია შემდეგი: „... მე მაქვს მაგის ყველა საბუთიო და დამირეკოს და რა ჭირდება მითხრასო“. ამ მიმონერის განხორციელების თარიღი ამონაწერში არ ფიქსირდება;

1.2.6. სააპელაციო სასამართლოში მონმედ დაკითხულმა ნ. კ-ემ აჩვენა, რომ იგი დასაქმებულია მოსარჩელე კომპანიაში დირექტორის თანაშემწედ, საწარმოში ბუღალტრად არ უმუშავია. მისი სა-მუშაო მოვალეობაა საწარმოს დირექტორისათვის ინფორმაციის მიწოდება და დირექტორის დავალებების შესრულება. სატელეფონო საუბრისას აპელანტს განუმარტა, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე პირადად ეცნობებინა დირექტორისათვის, რომლის ტელეფონი დაფიქსირებული იყო ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების შეწყვეტა მის (მონმე) უფლებამოსილებას არ შეადგენდა. მისთვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხეს ჰყავდა დამხმარე, თუმცა, დამხმარე არ წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს.

### **1.3. საკასაციო განხილვის ფარგლები (საკასაციო საჩივრის საფუძვლები):**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. როგორც ითქვა, კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ იგი მიღებულია საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით, რასაც შედეგად მისთვის თანხის არასწორად დაკისრება მოჰყვა, კერძოდ, საკასაციო საჩივრის მიხედვით:

1.3.1. სასამართლომ საარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნები, როდესაც დაადგინა, რომ კასატორი მოსარჩელე კომპანიის დირექტორთან შეუთანხმებლად მოქმედებდა, ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის პირველი ნაწილი, ამასთანავე, არ გამოიყენა ამავე კოდექსის 115-ე მუხლი;

1.3.2. ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად არ გაიზიარეს მოპასუხის განმარტება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მან აცნობა კომპანიის ბუღალტერს (რომელმაც მოწმედ დაკითხვისას განმარტა, რომ იყო დირექტორის თანაშემწე) და მისგან მიიღო თანხმობა, ეს გარემოება დასტურდება მათ შორის სოციალური ქსელის მიმოწერიდანაც. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ კასატორს საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ ამ პირთან ჰქონდა, რომელიც წყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს და მისი უფლებამოსილების ფარგლები ვერ იქნებოდა ცნობილი რწმუნებულისათვის. მოწმემ დაადასტურა, რომ მისი ვალდებულება დირექტორისათვის ინფორმაციის მინოდება იყო. ვინაიდან ამ საკითხზე არც დირექტორს გამოუთქვამს პროტესტი ხელშეკრულების შეწყვეტისა და მესამე პირის მიერ საქმიანობის გაგრძელებაზე, გასაზიარებელია ამ მხრივ მოპასუხის მიერ გამოთქმული მოსაზრებები;

1.3.3. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც კომპანიას თანხას არა მოპასუხე, არამედ ი. ც-ე ურიცხავდა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მოსარჩელე დაეთანხმა საქმიანობის ი. ც-ის მიერ გაგრძელებას, თავად საბანკო ამონაწერით დასტურდება, რომ რწმუნებულის მიერ ბოლო გადარიცხვა შესრულებულია 2014 წლის 27 მარტს.

#### **1.4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შედავებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტის დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი).

1.4.1. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორი შეფასება მისცეს მხარეთა შორის წარმოშობილ

ურთიერთობას, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებით ირკვევა, რომ მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა მოსარჩელის სახელითა და მის ხარჯზე ავიაბილეთების რეალიზაცია, რომლის ფარგლებშიც იგი იღებდა ანაზღაურებას. ამგვარი შეთანხმება კი, სამართლებრივი ბუნებით ყველაზე ახლოს სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულებასთან დგას (იხ. სკ-ის 709-ე და 710.1 მუხლები), სწორედ ამ ვალდებულების ფარგლებში მოითხოვს მარწმუნებელი რწმუნებულისათვის მინდობილი მოქმედების შედეგად მიღებულის დაკისრებას, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

1.4.2. მოცემული ნორმის თანახმად, სარჩელის წარმატებულობისათვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: მხარეთა შორის უნდა არსებობდეს დავალების სამართლებრივი ურთიერთობა; რწმუნებულს უნდა ჰქონდეს შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი მოქმედება; მარწმუნებელს არ უნდა ჰქონდეს მისთვის განკუთვნილი შესრულება მიღებული. პირველი ორი ფაქტის მტკიცება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მარწმუნებელს, ხოლო მესამე ფაქტისა – რწმუნებულს (დამატებით იხ. სკ-ის 429-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა დავალების ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ფარგლებში მინდობილი მოქმედების შესრულების ფაქტის მტკიცებით ასევე, საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ ამონაწერი და ამ ამონაწერის საფუძველზე შედგენილი აუდიტორული გაანგარიშება. მოპასუხემ მოთხოვნას დაუპირისპირა მისი განხორციელების გამომრიცხველი შესაგებელი და აღნიშნა, რომ მან დავალების ხელშეკრულება შეწყვიტა ცალმხრივად, ხოლო მის ნაცვლად მარწმუნებელმა ურთიერთობა გააგრძელა სხვა პირთან (მოპასუხის ყოფილ დამხმარესთან), შესაბამისად, მას, როგორც რწმუნებულს დავალიანება არ გააჩნია, გარდა ამისა, მხარემ სადავო გახადა დავალიანების მტკიცების მიზნით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ხსენებული მტკიცებულებების შეფასების კანონიერება;

1.4.3. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის შესაგებლის არსებითი ხასიათიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს, შეწყდა თუ არა მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების

ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. დასახელებული ნორმით რეგულირებულია რა დავალების შეწყვეტის შესაძლებლობის საკითხი, იგი არ იძლევა ამომწურავ პასუხს ამ ინსტიტუტის გამოყენებისათვის. ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება იყოს როგორც მხარეთა ორმხრივი შეთანხმების, ისე – ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი (იხ. სკ-ის 50-ე მუხლი), ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, ცალმხრივი ნება ნამდვილად ჩაითვლება, როდესაც იგი არა მარნმუნებელი საწარმოს რომელიმე პირს, არამედ – წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს მიუვა (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატას მოწმის ჩვენება არ შეუფასებია ჯეროვნად (სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით), კერძოდ, მოწმე ადასტურებს, რომ მის წინაშე ნამდვილად გამოხატა ნება კასატორმა და ამასთანავე, მოწმის ვალდებულებას წარმოადგენდა დირექტორის ინფორმირება, რომლის თანაშემწეც არის თავად მოწმე.

1.4.4. საკასაციო პალატის მოსაზრებით, უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ შესაგებელში, სოციალურ ქსელ „სკაიპსა“ და საბანკო ამონაწერში მითითებული ი. ც-ის მიერ მოსარჩელე კომპანიის წინაშე გარკვეული შესრულება ხომ არ ქმნის იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ რწმუნებულის ნება მართლაც მიუვიდა მარნმუნებელს, რაც დავალების შეწყვეტილად მიჩნევის საფუძველია. ამ მხრივ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე კვლევას. საპირისპირო ვითარებაშიც კი, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებში მოხსენიებული ი. ც-ე მართლაც ახორციელებდა გარკვეულ იურიდიულ მოქმედებებს. მოპასუხე განმარტავს, რომ ი. ც-ე წარმოადგენდა მის დამხმარეს. არც მოსარჩელეს მიუთითებია და არც სასამართლოებს არ დაუდგენიათ ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ დავალების ხელშეკრულება მინდობილი მოქმედების გადანდობას კრძალავს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დავალების შესრულების გადანდობა, რამდენადაც ამ შემთხვევაში, ამავე ნორმის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, რწმუნებულის პასუხისმგებლობის საკითხიც განსხვავებულია (თუ ნებადართულია დავალების გადანდობა მესამე პირისათვის, მაშინ რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში).

1.4.5. პალატა ასევე იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპე-

ლაციო სასამართლოს მხრიდან დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტების არასრულყოფილად გამოკვლევის თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს, როგორც საქმეში წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნაზე, ისე – საბუღალტრო პროგრამა ორისის ამონაწერსა და მოსარჩელის მიერვე წარდგენილ კომპანიის საბანკო ამონაწერზე: აუდიტორული დასკვნის თანახმად, რწმუნებულის დავალიანების დადგენის მიზნით, მან იხელმძღვანელა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელშეკრულებითა და საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ ამონაწერით. კვლევის შედეგად აუდიტორმა დაადგინა, რომ მოპასუხეს დავალიანება წარმოეშვა 2014 წლის 20 თებერვლიდან 2014 წლის ბოლომდე. საბუღალტრო პროგრამის ამონაწერის სახით წარმოდგენილ ცხრილში მითითებულია გარკვეული ბრუნვა კომპანიის ანგარიშებზე. რაც შეეხება საბანკო ამონაწერს, მასში ნათლადაა მითითებული, რომ 2014 წლის 26 თებერვლიდან 2014 წლის 27 მარტის ჩათვლით მოსარჩელის ანგარიშზე თანხა შეჰქონდა ინდ.მენარმე ნ. ც-ეს, ხოლო, 2014 წლის 27 აპრილიდან ყველა გადახდა ნაწარმოები აქვს ინდ მენარმე ი. ც-ეს. ხსენებული ფაქტები არ არის შეფასებული ერთობლიობაში და არ არის გამოკვლეული შესაგებელში მოპასუხის მიერ გამოთქმული შედავების საფუძვლიანობა (მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი, კომპანიისა და ინდ.მენარმე ი. ც-ის სამართლებრივი კავშირი, დავალიანების წარმოშობის პერიოდი, დავალიანების ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა), რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე საკითხია.

#### **1.5. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესულურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და მიიჩნევს, რომ სახეზეა საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა). სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი შესწავლის შე-

დეგად უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვროს უფლების საკითხი.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ც-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. დაზღვევა

#### მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგითობა ფულვეველის გაკოტრების საქმისწარმოებისას

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-906-872-2016

24 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ბაქაძე

**დავის საგანი:** მოთხოვნის რიგის განსაზღვრა სს „ს-იას“ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. შპს „დ-ის“ უფლებამონაცვლე შპს „მ-იმ“ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინააღმდეგე მხარე, კრედიტორი ან მენარდე) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს-იას“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი კასატორი, მოვალე ან მზღვეველი) მიმართ და მოითხოვა მოსარჩელის დავალიანების – 19 530 ლარის გადახდა მოპასუხის მე-5 რიგის მოთხოვნათა შესაბამისად.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: „სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილების (შემდგომში – №177 დადგენილება) თანახმად, მოპასუხე წარმოადგენდა მზღვეველს, ხოლო მოსარჩელე დაზღვეულ ბენეფიციარებს უწევდა მომსახურებას, რის შედეგადაც მზღვეველს წარმოეშვა დავალიანება, რაც დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. მზღვეველის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნის შემდგომ, 2014 წლის 27 მაისს, მან მიიღო №161 განკარგულება, რომლის თანახმადაც მოვალე კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანების გასტუმრებას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებული“



ბითი ადმინისტრაციის ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ (შემდგომში – წესი) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, გეგმავს მე-7 რიგში, რაც არასწორია, რადგანაც „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>4</sup> მუხლის მე-9 პუნქტისა და ზემოხსენებული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე, როგორც „ყველა სხვა დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე“ მოთხოვნის მქონე პირი, წარმოადგენს მე-5 რიგის კრედიტორს.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, კერძოდ, მას სადავოდ არ გაუხდია სარჩელში მითითებული გარემოებები, თუმცა განმარტა, რომ მხარეთა შორის დაზღვევის ხელშეკრულება არ დადებულა, არამედ, მოსარჩელე ეწეოდა ბენეფიციართა მომსახურებას, იმგვარად, რომ თავად დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე არ იყო, შესაბამისად, მისი მოთხოვნა, როგორც „ნებისმიერი სხვა მოთხოვნა“, არა მე-5, არამედ – მე-7 რიგს განეკუთვნება.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა მოვალის მიერ კრედიტორის მოთხოვნის – 19 530 ლარის ანაზღაურება მე-5 რიგის მოთხოვნათა შესაბამისად.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა საფუძვლიან-

ნია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში კრედიტორის მოთხოვნის რიგის განსაზღვრის კანონიერება, ამ მხრივ, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებობდა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება და სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს წარმოეშვა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება „მზღვეველისაგან“, რადგან ამ უკანასკნელთან მესამე პირთა სასარგებლოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მან „დამზღვევების“ მიმართ კანონით გათვალისწინებული „მზღვეველის“ ვალდებულება უკვე შეასრულა. სასამართლოს დასკვნით, მომსახურების გამწვევის მოთხოვნა უთანაბრდებოდა დამზღვევის მოთხოვნის უფლებას, რის გამოც, იგი მზღვეველის გაკოტრების პროცესში მე-5 რიგით უნდა განსაზღვრულიყო.

1.2. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების ფარგლებში პრეტენზიას გამოთქვამს სასამართლოს მხრიდან კანონის დარღვევის – სამართლის ნორმათა არასწორი გამოყენება-განმარტების თაობაზე, რის შედეგადაც კრედიტორის მოთხოვნები, რომელიც დაზღვეულ ბენეფიციართა მიმართ კასატორის მიერ განეული მომსახურების ანაზღაურებას შეეხებოდა, არასწორად განისაზღვრა მე-5 რიგის მოთხოვნად, ნაცვლად მე-7 რიგისა.

**1.3. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად დასაშვებ/დასაბუთებული შედავება იქნა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან, პალატა ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:**

1.3.1. „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილების (შემდგომში – №177 დადგენილება) შესაბამისად, მოპასუხე წარმოადგენდა მზღვეველს, ხოლო მოსარჩელე – მიმწოდებელს;

1.3.2. მოსარჩელე მომსახურებას უწევდა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში მოპასუხის მიერ დაზღვეულ ბენეფიციარებს. 2013 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით,

№177 დადგენილების საფუძველზე, მოსარჩელემ სამედიცინო მომსახურება გაუწია მზღვეველის ბენეფიციარებს, სანაცვლოდ სადაზღვევო კომპანიას განუვლი სამედიცინო მომსახურებისათვის უნდა გადაეხადა 19 530 ლარი;

1.3.3. მზღვეველის გაკოტრების მმართველმა 2014 წლის 27 მაისის №161 განკარგულებით, კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანება განსაზღვრა მეშვიდე რიგის მოთხოვნად.

1.4. კასატორი გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტებს არ შედავებია, არამედ, როგორც აღინიშნა, მან სადავოდ გახადა ამ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

1.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების, ასევე, მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დებულებათა არასწორი განმარტების თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს იმ უდავო გარემოებაზე, რომლის თანახმადაც, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე კასატორს გაუუქმდა დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო მისი გაკოტრების საქმის წარმოება. მოსარჩელე წარმოადგენს მოპასუხის კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც, კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებითაა დადგენილი. სწორედ ამან განაპირობა მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში კრედიტორის მოთხოვნის რიგის განსაზღვრის აუცილებლობა. მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველებს გვთავაზობს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი (იხ. მუხლი 1), რომლის 33<sup>4</sup> მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების დროს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) პირველი რიგი – გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ანაზღაურება, აგრეთვე ვალდებულებები, რომლებიც წარმოეჭვა მზღვეველს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;

ბ) მეორე რიგი – უზრუნველყოფილი კრედიტორები, გარდა საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნისა;

გ) მესამე რიგი – კრედიტორთა მოთხოვნები, რომელთა საფუძველია სიცოცხლისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულებათა ოდენობა განისაზღვრება მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის – სიცოცხლის დაზღვევის რეზერვის ოდენობით;

დ) მეოთხე რიგი – კრედიტორთა მოთხოვნები, რომელთა საფუძველია უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება;

ე) მეხუთე რიგი – ყველა სხვა კრედიტორის მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს ყველა სხვა დაზღვევის ხელშეკრულებიდან;

ვ) მეექვსე რიგი – საბიუჯეტო დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

ზ) მეშვიდე რიგი – დანარჩენი მოთხოვნები მზღვეველის მიმართ და დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

1.5.1. საკასაციო პრეტენზიების საფუძვლიანობას თუ მივუბრუნდებით (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.2. პუნქტი), უნდა აღინიშნოს, რომ გამიჯვნას ექვემდებარება მე-5 და მე-7 რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლები. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა, როგორც სიტყვასიტყვით, ისე – ტელეოლოგიური განმარტების შედეგად, პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ კანონმდებლის ნება კრედიტორთა მოთხოვნების რიგის განსაზღვრის თაობაზე გამომდინარეობს მოთხოვნის მქონე სუბიექტთა ინტერესების მნიშვნელობიდან და პრინციპი იმგვარია, რომ ჯერ კმაყოფილდება ის მოთხოვნები, რომლებიც შედარებით უფრო არსებითია და ერთი რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდგომ, დღის წესრიგში დგება შემდგომი რიგის კრედიტორთა დავალიანების გასტუმრების საკითხი. კანონი მე-5 რიგის კრედიტორად მოიზარებს იმ მოთხოვნის უფლების მქონე პირს, რომლის მიმართ არსებული ვალდებულება, ყველა წინა რიგის დაზღვევის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ მე-5 რიგის კრედიტორებად გვევლინებიან პირები, რომლებიც მზღვეველთან დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმყოფებოდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მოთხოვნა (როგორც ვალდებულებითი, ისე – კანონისმიერი, გარდა მე-6 რიგის მოთხოვნებისა, რომელიც მხარეთა შორის სადავო არაა), კანონით დადგენილი წესის თანახმად, ანაზღაურდება მე-7 რიგში.

1.5.2. ამდენად, საკითხი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელე მე-5 რიგის კრედიტორს, უნდა გადაწყდეს მზღვეველთან მისი სამართლებრივი კავშირის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მზღვეველსა და მოსარჩელეს შორის

ურთიერთობა სრულად ექცევა საქართველოს მთავრობის №177 დადგენილებით განსაზღვრულ ურთიერთობაში, კერძოდ, ამ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად, მხარეებს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე წარმოადგენდა „მიმწოდებელს“ და სამედიცინო მომსახურებას უწევდა მზღვეველის ბენეფიციარებს, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებდა მზღვეველი. №177 დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მზღვეველი“ არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას და სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ მოსახლეობას უწევს მომსახურებას. მხარეთა შორის უშუალოდ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების ფაქტზე არც მოსარჩელეს მიუთითებია და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ იგი. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, №177 დადგენილებით განსაზღვრული „მიმწოდებლისა“ და მზღვეველის სამართლებრივი კავშირი მომსახურების ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობის ელემენტებზე მიაჩნდება და ყველაზე ახლოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ურთიერთობასთან დგას, რომლის ფარგლებშიც, სამედიცინო დანიესებულება (№177 დადგენილების მიზნებისთვის – „მიმწოდებელი“) გვევლინება მენარდედ, ხოლო მზღვეველი – შემკვეთად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება (სამედიცინო მომსახურების გაწევა). რაც შეეხება უშუალოდ დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობას, მას სამოქალაქო კოდექსის 799-ე და შემდგომი ნორმები არეგულირებს და ურთიერთობის ელემენტებიც განსხვავებულია: ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენენ მზღვეველი, დამზღვევი და/ან დაზღვეული (იხ. ასევე, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტები და 8.1; 9.1; 10.1 მუხლები). ურთიერთობის საგანი სადაზღვევო რისკით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაა დამზღვევის და/ან დაზღვეულის (ეს უკანასკნელი სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ერთი და იგივე, ისე – სხვა პირი და ამ უკანასკნელი შემთხვევიდან გამომდინარე მოთხოვნას არეგულირებს სკ-ის 349-ე მუხლი) მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ. ის საკითხი, თუ რა გზით ასრულებს მზღვეველი საკუთარ ვალდებულებას დამზღვევის/დაზღვეული წინაშე, სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს სცდება და დამოკიდებულია მზღვეველსა და მესამე პირს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე. სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის კონტექსტში ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების

განხილვის შემთხვევაში, შესაძლოა ვიმსჯელოთ დამზღვევის ინტერესზე, რომელიც მიმართულია სამედიცინო მომსახურებისკენ, თუმცა, ამ ურთიერთობის ფარგლებში სამართალსუბიექტებს კვლავ მზღვეველი და დამზღვევი წარმოადგენენ.

1.6. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორი შეფასება მისცეს მენარდესა და მზღვეველს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>ა</sup> მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის (ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული „ნეისის“ მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც დღეისათვის ძალადაკარგულია) ფარგლებში არასწორად განსაზღვრეს კრედიტორის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რის თაობაზეც კასატორმა დასაბუთებული შედავაება წარმოადგინა.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც მტკიცებულებათა შეფასება, ასევე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამატებით დადგენა თუ საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების სხვა წინაპირობები არ იკვეთება, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან მხარეები არ იმყოფებოდნენ დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში, არამედ, მოსარჩელე, როგორც მენარდე, №177 დადგენილების ფარგლებში მომსახურებას უწევდა მზღვეველის, როგორც შემკვეთის ბენეფიციარებს, მისი მოთხოვნა მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>ა</sup> მუხლის მე-9 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მე-7 რიგის მოთხოვნად უნდა იქნას მიჩნეული, რამდენადაც იგი, როგორც ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან ნაწარმოები, მიეკუთვნება კანონით განსაზღვრულ „დანარჩენ მოთხოვნებს მზღვეველის მიმართ“.

**2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

2.1. საკასაციო საჩივარს მზღვეველმა დაურთო სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ სარეკომენდაციო წერილი კრედიტორთა რიგის განსაზღვრის თაობაზე.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულების (რომელიც სსსკ-ის 134-ე მუხლის თანახმად, წერილობითი მტკიცებულებაა) გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მის ავტორს უნდა დაუბრუნდეს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წერილი 2 (ორი) ფურცლად.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

3.1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის განთავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზედაც მას უარი ეთქვა.

3.3. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელო-

ბის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 450 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 104-ე, 407-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „ს-იას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „მ-ს“ სარჩელი სს „ს-იას“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მოთხოვნის რიგის განსაზღვრის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. სს „ს-იას“ დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 25.05.2016წ. №275 წერილი 2 (ორი) ფურცლად.
5. შპს „მ-ს“ (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 450 ლარის გადახდა.
6. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



**მზღვეველთან დაკავშირებული პირების მიერ  
მზღვეველის ხარჯზე სარგებლის მიღება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-917-857-2017

11 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავეცი**

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის და-  
კისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს „ს.-ია“ (შემდეგში: მოსარჩელე, მზღვეველი ან კასატორი) 2013 წლის 13 დეკემბრიდან გადახდისუუნაროა და მის მიმართ დაწყებულია გაკოტრების პროცედურები („დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> და 34<sup>4</sup> მუხლები).

2. გაკოტრების საქმისწარმოების დაწყებამდე, 2012 წლის 15 ოქტომბერს, მოსარჩელემ შპს „გ. მ-სთან“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე) დადო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლის თანახმად, პირველი მოპასუხე იღებდა ვალდებულებას, უზრუნველყო მოსარჩელის მიერ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული პირების სამედიცინო მომსახურება.

3. ხელშეკრულებას მოსარჩელის მხრიდან ხელს აწერდა იმუამად დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გ. ს-ე, ხოლო პირველი მოპასუხის მხრიდან დირექტორი გ. კ-ი (შემდეგში: მეორე მოპასუხე).

4. ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, მომსახურება უნდა ანაზღაურებულიყო სულადობრივად, კაპიტაციური მეთოდით, რომელიც გულისხმობს სამედიცინო პერსონალის ან სამედიცინო დაწესებულების დაფინანსებას სულადობრივი განაკვეთის მიხედვით (თითოეულ პირზე ანაზღაურება), რომელიც ფიქსირებულია და დამოკიდებულია მოსახლეობის იმ რაოდენობაზე, რამდენსაც ემსახურება. ამ მეთოდის მიხედვით, თითოეულ დაზღვეულზე უნდა გადახდილიყო 1,30 ლარი, რაც თვეში შეადგენდა 76 606,40 ლარს.

5. 2013 წლის 1 მარტს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დაიდო ურთიერთანამშრომლობის მეორე ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, მოპასუხე უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიერ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული პირების სამედიცინო მომსახურებას. დაზღვეულთა რაოდენობა ძველი თბილისის რაიონში შეადგენდა 25 042, ხოლო ვ-ს-ოს რაიონში – 62 668 პირს. ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, კაპიტაციური მეთოდით თითოეულ დაზღვეულზე ყოველთვიურად უნდა გადახდილიყო 1,10 ლარი, რაც საერთო ჯამში შეადგენდა თვეში 96 481 ლარს.

6. 2012 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე პირველი მოპასუხის ანგარიშზე გადაირიცხა 385008,10 ლარი, ხოლო 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე – 488 320,36 ლარი, სულ ჯამში – 873 328,46 ლარი.

7. ხელშეკრულებების გაფორმების მომენტისათვის პირველი მოპასუხის 100% წილის მფლობელი იყო ი. ხ-ი (შემდეგში: მესამე მოპასუხე), ხოლო დირექტორი – მეორე მოპასუხე; იმავდროულად მესამე მოპასუხე იყო მოსარჩელის მარკეტინგის მენეჯერი, ხოლო მეორე მოპასუხე კი – ფინანსური მენეჯერი.

8. 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №...-ო ბრძანებით, მოსარჩელეს გაუუქმდა დაზღვევის, კერძოდ, „სიცოცხლისა და არასიცოცხლის“ ლიცენზიები, დაიწყო გაკოტრების საქმისწარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა კ. ვ. (შემდეგში: გაკოტრების მმართველი).

**9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა 2012 წლის 15 ოქტომბრისა და 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხეთათვის სოლიდარულად 873 328,46 ლარის დაკისრება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

9.1. სადავო ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან თითოეული დაზღვეული უკვე მიმაგრებული იყო ტერიტორიული პრინციპით სხვა სამედიცინო დაწესებულებაზე და ისინი მომსახურებას ისედაც იღებდნენ;

9.2. 2012 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულება დაიდო პირველი მოპასუხის სახელმწიფო რეგისტრაციის დღეს და ასეთი სისწრაფე განპირობებული იყო იმით, რომ მეორე და მესამე მოპასუხე მზღვეველთან დაკავშირებული პირები იყვნენ და მოქმედებდნენ პირადი ინტერესებით;

9.3. ხელშეკრულებების დადების დროისათვის, მზღვეველის ფინანსური მდგომარეობა უკვე არასახარბიელო იყო, იგი ვერ ასრუ-

ლებდა სარეზერვო ვალდებულებებს. სადავო გარიგებების საფუძველზე პირველი მოპასუხისათვის 873 328,46 ლარის გადარიცხვამ მისი ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რაც გაკოტრების პროცედურების დაწყებით დასრულდა.

9.4. სადავო ხელშეკრულებები დადებულია მოსაჩვენებლად და თვალთმაქცურად და, აქედან გამომდინარე, ბათილია.

9.5. სადავო ხელშეკრულებების გაფორმებით მოხდა დაზღვევულების დუბლირება, ანუ ერთი და იგივე ადამიანები ერთდროულად მომსახურებას იღებდნენ ორ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

**10. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და წარადგინეს როგორც მოთხოვნის დამაბრკოლებელი (გამომრიცხველი), ისე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) შესაგებელი შემდეგი დასაბუთებით:**

10.1. მეორე და მესამე მოპასუხე არ არიან მოსარჩელესთან იმგვარად დაკავშირებული პირები, რაც შეიძლებოდა საფუძველად დასდებოდა მათ პასუხისმგებლობას „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

10.2. სარჩელი ხანდაზმულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რადგანაც გაკოტრების მმართველი დაინიშნა 2013 წლის 31 დეკემბერს, ხოლო სადავო გარიგება დადებულია 2012 წლის 15 ოქტომბერს.

10.3. არ დასტურდება სადავო ხელშეკრულებების თვალთმაქცურობა ან მოჩვენებითობა, ვინაიდან პირველმა მოპასუხემ რეალურად განია სამედიცინო მომსახურება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სადავო ხელშეკრულებების დადებითა და დაზღვეულ პირთა დუბლირების გზით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია მოსარჩელის მიერ წარდგენილი ელექტრონული ბაზა, ვინაიდან იგი მომზადებული იყო თვით მოსარჩელის მიერ, ხოლო სხვა ობიექტური მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია სადავო ხელშეკრულებების მოჩვენებითობასთან დაკავშირებით და დადგენილად მიიჩნია პირველი მოპასუხის მიერ რეალური სამედიცინო მომსახურების განევა, რაც ეფუძნებოდა მონშეთა ჩვენებებსა და წარდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციას. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 50-ე, 56-ე, 976-ე მუხლის პირველი

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლი, „მენარმეტა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი.

12. მზღვეველმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივლისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 მარტის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივლისის განჩინება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები {სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი}, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უარყოფის თაობაზე. სახელდობრ, ამ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა 2012 წლის 15 ოქტომბრისა და 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულებების ბათილობიდან გამომდინარე, მოპასუხეთათვის სოლიდარულად მიყენებული ზიანის, 873 328,46 ლარის, დაკისრება. მოთხოვნის საფუძველიანობის დასადგენად სასამართლოს უნდა გამოეკვლია და შესაბამისად უნდა შეეფასებინა შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობები, ხოლო დავის თავისებურებიდან გამომდინარე (დავა დაკავშირებულია მზღვეველის გაკოტრების საქმისწარმოებასთან), სასამართლო ვალდებული იყო, საქმის გარემოებათა დადგენის მიზნით, არათუ დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის შუამდგომლობა, არამედ საკუთარი ინიციატივითაც მიემართა სსსკ-ით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის {სსსკ-ის 4.2. მუხლი} და, თუ ამ გარემოებების დასადგენად სპეციალური ცოდნა იყო საჭირო, დაენიშნა საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა.

**14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უარყოფილი იქნა სარჩელიც.**

14.1. სააპელაციო პალატამ უარყო სარჩელის ძირითადი ფაქტობრივი საფუძველი, რაც გარიგებათა მოჩვენებითობაზე მიუთითებდა. არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების რეალურად გაუნეწელობის შესახებ, მათი დაუდასტურებლობის მოტივით [სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხ-

ლები]. იმავდროულად, მხედველობაში იქნა მიღებული მოწმეთა: პირველი მოპასუხის თანამშრომელთა (რეგისტრატორი (ს. ს-ე), მე-ნეჯერი (ს. ჩ-ე), ასევე ოჯახის ექიმები (მ. გ-ია, ა-ია, ქ. ბ-ი) ჩვენებები, რომლითაც განიმარტა, რომ მოწმეები 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან და 2013 წლის განმავლობაში მუშაობდნენ პირველ მოპასუხესთან და მოსარჩელესთან და დაზღვეულ პირებს უწევდნენ მომსახურებას (იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი 12:57:49-13:51:36სთ.).

14.2. მოსარჩელის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან თითოეული დაზღვეული უკვე მიმაგრებული იყო ტერიტორიული პრინციპით სხვა სამედიცინო დაწესებულებაზე და ისინი მომსახურებას ისედაც იღებდნენ, არ იქნა გაზიარებული. მართალია აპელანტის განმარტებით, პირველ მოპასუხესთან მისული დაზღვეულები მომსახურებას დებულობდნენ შპს „და-ში“, ხოლო თანხის გადახდა ხდებოდა ერთდროულად ორივე სუბიექტის მიმართ (იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმი), თუმცა, აღნიშნული წარმოადგენდა მხოლოდ განმარტებას, რომელსაც სადავოდ ხდოდა მოპასუხე და არ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებით.

14.3. სააპელაციო პალატამ შეაფასა 2012 წლის 30 ოქტომბრის, 2013 წლის 01 თებერვლის და 2013 წლის 01 მარტის ქონების იჯარის და შრომითი ხელშეკრულებები, რომლითაც დასტურდებოდა მოპასუხის ნება გაენია სადავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურება. ამასთან, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათებით, ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე /ადგილზე გამოძახების რეესტრის ჟურნალით, შედგენილი პაციენტების კონსულტაციის ბარათებით დადგენილი იქნა სადავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი.

14.4. ზემოთდადგენილი გარემოებები კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უარყოფდა სადავო გარიგებების მოჩვენებითობაზე მოსარჩელის მითითების საფუძვლიანობას.

14.5. უსაფუძვლობასთან ერთად, სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზამულად იქნა მიჩნეული „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №.../-ო ბრძანებით, მოსარჩელეს გაუუქმდა დაზღვევის, კერძოდ, „სიცოცხლისა და არასიცოცხლის“ ლიცენზიები, დაიწყო გაკოტრების საქმისწარმოება და

გაკოტრების მმართველად დაინიშნა კ. ვ. შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრამდე დადებული გარიგებებისა და 2012 წლის 15 ოქტომბერს დადებული გარიგების შეცვლების ვადა გასული იყო.

14.6. რაც შეეხება სადავო გარემოებას იმის თაობაზე წარმოადგენდნენ თუ არა მეორე და მესამე მოპასუხე მოსარჩელესთან იმგვარად დაკავშირებულ პირებს, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა მათ პასუხისმგებლობას „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი მოპასუხის მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მოსარგებლეთა მიმართ გარკვეული სახის სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტს, თუმცა, განეული მომსახურება არავითარ თანაფარდობაში არ მოდიოდა მის მიერ მიღებულ თანხასთან. ხელშეკრულების დადების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა მოპასუხეთა ანუ მოსარჩელესთან დაკავშირებული პირების გამდიდრება, ხოლო ამ უკანასკნელთა მიერ მითითებული მომსახურების განევის დაინიშნულება იყო მხოლოდ ამ მიზნის დაფარვა. აღნიშნულს კი, ის ფაქტი ადასტურებდა რომ პირველ მოპასუხეს მისი საშუალებებით არ შესწევდა უნარი მოსარგებლეთათვის გაენიანა ისეთი სამედიცინო მომსახურება, რაც ხელშეკრულებით იკისრია. მით უფრო, რომ მეორე მოპასუხე კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი იყო, რომლის მიზანს ისედაც წარმოადგენდა ქონებრივი სარგებლის მიღება. რაც შეეხება სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას, მეორე მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა ანაზღაურებას კაპიტაციური მეთოდით. აღნიშნული გულისხმობს, რომ ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებული იყო არა კონკრეტულ პერიოდზე განეული მომსახურების ხარჯებზე, არამედ დაზღვეულთა ოდენობაზე.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 აპრილის განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოსარჩელემ.

16. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ზოგ შემთხვევაში, არასწორ შეფასებას, ხოლო ზოგ შემთხვევაში – შეუფასებლობას [სსსკ-ის 105-ე მუხლი].

17. კასატორი აღნიშნავს იმასაც, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებები, კერძოდ, ყურადღების მიღება დატოვა ის გარემოება, რომ მოპასუხეები წარმოადგენდნენ მოსარჩელესთან დაკავშირებულ პირებს: მესამე მოპასუხე იყო მოსარჩელის ყოფილი დირექტორის – ნ. რ-ის და, ხოლო მეორე მოპა-

სუხე კი – გ. ს-ის, რომელსაც სადავო ხელშეკრულების დადებისას ეკავა მოსარჩელის დირექტორის თანამდებობა, დის ქმარი იყო. გარდა ამისა, მეორე მოპასუხე, მოსარჩელესთან მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად, ხოლო მესამე მოპასუხე – მარკეტინგის მენეჯერად. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თუ მოპასუხეები მზღვეველთან დაკავშირებული პირები არიან, მაშინ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენება არა გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმები, არამედ სპეციალური ნორმა – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტი. საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მოპასუხეების მიერ მზღვეველის ხარჯზე ქონებრივი სარგებლის მიღება ან რაიმე სახის უპირატესობით, პრივილეგიით ან სხვაგვარი შეღავათით სარგებლობა, რასაც შედეგად მზღვეველისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა, გამოიწვევს შესაბამისი ხელშეკრულებების ბათილად ცნობას. ამ განმარტების საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ ვრცლად იმსჯელა, რომ თურმე სადავო ხელშეკრულებები შეესაბამებოდა მხარეთა ნამდვილ ნებას და მოჩვენებითი გარიგება არ იყო.

18. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მუხლის მე-5 პუნქტი [დისპოზიცია: მზღვეველის გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს მზღვეველის ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის, ლიკვიდატორის ან გაკოტრების მმართველის დანიშვნამდე 12 თვით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ აღნიშნულის შედეგად მზღვეველთან დაკავშირებულმა პირებმა ამ მზღვეველის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია მზღვეველისათვის (მისი კრედიტორებისათვის) ზიანის მიყენება].

19. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მტკიცების საგანი სწორედ ის გარემოება იყო, რომ მოსარჩელეს უსაფუძვლოდ რომ არ ეხადა თანხები პირველი მოპასუხისათვის, ეს თანხა მოხმარდებოდა კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესრულებას და მათი ინტერესი დაკმაყოფილებული იქნებოდა, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

20. კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 მარტის განჩინებაზე, რომლითაც სააპელაციო სასამართლოს დაევალა, პირველი მოპასუხისაგან 2012-2013 წლის საბანკო დოკუმენტაციის გამოთხოვა და, საჭიროების შემთხვევაში, საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნა. სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა

საკასაციო სასამართლოს ეს მითითება, მხოლოდ ფორმალურად მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარისგან საბანკო დოკუმენტაციის წარმოდგენა, მიიღო არასრული დოკუმენტაცია და უფრო მეტიც, საერთოდ არ მოახდინა წარდგენილი მტკიცებულებების შეფასება. იმავდროულად, მოპასუხეებმა არასრულად შეასრულეს სასამართლოს დავალეზა 2012-2013 წლების საბანკო დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე. მათ მიერ წარმოდგენილ ამონაწერში ხშირად დააასახული გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს რამდენიმე სხვა ანგარიში გააჩნდა, რომლებზეც განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია მხარემ შეგნებულად არ წარმოადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან, სადაც საუბარია საკუთარი ანგარიშებს შორის გადარიცხვებზე, ბანკს პირველ მოპასუხესთან ან მოსარჩელესთან ერთად მითითებული აქვს მეორე მოპასუხის სახელი და გვარი, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ეს თანხები ამ უკანასკნელის განკარგულებაში ექცეოდა. მოპასუხის ამგვარი ქმედება – სასამართლო დავალეზის შეუსრულებლობა, სასამართლოს უნდა შეეფასებინა როგორც საპროცესო აღიარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 136.4 მუხლების შესაბამისად. ისეთ პირობებში, როდესაც პირველ მოპასუხეს, რომელსაც ხელშეკრულებით ნაკისრი ჰქონდა მოსარჩელის მიერ დაზღვეული პაციენტების სამედიცინო მომსახურების განევის ვალდებულება, არ გააჩნდა მომსახურების განევის ფართი, ელემენტარული სამედიცინო აპარატურა და პირობები და იმ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ ხდებოდა კლინიკის თანამშრომლების მოძიება, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელემენტარული ინვენტარის შექმნა, კომპანიის დირექტორმა – მეორე მოპასუხემ დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო 9600 ლარი და ასე გრძელდებოდა ყოველ მომდევნო თვეში. მეორე მოპასუხეს დამატებითი ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 33 000 ლარი, 31 000 ლარი 9 22 999 ლარი და ა.შ. იმ პირობებში როდესაც, ისედაც უსაფუძვლოდ ირიცხებოდა სამედიცინო მომსახურების თანხები, ხოლო მომსახურებას რეალურად ახორციელებდა სხვა კლინიკა – შპს „დ-ა“, პირველი მოპასუხის დირექტორი მოსარჩელისგან ჩარიცხული თანხის დიდ ნაწილს იღებდა დამატებითი ანაზღაურების სახით და შიდა გადარიცხვით გადაჰქონდა კომპანიის სხვადასხვა საბანკო ანგარიშებზე ან გაჰქონდა ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით კომპანიის ანგარიშიდან. სწორედ ამ თანხების მიმოქცევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მოხდა. კასატორისათვის გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა პირველ მოპასუხესთან ხელშეკრულების გაფორმება. ამასთან, მოპასუხეები და მათ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოყ-



ვანილი მონმეები ამტკიცებდნენ, რომ ასეთ შემთხვევებში, შპს „დ-ს“ როგორ ქვეკონტრაქტორს, განეული მომსახურების საფასურს აუნაზღაურებდა პირველი მოპასუხე მოსარჩელისაგან ჩარიცხული თანხებიდან. იჯარის თანხის გარდა არანაირი თანხა სამედიცინო მომსახურებისთვის პირველ მოპასუხეს შპს „დ-ის“ არა აქვს ჩარიცხული, შესაბამისად, თუნდაც სააპელაციო სასამართლოს არ გაეზიარებინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები დაზღვეულ პირთა სიების დუბლირებასთან დაკავშირებით (რომლის გაუზიარებლობის თაობაზე სასამართლოს ერთი სიტყვითაც არ მიუთითებია განჩინებაში, რისი ვალდებულებაც მას საპროცესო კანონმდებლობით გააჩნდა), თავად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ადასტურებდა, რომ მოსარჩელისაგან ჩარიცხული თანხებიდან მოპასუხეს შპს „დ-ის“ სამედიცინო მომსახურებისათვის თანხა საერთოდ არ გადაუხდია. მაშასადამე, რომ მოწინააღმდეგე მხარე ცრუობდა, როდესაც უთითებდა, რომ მომსახურებას რომელსაც თვითონ ვერ უწევდა დაზღვეულებს, მისი გადამისამართებით ახორციელებდა შპს „დ“.

21. კასატორი აღნიშნავს, რომ სადავოდ გამხდარი ხელშეკრულებების საფუძველზე, სრულიად გაუმართლებლად (პირადი ინტერესებისათვის და არა კომპანიის რენტაბელურობისათვის) ირიცხებოდა სადაზღვევო კომპანიიდან სრულიად შეუსაბამო თანხები ფაქტობრივად არასაჭირო მომსახურებისათვის პირველი მოპასუხის სასარგებლოდ, მაშინ როდესაც სადაზღვევო კომპანია – როგორც ფინანსური ინსტიტუტი, დადგენილი ნორმატივების შესაბამისად უკვე იმ პერიოდისათვის ვეღარ ასრულებდა სარეზერვო ვალდებულებებსაც კი (რომ აღარ ვთქვათ დებიტორული დავალიანების ოდენობაზე) რის გამოც, კომპანია გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების რეალური საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ სახელშეკრულებო პერიოდში და მის საფუძველზე გადარიცხულმა თანხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კომპანიაში დროებით ადმინისტრაციისა და შემდგომ გაკოტრების საქმისწარმოების დაწყებაში.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 20 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

23. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასევე,

მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

**24. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს 2012 წლის 15 ოქტომბრისა და 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, მოპასუხეთათვის სოლიდარულად თანხის დაკისრება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>პ</sup> მუხლის მე-5 პუნქტი (იხ., ამ განჩინების პპ: 13, 17). მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები კი, შემდეგში მდგომარეობს:**

24.1. არ არსებობდა სადავო გარიგებათა გაფორმების აუცილებლობა, ვინაიდან თითოეული დაზღვეული უკვე მიმაგრებული იყო ტერიტორიული პრინციპით სხვა სამედიცინო დაწესებულებაზე, სადაც იღებდნენ მომსახურებას;

24.2. 2012 წლის 15 ოქტომბრის გარიგება დაიდო პირველი მოპასუხის სახელმწიფო რეგისტრაციის დღეს, ამგვარი სისწრაფე განპირობებული იყო იმით, რომ მეორე და მესამე მოპასუხე მზღვეველთან დაკავშირებული პირები იყვნენ და მოქმედებდნენ პირადი ინტერესებით;

24.3. გარიგებების დადების დროისათვის, მზღვეველის ფინანსური მდგომარეობა უკვე არასახარბიელო იყო, იგი ვერ ასრულებდა სარეზერვო ვალდებულებებს. სადავო გარიგებების საფუძველზე პირველი მოპასუხისათვის 873 328,46 ლარის გადარიცხვამ მისი ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რაც გაკოტრების პროცედურების დაწყებით დასრულდა.

24.4. სადავო ხელშეკრულებების გაფორმებით მოხდა დაზღვეულების დუბლირება, ანუ ერთი და იგივე ადამიანები ერთდროულად მომსახურებას იღებდნენ ორ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

25. სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები უარყო როგორც საქალაქო, ასევე, სააპელაციო სასამართლოებმა.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 მარტის განჩინებაში, რომლითაც მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო პალატამ იმსჯელა სარჩელის მოთხოვნის უარყოფის მართლზომიერებაზე და მიიჩნია, რომ სარჩელის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი არ იყო შეფასებული. საკასაციო პალატის მითითებით, ვინაიდან, დავა დაკავშირებული იყო მზღვეველის გაკოტრების საქმისწარმოებასთან,

საქმის გარემოებათა დადგენის მიზნით, სასამართლო ვალდებული იყო საკუთარი ინიციატივითაც მიემართა სსსკ-ით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის {სსსკ-ის 4.2 მუხლი} და, თუ ამ გარემოებების დასადგენად სპეციალური ცოდნა იყო საჭირო, დაენიშნა საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა.

**27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 აპრილის განჩინება, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის თაობაზე, ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

27.1. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულ პირთა – პირველი მოპასუხის თანამშრომელთა – ჩვენებებს. რეგისტრატორის (ს. ს-ე), მენეჯერის (ს-ჩ-ე), ასევე ოჯახის ექიმების (მ-გ-ია, ა-ია, ქ. ბ-ვილი) ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სადავო გარიგებით განსაზღვრულ მომსახურების განწვევის ფაქტი. სახელდობრ, სასამართლომ მიუთითა მოწმეთა განმარტებაზე, რომლის მიხედვით, ისინი 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან და 2013 წლის განმავლობაში მუშაობდნენ პირველ მოპასუხესთან და მოსარჩელესთან და დაზღვეულ პირებს უწევდნენ მომსახურებას (იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი 12:57:49-13:51:36 სთ.).

27.2. 2012 წლის 30 ოქტომბრის, 2013 წლის 01 თებერვლის და 2013 წლის 01 მარტის ქონების იჯარის და შრომითი ხელშეკრულებებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, მოპასუხის ნამდვილი ნება, გაენია სადავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურება. სახელდობრ, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათებით, ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე /ადგილზე გამოძახების რეესტრის ყურნალით, შედგენილი პაციენტების კონსულტაციის ბარათებით დადგენილი იქნა სადავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განწვევის ფაქტი.

27.3. ზემოთდადგენილი გარემოებები კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოშობდა სსკ-ის 56-ე მუხლის სამართლებრივ წინაპირობებს (იხ., სააპელაციო სასამართლოს განჩინების 3პ – 4.4.) სარჩელის დაკმაყოფილების მიზნისათვის.

28. საგულისხმოა, რომ სააპელაციო პალატამ სარჩელის, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესაბამისობის შესამოწმებლად რელევანტურ სამართლებრივ საფუძვლად არ მიიჩნია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, იმ საფუძვლით, რომ არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება მეორე და მესამე მოპასუხის მო-

სარჩელესთან იმგვარად დაკავშირებულ პირად ყოფნის გარემოება, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა მათ პასუხისმგებლობას.

29. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და აგრეთვე, მათი სამართლებრივი შეფასების ნაწილში, წარმოდგენილია დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია (სსსკ-ის 393.3 მუხლი) შემდეგ გარემოებათა გამო:

30. კასატორის განმარტებით, მესამე მოპასუხე იყო მოსარჩელის ყოფილი დირექტორის – ნ. რ-ის და, ხოლო მეორე მოპასუხე კი – გ. ს-ის, რომელსაც სადავო ხელშეკრულების დადებისას ეკავა მოსარჩელის დირექტორის თანამდებობა, დის ქმარი იყო. გარდა ამისა, მეორე მოპასუხე, მოსარჩელესთან მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად, ხოლო მესამე მოპასუხე – მარკეტინგის მენეჯერად (იხ., ამ განჩინების პ-17).

31. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თუ მოპასუხეები მზღვევლთან დაკავშირებული პირები არიან, მაშინ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენება არა გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმები, არამედ სპეციალური ნორმა – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტი. იმავდროულად, კასატორი სადავოდ ხდის გარიგებაში გამოვლენილი ნების ნადვილობასაც (ამ განჩინების პპ: 27.1; 27.2).

32. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც სააპელაციო პალატამ საკმარის საფუძვლად დაუდო სარჩელის უარყოფას გარიგებათა ნამდვილობის კონტექსტში, საკმარისი არ არის ამგვარი დასკვნის გამოსატანად.

32.1. დადენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 მარტის განჩინების შესაბამისად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სადავო გარიგეთა ბათილობის განმაპირობებელ ფაქტორთა გამოკვლევისა და მოპასუხეთათვის სოლიდარულად მიყენებული ზიანის, 873 328,46 ლარის, დაკისრების შესახებ მოთხოვნის მართლზომიერების შესამოწმებლად უნდა გამოეკვლია და შესაბამისად უნდა შეეფასებინა შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობები, ხოლო დავის თავისებურებიდან გამომდინარე (დავა დაკავშირებულია მზღვეველის გაკოტრების საქმისწარმოებასთან), სასამართლო ვალდებული იყო, საქმის გარემოებათა დადგენის მიზნით, არათუ დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის შუამდგომლობა, არამედ საკუთარი ინიციატივითაც მიემართა სსსკ-ით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის (სსსკ-ის 4.2. მუხლი) და, თუ ამ გარემოებების დასადგენად სპეციალური ცოდნა იყო საჭირო, დაენიშნა

საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა.

32.2 საქმის მასალებით კი, დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის მოთხოვნის უარყოფას საკმარის საფუძვლად დაუდო თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულ პირთა – პირველი მოპასუხის თანამშრომელთა – ჩვენებებს. რეგისტრატორის (ს. ს-ე), მენეჯერის (ს-ჩ-ე), ასევე ოჯახის ექიმების (მ. გ-ია, ა-ია, ქ. ბ-ვილი) ჩვენებები, რომლითაც დადგენილად მიიჩნია სადავო გარიგებით განსაზღვრული მომსახურების განევის ფაქტი. აგრეთვე, შეაფასა 2012 წლის 30 ოქტომბრის, 2013 წლის 01 თებერვლის და 2013 წლის 01 მარტის ქონების იჯარის და შრომითი ხელშეკრულებები, რომლითაც დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხის ნამდვილი ნება, გაენია სადავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურება. სახელდობრ, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათებით, ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე /ადგილზე გამოძახების რეესტრის ჟურნალით, შედგენილი პაციენტების კონსულტაციის ბარათებით დადგენილი იქნა სადავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი.

32.3. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევს გარიგებათა ნამდვილობას და მისთვის მიყენებული ზიანის – 873 328,46 ლარის წარმომშობ სასამართლებრივ საფუძვლად სწორედ სადავო გარიგებებს ასახელებს (იხ., ამ განჩინების პ-24), სათანადო გამოკვლევასა და შეფასებას საჭიროებს იმგვარი ფაქტობრივი გარემოება, როგორიცაა სადავო გარიგებათა გაფორმების აუცილებლობა, მისი გაფორმების მოლოდინი შედეგობრივი კუთხით.

33. შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, უნდა გაირკვეს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, წარმოადგენდნენ თუ არა მოპასუხეები მზღვეველთან დაკავშირებულ პირებს.

34. საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს საქარველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებები ამავე საქმეზე (იხ., 2016 წლის 07 მარტის განჩინება). შესაბამისად, თუ მოპასუხეები მზღვეველთან დაკავშირებული პირები არიან, მაშინ დავის მოსანესრიგებლად უნდა იქნეს გამოყენებული არა გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმები (სსკ-ის 56-ე ან 54-ე მუხლები), არამედ სპეციალური ნორმა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>3</sup>-ე მუხლის მეხუთე პუნქტი. მოპასუხეების მიერ მზღვეველის ხარჯზე ქონებრივი სარგებლის მიღება ან რაიმე სახის უპირატესობით, პრივილეგიით ან შე-

ღავათით სარგებლობა, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, გამოიწვევს 2013 წლის 1 მარტის გარიგების ბათილობას.

35. ამასთანავე, რამდენადაც, მოცემული დავა სპეციფიკური ხასიათისაა და უკავშირდება მზღვეველის გაკოტრების საქმისწარმოებას, სათანადო კვლევა განსახორცილებელი პირველი მოპასუხის 2012-2013 წლების საბანკო დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ, გამოსაკვლევი საკითხის შესწავლა სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, სასამართლოს შეუძლია მიმართოს სსსკ-ის 162-ე მუხლით გათვალისწინებულ მექანიზმს.

36. ამრიგად, საქმის ხელახალი განხილვის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 105-ე მუხლით, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით გამოარკვიოს და სათანადოდ შეაფასოს 2013 წლის 1 მარტის ხელშეკრულების შესრულებით მოპასუხებებმა მზღვეველის ხარჯზე რა სახის ქონებრივი სარგებელი მიიღეს ან ხომ არ ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, დადებით შემთხვევაში რას შეადგენს მათი მოქმედებით მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი (სსსკ-ის მე-4, 102, 162-ე მუხლის პირველი ნაწილი), სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408-ე და 409-ე მუხლები).

37. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგინილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო

ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 408-ე და 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 82 08  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)